„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

მანგალისეფლეჯელი

 დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2011 წ. აპრილი * №28 * ფასი 1 ლარი

ხახული

მაკინარე ბოწმე...

გვ. 7

ეკლესიის მამები კონსტანტინე გამსახურდიას განაქიქებენ

გვ. 8-9

“ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ქრისტეს გაბრწყინებულ საქართველოს დაახვედრებს!!!”

გვ. 20

საქართველოს გამაჰმადიანების გადვიტებული იმპულსი

ლეილა ცომაია

ოსმანთა (ოტომანთა) იმპერიის მიერ XVII საუკუნეში დაწყებული საქართველოს გამაჰმადიანება, რომელიც XIX საუკუნის დამდეგამდე გაგრძელდა (ვახუშტი, საქართველოს ც–ა 254–247, ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს საზღვრები“). როგორც ჩანს, ჯერაც არ მისცემია დავიწყებას და ამ რელიგიურ ექსპანსიონიზმზე, არც თანამედროვე – XXI საუკუნის თურქეთი აპირებს ხელის აღებას.

ქართველთა დაუსრულებელმა გოდებამ ტაო–კლარჯეთში არსებული 20–მდე ეკლესია–მონასტრების უნუგეშო მდგომარეობასა და ბედზე, თანამედროვე თურქეთის ხელისუფალთ, აშკარად, საქართველოს გამაჰმადიანების პრეისტორიული იმპულსი გაუღვიძა;

ძლევის იმპულსით აღძრული ოსმანთა იმპერია, თუ შუა საუკუნეებში ცეცხლითა და მახვილით იპყრობდა და იტაცებდა საქართველოს მიწა–წყალს და თავისკვეთით ამაჰმადიანებდა ქართველობას, დღეს – ჩვენი კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის მგრძნობიარე, ნაცვალგებითი ბერკეტით ლამობს მაჰმადიანობის პროპაგანდა–გავრცელებას საქართველოში. საამისოდ კი მათ სრული კარტ–ბლანში აქვთ მინიჭებული საქართველოს დენაციონალიზებულ ხელისუფალთა მხრიდან; კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს დირექტორის ნიკა ვაჩეიშვილის განცხადებით, თურქეთის მხარესთან მოლაპარაკების თანახმად, ტაო–კლარჯეთში არსებული ეკლესიების (ხანძთის, ოშკის, იშხანისა და ოთხთას) აღდგენისა და რე-

გაგრძელება მე-2 გვ.

დასაწყისი გვ. 1

აბილიტაციის სანაცვლოდ, უნდა მოხდეს სამი მეჩეთის განახლება (ორი სამცხე–ჯავახეთში, ერთი აჭარაში) და ერთი ახალი მეჩეთის, აზიზიეს მეჩეთის აშენება ბათუმის ცენტრში, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება სრულიად ქართველი ერი, თვით ბათუმის მოსახლეობა და საქართველოს საპატრიარქოც (იხ. განცხადება, ქვემოთ).

ზემოხსენებული კაბალური ხელშეკრულება, რომელიც მხარეებს შორის ოფიციალურად ჯერ არ გაფორმებულა, სააკაშვილისეული ხელისუფლების ნულოვანი ტოლერანტობის ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის გაგრძელებაა და უხეშად ლახავს ქართველთა ავტოქტონურ უფლებებს.

თანამედროვე აჭარაში, სადაც გასული საუკუნის 90–იანი წლებიდან აქტიურად მიმდინარეობს ტრადიციული რელიგიური ფესვებისაკენ მოსახლეობის მიბრუნების ანუ გაქრისტიანების ნებელობითი, ეროვნულ წარმომავლობასთან იდენტიფიცირებითი პროცესი, ამგვარ რეალობაში სრულ ანაქრონიზმად ჟღერს თურქული მხარის მოთხოვნა მეჩეთების განახლებისა და მეტადრე, ახლის აშენების შესახებ, თუნდაც კულტურული დანიშნულებით!

დღეს, „კულტურული დანიშნულებით“, თუ რაიმე უნდა აშენდეს აჭარაში, ბათუმის ცენტრში, სწორედ და მხოლოდ ოსმანთა რელიგიური ექსპანსიისა და ანექსიის მუზეუმი (ფილიალით სამცხე–საათაბაგოში), რაც აჭარის მომავალ თაობებს დღენიადაგ მუსლიმთა ურდოების ულმობელ სისასტიკეებს შეახსენებს და საკუთარი მიწისა და სარწმუნოების შენარჩუნების მზაობისათვის გაუხედნის გულსა და ყურებს („ნუ გათათრდები!“).

ტაო–კლარჯეთში არსებული IX–XIV საუკუნის ქართული ხელოვნების, კულტურული და რელიგიური დანიშნულების ძეგლების რეაბილიტაცია–გადარჩენა ყოველი ქართველის გულისმიერი სურვილია, ხოლო მათში ქრისტიანული წირვა–ლოცვის აღდგენა – სულისმიერი ნატვრაა, მაგრამ, როგორც ვაჩეიშვილი აცხადებს, ხელშეკრულებაში მხოლოდ 4 ძეგლის აღდგენაზეა საუბარი და ისიც თურქეთის რესპუბლიკის ტურისტული ინტერესების გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ საკითხი მეტად ფაქიზი და მგრძნობიარეა, დრო კი მხოლოდ ანგრევს და ანადგურებს ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას ტაო–კლარჯეთში, იქნებ, პრეზიდენტებს შორის პოლიტიკური მოლაპარაკების საგნად ვაქციოთ თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართული ძეგლის რეაბილიტაცია და მის საპირწონედ, აგრეთვე საქართველოში არსებული მეჩეთების რეაბილიტაცია დავდოთ და არამც და არამც ავაშენოთ ახალი!


იშხანი

დღევანდელ რეალობაში ეს უნდა იყოს ურთიერთმეზობლური ჟესტი ორი სახელმწიფოს პრეზიდენტების მხრიდან. დღეს XXI საუკუნეა და დამპყრობელი ერები სრულად უნდა გათავისუფლდნენ ძლევის იმპულსისაგან. ცივილიზაციამ და პროგრესმა მენტალობაშიც უნდა მოახდინოს გარღვევა. ხახულის, ოშკისა და სხვა ძეგლების დღევანდელი მდგომარეობა იგივე წარსულისმიერი ვანდალიზმია თურქეთის სახელმწიფოს მხრიდან და ეს სწორედ ასე უნდა შეფასდეს! სწორედ ამ მიმართულებით გვმართებს ქართველებს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიოს პროგრესული საზოგადოების ყურადღების მიქცევა.

ტაო–კლარჯეთში არსებული ქართული ძეგლები არ შედის იუნესკოს მფარველობის ქვეშ და ამის მიღწევაც მხოლოდ თურქეთის ხელისუფლების კეთილი ნებითაა შესაძლებელი და ისიც, მხოლოდ მათი აღდგენა–რეაბილიტაციის შემთხვევაში.

რეაბილიტაციის ნუსხაში შესულ 4 ძეგლზე სამუშაოები უნდა განახორციელონ ქართველმა სპეციალისტებმა და 15 მილიონ დოლარამდე საჭირო თანხაც ქართულმა სახელმწიფომ უნდა გაიღოს. იქნებ, შევადგინოთ პეტიცია ქართული, თურქული ხელისუფლებისა და თვით იუნესკოს სახელზეც, რათა მოგვცენ უფლება აღვადგინოთ თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ჩვენი ყველა ისტორიული ძეგლი, რისთვისაც გვჯერა, საქართველოს მოსახლეობა უშურველად გაიღებს ლარებს. ასევე გვწამს, რომ უცხოეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენები და ხელოვნების დარგის მდიდარი მუშაკებიც თავიანთ სოლიდურ წვლილს უეჭველად შეიტანენ ამ მამულიშვილურ საქმეში. მთავარია აქტივობა და ნებელობა, როგორც ხელისუფლების ასევე ქართველი საზოგადოების მხრიდან.

ვიმედოვნებთ, რომ ამ მამულიშვილური მოძრაობის ავანგარდში ჩადგებიან მწერლები, ხელოვნების დარგის მუშაკები, ისტორიკოსები, სტუდენტები, ეს იქნება საყოველთაო–სახალხო მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად უცხოეთში.

უნდა შეიქმნას ანექსირებული, ოკუპირებული და თვით გაჩუქებული (თურქეთის, ჩრდილო ქართლის, აფხაზეთის, ჰერეთის, სოჭის) ტერიტორიებზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მუდმივოქმედი ფონდი საბანკო რეკვიზიტით (ჩვენი რეკომენდაციაა ბანკი „ქართუ“, შეიძლება განხილულ იქნეს სხვა ბანკებიც: „თიბისი“, „რესპუბლიკა“), რამაც უნდა უზრუნველყოს ძეგლთა მდგრადობა მარადიულ მომავალში.

საფონდო შემოსავლების განმკარგავი და მაკონტროლებელი, ხელისუფლებასთან ერთად, უნდა იყოს საპატრიარქოსა და კულტურის დარგის საზოგადოებრივი წარმომადგენლები (განსაზღვრული რაოდენობა).

მხოლოდ ჩვენი სიფხიზლითა და გულმხურვალე ღვაწლით, შევძლებთ ამაოდ ვაქციოთ თურქ რეტროგრადთა მცდელობა, მოახდინონ რეგენერაცია თანამედროვე აჭარის მოსახლეობის სულიერებაში.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

2011-02-04
4 თებერვალი 2011 წელი

ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ ა.წ 18 იანვრის განცხადების შემდეგ საპატრიარქო ჩართული იქნებოდა იმ მოლაპარაკებებში, რომელიც თურქეთ-საქართველოს შორის მიმდინარეობს ტაძრებისა და მეჩეთების აღდგენის შესახებ.

სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა და პროცესი კვლავ ეკლესიის ინტერესების გათვალისწინების გარეშე ვითარდება, რაც ჩვენთვის მიუღებელია, რადგან ხახულისა და არდაშენის გადმოცემის, - ანუ ამ სახის ნაცვალგების, - გარეშე მეჩეთების მშენებლობის დაწყება გაუმართლებლად მიგვაჩნია. გვინდა განვმარტოთ, რომ არდაშენი არ არის მხოლოდ ტაძარი; იგია ისტორიული ლაზეთის საეპისკოპოსოს ერთ-ერთი ცენტრი და, აქედან გამომდინარე, მისი აღდგენა არა მარტო არდაშენის, არამედ მთელი ამ მხარის, – ლაზეთის, ქართული ეთნოკულტურისა და საეკლესიო სივრცის განუყოფელ ნაწილად წარმოჩენას ნიშნავს. იგივე ითქმის ტაოში ხახულის მონასტრის ამოქმედების შესახებ. ვფიქრობთ, აქ მეჩეთის ფუნქციონირება თურქებისთვისაც კი დიდ საჭიროებას არ უნდა წარმოადგენდეს, მითუმეტეს რომ თურქეთში არსებულ ბერძნულ ტაძრებში მეჩეთები არ ფუნქციონირებს, ხოლო ახლახან ერთ-ერთ სომხურ ტაძარზე ჯვარიც კი დაიდგა.

ბოლოს კი დავძენთ, რომ საქართველოში აშენებული და ასაშენებელი მეჩეთები, მუსლიმთა ორგანიზაციის საკუთრება არის და იქნება, ხოლო თურქეთში აღსადგენი ტაძრები დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს და საქართველოს ეკლესიის საკუთრებაში არ მოიაზრება, რაც სამართლიანი არ არის.

ვიმედოვნებთ, საქართველოს ხელისუფლება ჩვენს კონსტრუქციულ წინადადებას გაითვალისწინებს მოლაპარაკებებისას.

ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები სკოლაში

საქართველოში სასკოლო განათლების სისტემამ ყველაზე დამანგრეველი დარტყმა, ჯერ კიდევ 1992 წელს მიიღო, როდესაც განათლების მინისტრად ქვეყანას კოტე გაბაშვილი მოევლინა. ე.წ. სახელმწიფო საბჭოს მიერ მინისტრად დანიშნულმა კოტე გაბაშვილმა სრულად დაანგრია ყველა ის საყრდენი, რაზეც დგას სკოლა, სასკოლო განათლება და აღზრდა. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ, ე.წ. სახელმწიფო საბჭოსა და ე.წ. დროებითი მთავრობის მთელი „მოღვაწეობა“ მიმართული იყო ყოველივე ეროვნულის, დემოკრატიულისა და პროგრესულის ნგრევისაკენ. სკოლაში დაინგრა სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესი, დაინგრა დისციპლინა და წესრიგი, გაბატონდა პოლიტიკური ნიშნით პედაგოგთა დევნა, მოიშალა მეთოდური და თეორიული მუშაობა, სკოლამ პრაქტიკულად შეიცვალა ფუნქციური მნიშვნელობა. ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად და მონდომებით განხორციელდა უზურპატორთა მიერ მინისტრად მოვლენილი კოტე გაბაშვილის „მოღვაწეობის ჟამს“. ასე გაგრძელდა თერთმეტი წელი. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ, კოტე გაბაშვილის მიერ დაწყებული „მოღვაწეობა“, სკოლის ერზაც–სკოლით ჩანაცვლების „საქმეში“ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტიდან გააგრძელა მისმა ვაჟმა გიორგი გაბაშვილმა. მისი აქტიურ–ინიციატივიანი მხარდაჭერით, 2004 წელს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ალექსანდრე ლომაიას „მომზადებული“ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით, რომელიც ასევე გიორგი გაბაშვილის აქტიურ–ინიციატივიანი „მოღვაწეობით“ იქნა გატანილი, საბოლოოდ დააგვირგვინა მისი მამის დაწყებული „საქმე“. ამ დოკუმენტებმა ბოლო მოუღეს სკოლაში კონკრეტული დისპლინების საფუძვლების ცოდნას, იგი ჩანაცვლდა უნარ–ჩვევებით. მოსწავლეებს წაერთვათ თეორიული ცოდნა, შესაბამისად აბსტრაქტული აზროვნების განვითარების საშუალება. ე.წ. საჯარო სკოლა იქცა დროებითი კონცენტრაციის დაწესებულებად, სადაც განათლება და აღზრდა პრაქტიკულად აღარ მიმდინარეობს. როგორც დირექტორები, ასევე ერზაც–თვითმმართველობის ორგანოები – სამეურვეო საბჭოები სამინისტროს მხრიდან ფარული ნომენკლატურული შერჩევითა და ასევე ფარული ადმინისტრაციული დანიშვნით ევლინებიან საჯარო სკოლებს.

რამდენადაც სკოლაში – კონცეფციამ და კანონმა ფუნდამენტალური გადატრიალება მოახდინეს და პედაგოგს დაუკარგეს განმანათლებლისა და აღმზრდელის ფუნქცია, ამ დროებითი კონცენტრაციის დაწესებულებაში, მიხეილ სააკაშვილის „ნაციონალურმა“ რეჟიმმა „ჟანდარმთა კორპუსი“ ანუ მანდატურთა სამსახური შეიყვანა. 2010 წლის ივნისში „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა და დამატებებმა ამ ყოველივეს „სამართლებრივი“ საფუძველი შეუქმნა.

საჯარო სკოლებში მანდატურის სამსახურის ამ ფორმითა და შინაარსით შექმნამ პედაგოგი საჯარო კომენტატორად აქცია, ხოლო მოსწავლის პირადი ცხოვრება და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება სერიოზული და უმნიშვნელოვანესი გამოწვევის წინაშე დააყენა. 2010 წლის ივლისში განხორციელებულმა ცვლილებებმა და დამატებებმა ზუსტად არ შემოსაზღვრა პირადი გასინჯვისას და ძალის გამოყენებისას მანდატურის უფლებამოსილების ფარგლები, არ გაითვალისწინა სკოლის დისციპლინის დაცვის მოტივით შემზღუდველი ღონისძიებების გამოყენების საერთაშორისო სტანდარტები, დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე–17 მუხლი და შექმნა ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ისეთი რისკი, როგორიც არის მოსწავლის ფიზიკური დასჯა.

2011 წლის თებერვალში საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით პარლამენტს წარედგინა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებებისა და დამატების შესახებ კანონის პროექტი. ამ შემთხვევაშიც გიორგი გაბაშვილის აქტიური ინიციატივით 2011 წლის მარტშივე პარლამენტმა მიიღო ეს კანონპროექტი. შედეგად, „ჟანდარმთა კორპუსმა სკოლაში“, ანუ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მანდატურის სამსახურმა არა მარტო შეინარჩუნა, არამედ დაიმატა მართლაცდა „ჟანდარმული“ ფუნქციები. ეს ცვლილებები ისეთ ახალ გამოწვევებს უყენებს საზოგადოებას, რომ აუცილებელია მასზე განსაკუთებული ყურადღების გამახვილება.

ა) პირადი გასინჯვის უფლება

აღნიშნული ცვლილებით „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში მკიდრდება „პირადი გასინჯვის“ ცნება, რაც გულისხმობს „მოქმედებას, რომლის მიზანია დისციპლინარული გადაცდომის იარაღის, იმ საგნის, რომელსაც დისციპლინარული გადაცდომის კვალი ატყვია, დისციპლინარული გადაცდომით მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნის და დოკუმენტის, რომელიც საჭიროა დისციპლინარული გადაცდომის გარემოებათა გასარკვევად, აღმოჩენა და ამოღება სკოლაში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მიერ ან მანდატურის არარსებობის შემთხვევაში სკოლის უფლებამოსილი პირის მიერ“. წარმოდგენილი ტექსტი არ აზუსტებს კრიტერიუმს, რაც გამიჯნავდა „პირად გასინჯვას“ ჩხრეკისაგან. საქართველოს კონსტიტუციის მე–20 მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, ჩხრეკისათვის აუცილებელია სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თავის ერთ–ერთ გადაწყვეტილებაში გადაუდებელი აუცილებლობა შემდეგნაირად განმარტა: „გადაუდებლობა მიუთითებს დროის სიმცირეზე რაც უფლების შესაზღუდად მოსამართლის ბრძანების მოპოვების საშუალებას არ იძლევა და საჭიროებს დაუყოვნებლივ მოქმედებას“. ცვლილების მიხედვით კი „პირადი გასინჯვა“ ტარდება იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა საკმარისი დრო მოსამართლის ბრძანების მოსაპოვებლად. ამასთან, დღის წესრიგში დგება პირადი გასინჯვის ჩხრეკისაგან გამიჯვნის საკითხი, რადგან იგი წარმოადგენს ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის მძიმე ფორმას. ცვლილების მიხედვით „პირადი გასინჯვისას“ არ არსებობს მასზე ავტომატური სასამართლო კონტროლი.

რა შეიძლება იყოს ამ ცვლილების ალტერნატივა. ნათელია რომ მას შემდეგ, რაც საჯარო სკოლაში დღისით–მზისით სანთლით ხელში საძებარი გახდა წესრიგი და დისციპლინა, საჭიროა კონკრეტული ზომების მიღება, რომ დაცული იქნეს უსაფრთხოების ელემენტარული ნორმები, პირადი გასინჯვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სახიფათო საგნებისა და ნივთიერებების ამოღების მიზნით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მტკიცებულებები მიუთითებენ კონკრეტულ პირზე. აღნიშნულ პირს უნდა ეთხოვოს ნებაყოფლობით წარმოადგინოს საეჭვო საგანი ან ნივთიერება და მხოლოდ უარის შემთხვევაში მოხდეს პირადი გასინჯვა ეთიკის ნორმების დაცვით. პირადი გასინჯვა შეიძლება მხოლოდ სკოლის დირექტორისა და კლასის დამრიგებლის თანხმობითა და თანდასწრებით მანდატურის მიერ. კატეგორიულად დაუშვებელია მოსწავლის პირადი გასინჯვა სხვა მოსწავლეების თანდასწრებით. ზემოთ აღნიშნული ნორმების დაცვის გარეშე არ შეიძლება არავითარი პირადი გასინჯვა.

ბ) ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენება

ცვლილებებმა, მანდატურებს მიანიჭა ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ არ აკონკრეტებს, თუ რა ფიზიკური ძალის ან სპეციალური საშუალებები შეიძლება იქნეს გამოყენებული მანდატურის მიერ. თუმცა, თუ „პოლიციის შესახებ“ კანონში ჩავიხედავთ, ვნახავთ, რომ სპეციალური საშუალებებია: „ხელბორკილი ან შებორკვის სხვა საშუალება, არალეტალური იარაღი, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქ–ბგერითი მოწყობილობა, დაბრკოლების დამანგრეველი და ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება, წყალსატყორცნი, ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება, სპეციალური საღებავი, სასამსახურო ძაღლი და ცხენები, ელექტროშოკური მოწყობილობა“.

გამოდის, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრ დიმიტრი შაშკინის დაფუძნებულ „სკოლის ჟანდარმთა კორპუსს“ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღსაკვეთად შეუძლია მიმართოს ისეთ სპეციალურ საშუალებებს, როგორიც არის ცრემლსადენი გაზი, რეზინის ტყვიები, წყალსატყორცნი და ჯავშანმანქანა, დააკავოს პირი და აიძულოს ძაღლებითა და ცხენებით, ელექტროშოკით.

ამ მიზნით საჯარო სკოლა აპირებს მოსწავლეებს ისეთი უნარი და ჩვევები განუვითაროს, რომელიც შეიძლება მართლაც გამოადგეს საბაზრო ფუნდამენტალიზმის დიქტატურის პირობებში, მაგრამ სჭირდება კი საქართველოს სკოლებში რეზინის ტყვიების ზუზუნი, დატბორილი საკლასო ოთახები ან ცრემლსადენი გაზით გაჯერებული დერეფნები? თუ, უკეთესი იქნება, სკოლას დაუბრუნდეს განათლებისა და აღზრდის ფუნქცია, ხოლო სკოლაში მომუშავე პერსონალს პედაგოგის უფლება–მოვალეობა.

ბავშვის უფლებების კონვენციის საფუძველზე შექმნილმა ბავშვის უფლებების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტმა 2007 წლის 2 მარტს გამოქვეყნებულ თავის კომენტარების მე–15 პუნქტში აღნიშნა: „მასწავლებლებს, სხვა პირებს, რომლებიც დაწესებულებაში მუშაობენ ბავშვებთან, მათ შორის კანონთან წინააღმდეგობაში მყოფ ბავშვებთან... უნდა ჰქონდეთ გავლილი ტრენინგი ასეთი ბავშვების მიმართ მინიმალურად აუცილებელი ძალის გამოყენებისას“. მანდატურების მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების ტაქტიკასთან დაკავშირებით ბავშვის უფლებების კონვენციის შესაბამისი ტრენინგები დღემდე არ გაუმართავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

ბავშვის უფლებების გაეროს კომიტეტმა თავის კომენტარებში ასევე აღნიშნა: „მინიმალურად აუცილებელი ძალა ყოველთვის გამოიყენება დროის ყველაზე უმოკლეს პერიოდში. აუცილებელია დეტალური ინსტრუქციები, რათა მინიმუმამდე დავიდეს შემზღუდველი ძალის გამოყენება და გამოყენებული მეთოდი იყოს უსაფრთხო და სიტუაციის პროპორციული. უნდა გამოირიცხოს კონტროლის ფორმად ტკივილის განზრახ მიყენება“.

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში აუცილებლად უნდა აისახოს შემდეგი:

1) *განზრახ ტკივილის მიყენება და დამცირება აკრძალულია;*
2) *გამოყენებული ფიზიკური ძალა და სპეციალური საშუალება არ უნდა უქმნიდეს პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხეს;*
3) *ფიზიკური ძალა და სპეციალური საშუალებების გამოყენება უნდა იყოს გადაუდებლად აუცილებელი და პროპორციული;*
4) *ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების ყოველი ფაქტი უნდა ეცნობოს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისს;*
5) *სპეციალური საშუალებებიდან რჩება მხოლოდ ის საშუალებები, რაც დასაშვებია არსებული საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს.*

გ) საგანმანათლებლო დაწესებულების რეგულირება

ცვლილებების მიხედვით საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური იქმნება, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, იმ ვითარებაში, როცა არსებობს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ და მასში არაა გათვალისწინებული მანდატურის სამსახური. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ასეთი ნორმის აღნიშვნა, სულ მცირე, კანონთა შორის წინააღმდეგობას წარმოშობს.

აღსანიშნავია, რომ მანდატურის სამსახური განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ამ სკოლებზე ბიუროკრატიული გავლენის ბერკეტს აძლევს. დღეს საქართველოს სასკოლო სისტემაში მიმდინარე „პერმანანტული რეფორმები“ მხოლოდ და მხოლოდ ერთ სტრატეგიულ მიზანს ემსახურება. ეს არის უსამართლობისა და უთანასწორობის ბაზაზე აგებული სოციალური სელექციის სისტემის შექმნა. ასეთია მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკა.

რა შეიძლება ეპასუხოს ამ პოლიტიკას?

საქართველოს სამოქალაქო სექტორმა, განსაკუთრებით პროფკავშირებმა, პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ, მშობლებმა უნდა გაშალონ სამოქალაქო–საზოგადოებრივი მოძრაობა, რომლის სამოქმედო პროგრამის საფუძველი უნდა გახდეს მოთხოვნები:

ა) სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა განათლების მიღებაში, ანუ ერთი ერი ერთიანი სასკოლო სისტემა;

ბ) საერთო მეცნიერულ განათლებაზე დაფუძნებული ერთიანი ეროვნული სკოლა;

გ) სკოლის ორგანიზაცია რესურსების მობილიზაციისა და კოორდნაციის საფუძველზე;

დ) სკოლის მიერ საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ეფექტური მონაწილეობისათვის მზადყმოფი მოქალაქის აღზრდა;

ე) სწავლების შინაარსის ჩამოყალიბება ქართული კულტურისა და ტრადიციების გათვალისწინებით.

ნათელია, რომ სკოლის ჰუმანიზაცია მხოლოდ პასუხისმგებლობის, წესრიგისა და დისციპლინის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს. ამ საქმეს კი შეიძლება მხოლოდ პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ და სამოქალაქო–სოციალურმა მოძრაობამ გაართვას თავი და არა, ბიუროკრატიულმა ვოლუნტარიზმმა თუ სუბიექტივიზმმა, თუნდაც მას ზურგს „სასკოლო ჟანდარმერიის კორპუსი“ უმაგრებდეს.

დავით არაბიძე,
განათლების ეროვნული კავშირის მდივანი

ამბავი – მოლაზე, რომელმაც თავისი ვირი, და პრეზიდენტზე, რომელმაც თავისი ხალხი ჭამას გადააჩვია

ვისაც მოლა ნასრედინის ოხუნჯობანი წაუკითხავს, უნდა ახსოვდეს, რომ მოლა შეძლებული კაცი არ ყოფილა. ის საკმაოდ ხელმომჭირნედ ცხოვრობდა, ამიტომ თავს ფუფუნების უფლებას ვერ მისცემდა. საკუთარ ვირსაც კი, რომელიც შინაურ ცხოველებში ისედაც მცირე კვებით გამოირჩევა, მოლამ, ეკონომიის მიზნით, ულუფა თანდათან შეუმცირა და ბოლოს საერთოდ შეუწყვიტა. ვირმა მოლას გულის გასახარად გარკვეული ხანი კიდევ გაძლო, მაგრამ უჭმელობამ თავისი გაიტანა და ერთ მშვენიერ დღეს თქვენი ჭირიც წაიღო! მოლამ ვირის სიკვდილი ძალიან გაიკვირვა და წამოიძახა, – აფსუს! რა დროს მომიკვდა, ჭამას რომ გადავაჩვიეო.

ეს დღე ელის ქართველ ხალხსაც.

ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენი პრეზიდენტი მდიდარი კაცია, ის დრო, სოროსს რომ ეხვეწებოდა ხელფასებზე ცოტა წაგვიმატეო, ვიღას ახსოვს! ქართული ანდაზა კი ბრძანებს – მაძღარ მღვდელს მშიერი დიაკვანიც მაძღარი ეგონაო. ჩვენი პრეზიდენტი – დილით ბათუმში საუზმობს, სიღნაღში სადილობს, ზუგდიდში ვახშმობს, ღამით კი თბილისში ქეიფობს; მისი ხალხი კი ნაგავში იქექება და ნარჩენებს ეძებს.

არადა, რა კარგად იწყებოდა ყველაფერი! პრეზიდენტად არჩევიდან რამოდენიმე დღეში, როდესაც დავოსში მიფრინავდა, მან საერთო კლასის ბილეთით იფრინა და ქართველ ხალხს რიხით განუცხადა: „როგორ! მე შევარდნაძე ხომ არა ვარ, ხალხის ფულს რომ არ გავუფრთხილდე და თავს იმისი უფლება მივცე, რასაც ის აკეთებდა, როდესაც მთელი ამალით დაფრინავდაო“ – მაგრამ, პრეზიდენტობიდან ძალიან ცოტა ხანში თავისი სიტყვები ქარს გაატანა. მადა ჭამაში მოდისო ნათქვამია და ისეთი რამეების კეთება დაიწყო საწყალ შევარდნაძეს, არც დაესიზმრებოდა. ფუფუნებითა და განცხრომაში ცხოვრებით ნავთობში მოცურავე არაბი შეიხები, სულთნები, შახები, რაჯები და რა ვიცი კიდევ აღმოსავლეთში ნეტარებით დროის ტარების მოყვარულები, ყველანი უკან ჩამოიტოვა.

საერთო კლასის ბილეთებმა მოგჭამა ჭირი, დაივიწყა მათხოვარი ქვეყნის პრეზიდენტი რომ არის და ამერიკის პრეზიდენტს დაუწყო მიბაძვა. ჯერ იყო და ქართველი ხალხის ნაოფლარით ისეთი თვითმფრინავი შეიძინა, ყველა სახის მომსახურეობაში რომ გამოადგება სულთანს. მერე აიჩემა, ცალკე რეზიდენცია უნდა მქონდესო – კი ბატონო! ესეც ისეთი გაიკეთა ამერიკის ვიცე–პრეზიდენტს ჯო ბაიდენს მისი ნახვისას პირი ღია დარჩა.

როგორ არ გავიხსენო პოლონეთის მართლაც სახალხო პრეზიდენტი, რომლის მეგობრობასაც იჩემებდა და მას არაფერში დაემსგავსა. კაჩინსკის, სახელმწიფომ, 50 წლის წინანდელი დანჯღრეული „ტუ“ გამოუყო და რამოდენიმეჯერ გადაურჩა სიკვდილს. პოლონეთმა კი, ამ ევროპულმა ქვეყანამ უზარმაზარი შესაძლებლობებით, იმისი უფლება ვერ მისცა ხაზინას, რომ თავისი პრეზიდენტი მეტ–ნაკლებად საიმედო თვითმფრინავით უზრუნველყო. სანამ ეს ყველაფერი ტრაგედიით არ დასრულდა.

აი, ასეა იქ, სადაც კანონს არ ხედნიან და მართლა უფრთხილდებიან ხალხის ფულს, მათ სოციალურ პრობლემებს. ჩვენთან კი, ხალხი არასოდეს ყოფილა მთავრობის მხრიდან განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტი; ჩვენთან მთავარია მთავრობა იყოს კარგად. მერე გვიკვირს – რატომ არის, რომ ხელისუფლებაში მოსასვლელად ჩვენი ვაიპოლიტიკოსები კბილებით, ფრჩხილებით და ღმერთმა უწყის კიდევ რით არ იბრძვიან. ყველაფერი ეს კი ქვეყანაზე და მისი მომავლისთვის თავის გაწირვით საღდება. მაგრამ ტყუილია ამათი მკერდზე მჯიღის ცემანი – არ დაიჯეროთ ქართველებო!.. ყველა ესენი უკლებლივ, დიდი და პატარა, მსუქანი თუ გამხდარი, ვინც ხელისუფლებაშია და ისინი, ვინც ხელისუფლებაში მოსვლისათვის იკლავენ თავს, გახსოვდეთ! – ფულისათვის, პირადი გამორჩენისათვის აკეთებენ ამას! სამშობლო და ხალხი კი მათთვის მხოლოდ სალაპარაკო მასალაა.

ხალხზე ზრუნვით, ვითომ უძილო ღამეებში ფიქრით დამძიმებული მოვიდა ხელისუფლებაში ჩვენი ნომერი პირველი რეფორმატორი პრეზიდენტი. მაგრამ ხალხი, როგორ ახსოვს, ამაზე მისი სოციალური პოლიტიკაც მეტყველებს, კერძოდ: ყველაზე მაღალი საპენსიო ასაკი მთელს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ყველაზე მაღალი კომუნალური გაასახადები – ამავე რესპუბლიკებს შორის; ყველაზე მაღალი ფასები პროდუქტებზე ამავე სივრცეში და ბოლოს ქვეყნებს, რომელსაც ის ხშირად დაცინის და ეკონომიურად ჩამორჩენილებს ეძახის – გაცილებით უფრო მაღალი პენსიები აქვთ – ვიდრე გაძვალტყავებულ ქართველებს.

მაშინ ისმის კითხვა! – რაშია ეს კაცი ნომერი პირველი რეფორმატორი?! მე გეტყვით, პიარის მოწყობაში, ათეულობით მილიონი ღირებულების შოუების ორგანიზებაში, თავისი ელიტისათვის უზარმაზარი ხელფასებისა და ბონუსების დანიშვნაში.

ჩემო მიშა!! ძველ რომაელებს, თუ გინდა მიბაძო და ხალხს სანახაობით დაავიწყო პრობლემები, მაშინ მთავარი რატომ გამოგრჩა, სანახაობასთან ერთად ხალხს პურიც უნდა მისცე! ეს ძველი რომაელების მართვის მთავარი ატრიბუტია. შენ კი, მშიერ ხალხს ლაზარესი არ იყოს, რას ეუბნები? თუ ქშიათ, იცეკვეთო! და ცეკვის გაკვეთილებიც კი შემოიღე სკოლებში. ეტყობა, ბავშვობაში ცეკვას იყავი დანატრებული და ლუარსაბ თათქარიძე, როგორც იტყოდა, არავინ გამოგითამაშა. ბევრი ქვეყნისა და დიქტატორის ისტორია ვიცი, წამიკითხავს, მისწავლია, მაგრამ მშიერ ხალხს ცეკვის გაკვეთილებს უტარებდნენ, ასეთი რამე არ გამიგია!

მაშინ რატომ არის, რომ მე პრეზიდენტად მირჩევენ, ჩემს ელიტას კი პარლამენტშიო? მკითხავს ჩვენი პრეზიდენტი. ნაწილობრივ ეს სწორია! საქმე იმაშია, რომ დასავლეთში განათლებამიღებულ ჩვენს პოლიტიკოსებს ცოდნისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ბევრი ეშმაკო-



ბები ასწავლეს, თუ როგორ უნდა აურიო გზა და კვალი, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, ისედაც გონება დამახინჯებულ ადამიანებს. რომელთა უმრავლესობას, შეჩვეული ჭირი ურჩევნია დაპირებულ ლხინს. ქართველი ამომრჩეველი შეიძლება ოთხი წელი აშიმშილო, გადაუარ–გადმოუარო, არჩევნების წინ თითო საპონი ჩამოურიგო და საერთოდ დაავიწყდებათ ოთხი წლის შიმშილი. რითაც მშვენივრად მანიპულირებენ ხელისუფლებაში მოკალათებული ნაცები.

გაიხსენეთ, ჩვენი პრეზიდენტის ვიცე–სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც პოლიტიკური კონიუქტურიდან და არა ზნეობიდან გამომდინარე გადაუდგა თავის აღმზრდელსა და მასწავლებელს ე. შევარდნაძეს და გარკვეული დროით, ოპოზიციაში გადაბარგდა. მაშინ მან ბუკი–ნაღარა დაცხო და მთელს საქართველოს იმისი მტკიცება დაუწყო, რომ შევარდნაძის ოთხას მილიონიანი ბიუჯეტის პირობებშიც კი სრული შესაძლებლობა არსებობდა პენსიონრებისათვის 150 ლარიანი პენსიის გაცემისა. და ამის საილუსტრაციოდ მართავდა პრესკონფერენციებს, სადაც თან დაჰქონდა სტენდები, დიაგრამები და გამოანგარიშებები. შემდეგ, როდესაც ხელისუფლებაში სწრაფად მობრუნდა, საქართველოს ბიუჯეტი კი 7 მილიარდი გახდა, მექსიკური მრავალსერიანი ფილმების გმირივით ამნეზია დაემართა და ტვინის ის ნაწილი, რომელიც პენსიონერებისათვის 150 ლარიანი პენსიის დაპირებაზე იყო ორიენტირებული, გაეთიშა. სამაგიეროდ მთელი ძალით აუმუშავდა ტვინის ის ნაწილი, რომელიც პირადად მისი, ძმის და სხვა ახლობელი ნათესავების კეთილდღეობას უზრუნველყოფს.

სულ ახლახან გაირკვა, რომ ჩვენი პრეზიდენტის ერთ–ერთი ვარსკვლავ ბიჭუნა და ფავორიტი ვარძელაშვილი, გუბერნატორობის დროს,სამი ათასიანი ხელფასის პირობებში – დამატებით ყოველთვე თავის თავს პრემიის სახით უწერდა ასევე სამი ათას ლარს. როდესაც ქვეყანაში ასეთი უმძიმესი სოციალური სიტუაციაა, რა მორალი უნდა გქონდეს ასე იქცეოდე, და ეს მაშინ, როდესაც ამ ვაჟბატონებს, როგორც ამბობენ, მილიონობით ჩრდილოვანი შემოსავალი კიდევ ცალკე აქვთ. სხვათაშორის პირდაპირ ეთერში დაურეკეს და კითხეს, ამას რატომ აკეთებდიო? – ფავორიტმა ასეთი პასუხი გასცა: იქ უფროსი არავინ მყავდა და აბა, სხვა ვინ გამომიწერდა თუ ისევ მე არაო. ჩვენს პრეზიდენტს, რომ ეკადრება ზუსტად ისეთი პასუხია.

გამახსენდა რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I, როდესაც ტახტზე ავიდა, ჩინით პოლკოვნიკი იყო, გარემოცვამ ურჩია გენერლობა მიეღო. მან კი, ჩვენი პრეზიდენტის კორუმპირებული ელიტისაგან განსხვავებით, ასე მიუგო: გენერლობას მე თვითონ ვანიჭებ და ჩემ თავს მე ხომ არ მივაკუთვნებო, და სიცოცხლის ბოლომდე პოლკოვნიკი დარჩა. ვარძელაშვილი, ალბათ მარშალი გახდებოდა, მერე ასეთი ..... რომლებითაც გამოტენილია სააკაშვილის ჯარი, თავქუდმოგლეჯილები მორბიან, რუსი მოდისო! მინდა ვკითხო პრეზიდენტს – თქვენს გუბერნატორს, კაცობაში, რუსი იმპერატორი რომ აჯობებს, იმ ქვეყანას ვისი ან რისი იმედი უნდა ჰქონდეს?

ბატონო პრეზიდენტო! ამას წინათ ინგლისის პრემიერის გორდონ ბრაუნის კაბინეტის სამი მინისტრი მხოლოდ იმისთვის გადადგა, რომ ბიუჯეტის სამასამდე ფუნტი სტერლინგი ქონდათ პირადი მიზნებით დახარჯული, ანუ ექვსასი ლარი. გესმის? პირველო რეფორმატორო! ექვსასი ლარის გამო გადადგნენ ინგლისის მინისტრები, თქვენები კი, ათეულობით მილიონს თქვენივე ნებართვით ისე აქრობენ, კოპერფილდს შეშურდებოდა. მეკითხებიან, კი მაგრამ, ეს ევროპული განათლება მიღებული პრეზიდენტი ამას როგორ გუობსო? მე კი მეცინება! განათლება შეიძლება ქონდეს ევროპული, მაგრამ მენტალიტეტი კომუნისტური დარჩა, მისმა მასწავლებელმა ე. შევარდნაძემ ასე ასწავლა: შენთან დაახლოებული ჩინოვნიკები კორუფციაში არ უნდა შეზღუდო, თუ გინდა ადვილად მართოო. ეს ტოტალიტარული რეჟიმის საფუძველთა საფუძველია. კომუნისტურ მენტალიტეტს ევროპული განათლება არ შველის, სორბონის უნივერსიტეტი ქონდა დამთავრებული კომუნისტ პოლ პოტს, ორი მილიონი თავისი ხალხი შიმშილით, რომ გაჟუჟა. ღმერთო გვიშველე! ხეზე უნდა დავაკაკუნო, ენამ არ მიყივლოს.

მაგრამ რა – წერე და იკითხე! ჩვენი პრეზიდენტი თავისი ჩინოვნიკებით ძალიან კმაყოფილია. ყველას კარგად ახსოვს, როგორ უფრიალებდა ის უკვე დაუძლურებულ შევარდნაძეს მისი ჩინოვნიკების სასახლეთა სურათებს. ახლა თვითონ მას უფრიალებენ, მაგრამ პრეზიდენტი დუმს. არადა, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, თანაც საჯაროდ, მკაცრად მოძღვრავდა თავის ელიტას და იფიცებოდა, რომ არავის შეარჩენდა ქართველი ხალხის ძარცვას. როგორც გამოვარკვიე, ამ დროს მარცხენა ხელზე თითები ქონია გადაჯვარედინებული, რაც კგბ-ს გენერლის ოჯახში გაზრდილისათვის, ყველა ფიცისაგან გათავისუფლებას ნიშნავს. პრეზიდენტი საბჭოთა ავადმყოფისა არ იყოს თვლის, რომ მისი კორუმპირებული ელიტა ყველაზე პატიოსანი კორუმპირებულია. ისე სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საზოგადოებისათვის თვალებში ნაცრის შესაყრელად, ქვედა და საშუალო რგოლში კორუფციას მართლაც ებრძვიან. თუმცა, ამ წლების განმავლობაში ერთხელ გამონაკლისიც მოხდა, როდესაც ნაცების ერთ–ერთ სახეს თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს გამოუდგნენ, ყველა ცოდვები ამოუქექეს და წინ დაულაგეს. გაირკვა, რომ ჟანგიანი ტანკებისა და ჩამოწერილი, უვარგისი იარაღის შეძენისას, უხარისხო სამხედრო ყაზარმების აშენებისას – ათეულობით მილიონი ლარი იქნა მითვისებული ბიუჯეტიდან. არ გაინტერესებთ? რა კომენტარები გაუკეთა ყოველივე ამას ოქრუაშვილთან ერთად პასუხისმგებელმა პირმა, პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ, რომელსაც თავისი მოგვარის კახა თარგამაძის მილიონები ნერვებს უშლიდა და ერთი სული ქონდა, როდის ჩაენაცვლებოდა მას. აი მისი გამონათქვამი: პრეზიდენტობა რომ არ ▶

გვარგადაკეთებულნი, ანუ საკუთარი გვარ–ჯილაგის უარმყოფელნი

გვარ–სახელების იურიდიულად გადაკეთება, არც ერთ ეპოქაში და არც ერთ კონტინენტზე, რაიმე სახის კრიმინალურ ან სახელმწიფოებრივ დანაშაულად არ ყოფილა შეფასებული და მიჩნეული, არამედ ყოველთვის ადამიანის თავისუფალი ნების გამოხატულებას წარმოადგენდა.

საკუთარი მე–ს თვითრეალიზაციისა თუ გარემო ფაქტორებთან ადაპტაციის მიზნით, ამგვარ ხერხს, უფრო სწორად კი, მანიპულაციას, ადამიანები ყველა დროსა და ეპოქაში მიმართავდნენ. ამ მრუდე ცნობიერებიდან გამომდინარე, არც ჩვენ გვკლებია მსგავსი ფიქციონერ–პრაგმატიკოსები, რომელთა კეთილ საქმეთა მომსწრენი იშვიათად ვყოფილვართ, უფრო და ხშირად კი – „კოკას შინა რაცა დგას“ იგივეს წარმოდინების.

ქართული ბეჭდური მედია არასოდეს მორიდებია ასეთთა გამომზეურებას და არც ჩვენ ვერიდებით.

ვაქვეყნებთ გვარგადაკეთებულთა, ანუ საკუთარი გვარ–ჯილაგის უარმყოფელთა გენეტიკასთან ავთენტურ გვარებს:

მიხეილ სააკაშვილი – სააკოვი
გიგი წერეთელი – გაკვასიანი
ზურაბ ნოღაიდელი – მარქაროვი
თემურ ჭყონია – ავკოფოვი
ხათუნა გოგორიშვილი – ბაღდასაროვი
ირაკლი ოქრუაშვილი – ვასკანოვი
ნინო ბურჯანაძე – ნავცოიანი
გოკა და კოტე გაბაშვილები – შახნაზარიანი
ზურაბ ჟვანია – ანტონიანი
ირინა სარიშვილი – პირუმოვა
ინგა გრიგოლია – გრივიცკაია
ნოდარ გრიგალაშვილი – ჯიკაევი
გელა ბეჟუაშვილი – მარტიროსოვი
ლევან რამიშვილი – მასროპიანი
ნინო ნაკაშიძე (ელჩი ჩეხოსლოვაკიაში) – არუთინიანი
კახა ჩიტაია – გალუსტოვი
ვალერი კვარაცხელია – ბაღჩოიანი
ვახტანგ ხმალაძე – მანუკინიანი

ამბავი – მოლაზე, რომელმაც თავისი ვირი, და პრეზიდენტზე, რომელმაც თავისი ხალხი ჭამას გადააჩვია

მოენდომებინა, ახლაც თავის ადგილზე იქნებოდაო.

ამბობენ, ალველაძემ და კეზერაშვილმა ბიუჯეტიდან მოსაპარად დაწესებულ საპრეზიდენტო კვოტას რამოდენიმეჯერ გადაამეტეს. მაგრამ ისინი უხმაუროდ წავიდნენ, კურდღლებივით გაისუსნენ და პრეზიდენტს თავიანთი დევნის საბაბი არ მისცეს. ხოლო მითვისებული ასეული მილიონი რა გასახსენებელია, როდესაც საქმე შენს ელიტას ეხება – ეს ხომ საქართველოა და არა ინგლისი. ანგარიშვალდებული ხარ ვინმეს წინაშე თუ პასუხს გთხოვს ვინმე რამეზე. შენ დაუკარ!!

საინტერესოა ვიცოდეთ რა განსხვავებაა ე. შევარდნაძისა და სააკაშვილის ბიუჯეტებს შორის. შევარდნაძის ჩინოვნიკები ფულს მანამდე იპარავდნენ, სანამ ბიუჯეტში შეიტანდნენ, სააკაშვილის ბიჭბუჭებს, ჯერ შეაქვთ ბიუჯეტში, მერე გამოაქვთ და ულხენენ. და მერე, როგორ! ერთი პერიოდი ისე გაუტიეს, ეშენელონებით ჩამოყავდათ, რბილად რომ ვთქვა, მოცეკვავე გოგოები უკრაინიდან. ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს და კომიკური ფორმა რომ მიიღო, იფიქრეს იმათ ჩამოყვანას ჩვენ ჩავიდეთ იქ ჯობიაო და ასეც იქცეოდნენ. სულ ახლახან ერთი ტელევიზია ამტკიცებდა ქართული დელეგაცია ლისაბონში ნატოს სამიტზე ჩვენ რომ გვეგონა – ქვეყნის ინტერესების დაცვას მთელ ძალასა და ენერგიას უთმობდა, 80 მეძავი ყოლიაო დაქირავებული. სიმართლე გითხრათ ველოდი, რომ ამ ინფორმაციას ოფიციალურად უარყოფდნენ, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ჯვაროსნებს ლაშქრობებში მსუბუქი ყოფაქცევის ქალები რომ დასდევდნენ, გამიგია. ახლა ეტყობა, ჩვენი მართველი ელიტა რასპუტინის მანტიას ირგებს და მარტო საქართველო, უკრაინით შემოფარგვლას არ ჯერდება, ამურული თავგადასავლებით მთელი ევროპის დალაშაქვრას აპირებენ. და ვინ იცის, ერთ მშვენიერ დღეს ბასკებივით მონათესავე ხალხი თუ გამოგვიჩნდა იქ, სადმე ევროპაში, მათ წარმომავლობაზე, თავის მტვრევა მაინც აღარ დაგვჭირდება.

ერთ–ერთ გაზეთში წავიკითხე, რომ პირველი რეფორმატორი პრეზიდენტი თავის რჩეულებს მიწებს, შენობებს და ისეთ რაღაცეებს ჩუქნის, გაგიკვირდებათ! გახსოვთ, ალბათ, ერთ ქალბატონს „პიონერთა სასახლეს“ რომ ჩუქნიდა. მაშინ ათასობით ბავშვის ქუჩაში გამოსვლა რომ არა, ეს საკითხი გადაწყვეტილი იყო. ვახტანგ ჭაბუკიანს – არანაირი სასახლე არ ქონია, არც ხელფასი თვეში 12 ათასი, არც ჰონორარი 20 ათასი თითო გაცეკვებაზე, მაგრამ ქართულ საბალეტო სკოლას ისეთი გვირგვინი დაადგა, მისი დიდება საუკუნეებს გაყვება. სულ ტყუილა ყვირიან ლეიბორისტები მიშას პრემიერად სურს დაბრუნებაო! არა ბატონებო! მისი თვისებების მქონე კაცს დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტობა მობეზრდა და ახლა იმპერატორობა უნდა. აკი, გამოაცხადა კიდეც ბაგრატიონებს ვენათესავებიო. ყვავი ჩხიკვის მამიდაო, სად სააკაშვილი და სად ბაგრატიონები – სააკაძე მაინც იყოს! ისე, სიმაღლეს თუ არ ჩავთვლით, ბევრი საერთო აქვს იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტთან. ასე მაგალითად – ბონაპარტიც არ გამოირჩეოდა დიდი გვარიშვილობით და ამ მხრივ, არც ეს უქნია ღმერთს. ნაპოლეონი რევოლუციით, გადატრიალება–გადმოტრიალებით მოვიდა ხელისუფლებაში. მას მიმსგავსებული და ინტრიგებით ჩახლართული გზა გამოიარა ჩვენმა რეფორმატორმაც. ახლა ვიღაცა კრიტიკოსი შემომედავება – სამხედრო ნიჭიო! კი ბატონო! აქაც არის საერთო, რუსმა ომი ნაპოლეონსაც მოუგო და მიშასაც. გადასახლებაო? არ მეშვება ეს კაცი, რა სულწასულები ვართ ქართველები. ჩვენი პრეზიდენტი ჯერ იმპერატორი არ გამხდარა და უკვე გადასახლებას ვუპირებთ. აცალეთ, ბატონო! გახდეს იმპერატორი და არც უმაგისობა იქნება, მოვლენებს გავასწრებ და ვიტყვი, გადასახლების საკითხი როგორმე რუსებს არ უნდა ჩავუგდოთ ხელში, თორემ ისინი მას შორეულში, კამჩატკაზე გადაასახლებენ, ეს კი ნახევარკუნძულია და მაშასადამე, ისტორიული თანმიმდევრობა დაირღვევა. ვეცადოთ მსგავსება ბოლომდე შევინარჩუნოთ. ვიღაცა მახსენებს – კურილიის კუნძულებიო! მეც ვიფიქრე, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს იაპონია მას უსათუოდ დაიბრუნებს და რა გამოვა? გულივერი ლილიპუტებს შორის?! მისი შენახვა ძალიან გაუჭირდებათ, მითუმეტეს იაპონელებს თავისი იმპერატორიც ყოფნით და უკან მობრუნებას მოინდომებენ. ჩვენ კი იმპერატორებისა და დიქტატორების ეპოქაზე ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა ვთქვათ!

ის იყო კალამი უნდა დამედო, რომ გამოვიდა თბილისის მერი, რომელსაც ცოლი სამშობიაროდ ავსტრიაში დაყავს და საქეიფოდ თვითონაც იქ დადის. ქართველ ხალხს ეუბნება: უჭირსო ქვეყანას, დიდი კუჭი აქვსო ნაცმოძრაობას, ხელს თუ არ შეგვიშლით ასეულობით მილიონის ხვლეპაში, თქვენთვის რას არ ვიზამთო, – გიხსნითო მაღაზიებს, სადაც პროდუქტებს ხუთი–ათი თეთრით უფრო იაფად მოგყიდითო; როგორია! მერე ალაპარაკეს ყურბანა ქართველები – ესო, დიდი შეღავათიაო ჩვენთვის, თუმცა იმოდენა პენსიების დახარჯვა აწი გაგვიჭირდება და ცოტა გავწვალდებითო. როგორც დათა თუთაშხია იტყოდა: გამოფხიზლდით თქვე უბედურებო! ვის და რას დაგამსგავსათ... გავაგრძელებდი, მაგრამ გამახსენდა დათას რამდენი უბაგუნეს. იმას მშიერი ხალხი ცემდა, ცემა კი, შვილოსა, ნაცებმა ეხლა იციან თუ იციან, კარგად ნაჭამ–გადამძღარებმა. თან, დათას, ნაბადიც ქონდა წამოფარებული, მე კი ნაბადი საიდან მოვიტანო?!

ბოლოს მინდა გაწამებული ქართველები ცოტათი მაინც დავამშვიდო და ვანუგეშო. ბატონებო! თუ შიმშილს, უმუშევრობას, უპენსიობას, დამცირებასა და სააკაშვილის მაძღართა აღვირახსნილობას მოახერხეთ და გადაურჩით, იცოდეთ – ჩვენი რეფორმატორი პრეზიდენტის მმართველობაში რაღაცა პოზიტივი მაინც არის. სწორია, როდესაც ცდილობს დაჩქარებული ტემპით ქვეყნის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, გზებისა და ქალაქების კეთილმოწყობას, სასტუმროების ქსელის გაფართოებას, ტურიზმის განვითარებას, აეროპორტებისა და სადგურების მშენებლობას, ინვესტიციების მოზიდვას – ეს ყველაფერი კაპიტალიზმის ანაბანაა და ისიც ცნობილია, რომ ამის მიღწევა ჩამორჩენილ ქვეყანას მართლა არ შეუძლია ქამრის შემოჭერის გარეშე, მაგრამ ამ დროს პრეზიდენტის ელიტა ყირაზე რომ გადადიან ამაშია საქმე! ქვეყანას უმტკიცებ, კომუნისტურ გადმონაშთებს ვებრძვიო. დალოცვილო! გაახილე თვალები – ვინც გახვევია უმრავლესობა ცეკას, ტეკას და რაიკომის ნომენკლატურის შვილები და შვილიშვილები არ არიან? არ იმჩნევ, არა? კეთილი. მაშინ გეტყვი, რა განსხვავებაა კაპიტალისტსა და კომუნისტს შორის. კაპიტალისტი არ ოცნებობს, რომ გახდეს კომუნისტი. აი, კომუნისტის ოცნება კი ნამდვილად არის გახდეს კაპიტალისტი. ხოდა ჩვენმა კომუნისტურმა ნომენკლატურამ, ჯერ შევარდნაძის, მერე კი შენი დახმარებით, თავისი შვილებისა და შვილიშვილების სახით მართლა აიხდინეს ოცნება და გახდნენ კაპიტალისტები – საწყალი ქართველი ხალხის ყვლეფის ხარჯზე, რა თქმა უნდა!

იმის ილუზია ჩემო მიშა, არჩევნებში ვინმეს მოაგებინებ, მე პირადად არა მაქვს. ამიტომ, ერთი ჩემი თხოვნაც გაითვალისწინე, შენი ელიტა მილიონერობაზე დააჯერე, მილიარდერობის მადა ცოტათი დაუოკე და საცოდავი ქართველი ხალხიც გაიხსენე. გავიგე რუზველტივით – ახალი კურსი გამოგიცხადებია, მაგრამ შენი ხელდასმულები რაცხა ძალიან მხიარულად აჟღურტულდნენ, ეს კი ცუდად მენიშნა, ვაითუ თქვენი ინიციატივა იმის მოწოდებად მიიღეს, აწი ისე მოიპარეთ, ვერავინ შეგამჩნიოთო!

პროლოგი: კი დავწერე, მოლასი არ იყოს, მიშაზე „ოხუნჯობანი“, მაგრამ ისიც გამიგია, სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ყავდესო, მე კი ვირიც არა მყავს. ამიტომ ავდგები და ხელს არ მოვაწერ. ვიცი. ძალიან დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ შუქურაში, როგორც პრეზიდენტი ბრძანებს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. მისი ზონდერ ბიჭების მიერ მიტყეპილ–დაბეგვილიებიც ბევრი მინახავს, მერე რომ უცხო პლანეტელებს აბრალებდნენ.

მეშინია მიშაა!!

მოდი! ვისარგებლებ შემთხვევით და ცოტა „წავეპატხალიმები“ მომავალ იმპერატორს. რას ვიზამ თუ იცი?, როგორც ფრანგები თავის დროზე ბონაპარტს მეც ისე მივესალმები მას: vive empereur! კიდევ ერთხელ, vive empereur! კარგია!

გვარიანად შეშინებული

ჯანღლისა და ჯანსაღლელის დღე

თავზარდამცემი იყო ცნობა – მლოცველნი და მოშიმშილენი დაარბიესო, ქალთა და გოგონათა მიმართ გალესილი რკინის ნიჩბები მოიმარჯვესო, გაქცეულ და თავშეფარებულ მოზარდებს ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებით და მოღერებული იარაღით ფეხდაფეხ მისდიესო, წამლავდნენ და ხოცავდნენო... ზრიალი, განწირულთა კივილი, დაჭრილთა და მომაკვდავთა გმინვა, სისხლი რუსთაველის პროსპექტზე, კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცები და მათგან შებილწული ადამიანები – ქალები, გოგონები, ვაჟები... აღვირახსნილი განკარგულება მოძალადისა, მკაცრი ბრძანება ცრემლისა და გოდების აკრძალვისა... სიკვდილის ველი სისხლისფერი მიხაკებით მოფენილი, დუმილიანი გლოვა, ძველ გმირთა ძვლებზე დღეს დილით დაკლული ახალი გმირები, წარსულ ტრაგიკულ თარიღებს მიმატებული ახალი დღე – 9 აპრილი...

შეირხეოდნენ მარო მაყაშვილისა და მის თანამემამულეთა ძვლები გადაშლილ საფლავებზე, სწორედ იმ ადგილზე, სადაც 9 აპრილს ახალი სისხლისღვრა მოხდა. გაგვახსენდება, ტაბახმელას ფრონტის გმირი ქალის მამის გლოვა და მშობლის მოკლული გული, ლექსად გამოთქმული შვილის სიკვდილზე:

დავიღალე... აღარ მალხენს მნათობთ რბილი ციალი,
ჩემს ოცნებას აღარ ძალუძს ცად ნავარდი, სრიალი,
ჯადოსნური წრე მევლება, შიგ მიხდება ტრიალი,
ახ, უშენოდ, ჩემო მარო, დავრჩი ობოლ–ტიალი!
არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა
მაქვს ხალისი.
თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი.
გულზე ლოცვა შემომაწვა თავის მძიმე ლოდებით,
საქართველო გაიჟღინთა მაყაშვილთა გოდებით...
დავიღალე, დავიჩაგრე... და შენი ვარ მხმობელი,
ჩემო გმირო და წმინდანო, გამამხნევე მშობელი!
სამშობლო თუ შენ? რომელი, ახ, ვიტირო რომელი?
დავდნი ცრემლად ორივესთვის სხვათა
ცრემლის მშრობელი...

ქართველი პოეტის კოტე მაყაშვილის ეს კვნესა–ვაება ისევ გაცოცხლდა 9 აპრილს და ისევ მძაფრად განგვაცდევინა სამშობლოსათვის თავდადებული სახელები, ახლაც, როგორც ყოველთვის გულის მომწყვლელი... მაგრამ... სამშობლოს მიწაზე დაღვრილი სისხლი ხომ უმაგალითო სიმტკიცის, არსებულის გადაფასების, შეუდრეკელი ნების, ტუჩებმოკუმული ტკივილის წარმომჩენია. და, როგორც მარო მაყაშვილის მამა იტყოდა:“

შემომხედე. მუხასავით ვდგავარ მაგრად, წყნარადა,
სადარაჯოს არა ვტოვებ, ავდარს ვაგდებ არადა!
და, თუ ბედმა წამაქცია მეხით, ცეცხლით მკვესავით,
წავიქცევი უდრეკელი რაინდივით, შენსავით...

შვილის გმირული საქციელით აღზევებულმა მშობლიურმა განცდამ მაროს მამას ათქმევინა: „შენ ღირსი ხარ ჩემი და მეც შენი ღირსი ვიქნები...“

9 აპრილს დაღუპულნი ჩვენი ღირსნი არიან, ჩვენთვის, სამშობლოსათვის ერისათვის დაღუპულნი. ჩვენ გვევალება მათი ღირსნი ვიყოთ, მათი თავგანწირვა არ შევლახოთ სიტყვით, საქმით, ქმედებით... მათი აღსასრული ჩვენი ერისა და სამშობლოს ახალი ცხოვრების დასაწყისად ვაღიაროთ, ისინი მივიჩნიოთ დამოუკიდებელი, ხვალინდელი, განახლებული საქართველოს ტარიგად და ღირსეული ადგილი მივცეთ საქართველოს უახლესი მატიანის კაბადონზე, რომელშიც ისინი უკვდავი შარავანდედით შემკულნი დაივანებენ.

ზიზღი და კრულვა ველურ ძალთა ყაჩაღებს, მკვლელებს, მოძალადეებს. ვაი უჯიშოს და უჯილაგოს, რომელიც განსაცდელს უქმნის ერს და ქვეყანას, თორემ გმირისა და წმინდანის სახელს რა წაშლის ერის შეგნებაში!

დანო და ძმანო, შვილნო ჩემნო, ტარიგნო ღვთისანო, თქვენი ხსოვნა უკვდავია ერში და სამშობლოში, თქვენი დიდება, თქვენი აღსასრული ახალი სისხლიანი ფურცელია საქართველოს ისტორიისა!

მარადი არსებობა, მარადი ხსოვნა, მარადი თაყვანისცემა თქვენს სახეებსა და სახელებს!

9 აპრილის ერთი წლის თავზე, თბილისს.

სოლომონ ხუციშვილი
1990 წ.

„ვაღლმიხდილთ ჯაინაყთ შუაღაღ, ყველას თაყს ჯაჯაყთ ნათელი...“

აზა ადამია

გია ქარსელაძე

ეკა ბეჟანიშვილი

ელისო ჭიპაშვილი

ვენერა მეტრეველი

ზაირა კიკვიძე

თამარ მამულაშვილი

თამარ ჭოველიძე

თამუნა დოლიძე

თინა ენუქიძე

მამუკა ნოზაძე

მანანა ლოლაძე

მანანა მელქაძე

მარინა ჭყონია–სამარგულიანი

მზია ჭინჭარაძე

ნათია ბაშალეიშვილი

ნანა სამარგულიანი

ნატო გიორგაძე

ნინო თოიძე

ნოდარ ჯანგირაშვილი

შალვა ქვასროლიაშვილი

მძინარე მოწმე მლვიძარეზე უფრო პირმტკიცე

„მძინარე მოწმე“, ეს ეპითეტი, პირველად, აწ გარდაცვლილი „რევოლუციონერი“ პოეტის იზა ორჯონიკიძის სამხილად გამოვიყენე და ამ სათაურითვე გამოვაქვეყნე კიდეც გაზეთის „ახალი ეპოქა“ (8–11 ივნისი 2001) – დამატებაში „ჩვენი მწერლობა“ (იხ. 8–15 ივნისი, 2001, გვ. 9–10).

ხსენებულ წერილში ბ–ნ ბესარიონ გუგუშვილის სიტყვებიც ერთ–ერთ არგუმენტად მოვიხმე და რას ვიფიქრებდი, რომ გავიდოდა ხანი და მძინარე მოწმის სტატუსით, ი. ორჯონიკიძის მსგავსად, თავად ბესარიონიც მოგვევლინებოდა და ისიც... სწორედ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ!

დიახ, კატაკლიზმები პოლიტიკის მახასიათებელიცაა და მისგანაც გვიწევს დაცვა ჩვენი წამებული პრეზიდენტის, რომელიც ბ–ნ ბესარიონმა, ფინეთიდან ერთ–ერთ სატელევიზიო ჩართვისას (I არხი), დემაგოგიურად სულ „მაოხრებელ მკვდრად“ იხსენია.

მძინარე მოწმე ბ–ნი გუგუშვილი, 1994 წლიდან დღემდე პირმტკიცედ ადასტურებს, რომ პრეზიდენტმა თავი მოიკლა და ჯიუტად ცდილობს მისეული პრეზუმფცია დადასტურებულ ფაქტად შემოგვასაღოს.

უფრო მეტიც, ყველას მიმართ მისი იმპერატიული მოთხოვნაა, თვითმკვლელობის გარდა, არამც და არამც სხვა ვერსია არ განიხილონ!

გუგუშვილი, თავის ყველა ინტერვიუში, ჭირვეული ბავშვივით ე.წ. საგარანტიო ფურცელს გვიფრიალებს და „კიკუ–კოკოისტებად“ გვიხსენიებს ყველას, ვინც პრივატული „ხელშეკრულება“ ფარატინა ქაღალდად ვუქციეთ.

„ოჯახის მიერ დადებული პირობის თანახმად, ... გამსახურდიას ოჯახი უნდა ყოფილიყო ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსიის გარანტი და მცველი! ანუ, გამსახურდიას ოჯახს არასდროს უნდა წამოეყენებინა სხვა ვერსია, გარდა თვითმკვლელობისა და ყოველთვის უნდა დაეცვა სწორედ და ზუსტად თვითმკვლელობის ვერსია“.

ამონარიდი გუგუშვილის ინტერვიუდან მადლენ მაჭარაშვილთან
9–04–2010, 16:45

გუგუშვილის თავდაცვის ტაქტიკა ქილიკი და შეურაცხყოფაა.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის წინააღმდეგ, ინტერნეტ–საიტებით („იბერიანა“) ცხოველი პოლემიკა იყო გამართული. პოლემიკაში აქტიურად ჩაება უზენაესი საბჭოს დევნილი დეპუტატი ბ–ნი გიორგი გულბანიც. მისი წერილებით დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ ისიც პრეზიდენტის თვითმკვლელობის ვერსიას იზიარებს („სიკვდილისთვის განმზადებული“... „სხვა სამყაროში გადასასვლელად განმზადებული“...) და ამ ვერსიის სასარგებლოდ უნდობლობას უცხადებს საქართველოს საპარლამენტო კომისიას, როსტოვის პათანატომიური კომისიისა და ზოგადად, ევროპის ნებისმიერი ექსპერტიზის დასკვნასაც (?!). მისი ამგვარი მოსაზრებები კი, ნებსით თუ უნებლიეთ, „თვითმკვლელობის“ საეჭვო ვერსიის პინაზე მოხვდა, რომლის გადაწონასაც ასე მიზანმიმართულად და ჯახირით ცდილობს გუგუშვილი მისი ამქარით.

სამარცხვინოა და დიდად სამწუხაროც, რომ ზემოხსენებული ინტერნეტპოლემიკა ძალზედ გადასცდა ეთიკისა და კულტურის ნორმებს და ორივე მხრიდან ბილწსიტყვაობასა და მუქარაშიც კი გადაიზარდა, რაშიც აშკარა ტონის მიმცემი, კვლავ და კვლავ, მთავარი ფიგურანტი ბ–ნ ბესარიონ გუგუშვილი გახლდათ.

მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების დამდგენმა საპარლამენტო კომისიამ მუშაობა მაინც დაასრულა და კომისიის თავმჯდომარე კონსტანტინე გამსახურდიამ 346 გვერდიანი დასკვნა პარლამენტს წარუდგინა. პარლამენტმა კენჭისყრით მიიღო გადაწყვეტილება „დასკვნითი დოკუმენტის“ პროკურატურისათვის გადაცემის შესახებ პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზების ხელახალი გამოძიების მიზნით.

დაიწყება თუ არა ობიექტური გამოძიება სააკაშვილის პროკურატურაში, ძნელი სათქმელია. დიდი იმედები, ალბათ, არც უნდა გვქონდეს, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ „დასკვნითი დოკუმენტი“ აუცილებლად იქცევა რომელიმე ხელისუფლების სამართალწარმოების საქმედ.

და ბოლოს, სამწუხაროდ ჩვენი შიში ე. შევარდნაძის დაკითხვა–არდაკითხვასთან დაკავშირებით გამართლდა. საპარლამენტო „დასკვნაში“ არ არის მოთხოვნილი მთავარი სახელმწიფო დამნაშავის და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის დამკვეთის ე. შევარდნაძის დაკითხვა, რაც ყოვლად გაუმართლებელ და გაუგებარ ქმედებად მიგვაჩნია. კომისიის წევრების ახსნა შევარდნაძის „დაკითხვის“, ვითომცდა ასაკთან შეუთავსებადობის შესახებ დემაგოგიური მიეთ–მოეთია და არა სამართლებრივი არგუმენტი.

ლეილა ცომაია
იანვარი 17, 2011 – 7:14
(http://iberiana.wordpress.com/zviad-gamsakhurdia/gulbani/)

„პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან დაკავშირებული საპარლამენტო კომისიის დასკვნა ვერ იქნება რაიმე ფასეულობების შემცველი (ვერც ისტორიული და ვერც სამართლებრივი) თუ მასში არ იდება პრეზიდენტის მკვლელობის შემკვეთი სახელმწიფო დამნაშავის ე. შევარდნაძისა და მკვლელობის მთავარი თვითმხილველი მოწმის ბატონ ბესარიონ გუგუშვილის დაკითხვის ოქმები.

გამოვთქვამთ იმედს, რომ დასკვნა არ იქნება სუროგატი, არამედ, საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ბატონი კონსტანტინე გამსახურდია, ქართველ ერს და პროგრესულ საერთაშორისო საზოგადოებასაც წარუდგენს სრულყოფილ და სერიოზული მტკიცებულებებით გაჯერებულ (დროის ფაქტორი, აწ უკვე ამის შესაძლებლობას ქმნის) დასკვნას დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან დაკავშირებით, რითაც ბატონი კონსტანტინე ერთობ ამაღლდება მადლიერი ქართველი ერის თვალში და სათანადო პატივსაც დაიმსახურებს.“

ასევე აუცილებლად მიგვაჩნია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ქვრივის ქ–ნ მანანა არჩვაძე–გამსახურდიას დაკითხვა, რაც პროკურატურის მხრიდან უნდა განხორციელდეს.

იმის გამო, რომ საზოგადოებაში დიდია ინტერესი „დასკვნითი დოკუმენტის“ სრულად გაცნობისა, ხოლო გაზეთში შეუძლებელია 346 გვერდის დაბეჭდვა, ვაქვეყნებთ მხოლოდ ამონარიდებს, რითაც მცირედით მაინც დავაკმაყოფილებთ მკითხველთა ინტერესს.

შეთქმულებითა და ღალატით დაღდასმულ-გაჯერებული „დასკვნითი დოკუმენტის“ ამონარიდები იხილეთ გვ. 14-ზე.

ლეილა ცომაია

კვლავ გაღატაკებული ხალხისა და საგადასახადო ტერორის შესახებ

შევარდნაძე–სააკაშვილის 20–წლიანი სახელისუფლო მმართველობის შედეგად, სოციალური ცხოვრების დონის უკიდურესად ვარდნის პარალელურად ფასებისა და გადასახადების ასტროლოგიურმა ზრდამ, მასობრივი უმუშევრობის პირობებში, ხალხს არსებობის ყოველგვარი საშუალება მოუსპო.

დღეს, საქართვლეოში 70% ღატაკია და შიმშილობს, შესაბამისად არა აქვს ავადმყოფობის გამოკვლევისა და მკურნალობის საშუალება. გაახალგაზრდავდა სიკვდილიანობა და კატასტროფულად გახშირდა თვითმკვლელობები 18–დან 40 წლამდე ასაკში.

ის ერთჯერადი 20–30 ლარიანი „ვაუჩერები“, რომელიც მოსახლეობის მხოლოდ განსაზღვრულ ნაწილს დაურიგა ხელისუფლებამ, ძაღლისთვის ძვლის მიგდების მსგავსი აქცია იყო, რამაც ოდნავადაც ვერ შეუმსუბუქა მდგომარეობა ადამიანებს. „ვაუჩერების“ ოჯახზე (და არა სულთა რაოდენობაზე) გაცემის პროგრამაში არ იქნა გათვალისწინებული სრულიად ღატაკი, უსახლკარო და ქირით მაცხოვრებელთა კატეგორიები, რომლებიც დიდი ქალაქების სოლიდურ ნაწილს წარმოადგენენ (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი).

„ვაუჩერების“ გაცემის პარალელურად, ხელისუფლებამ დაიწყო ღატაკი მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის გათიშვის ყოვლად უსამართლო და ულმობელი ღონისძიება წყლის ან დასუფთავების გადასახადის გადაუხდელობის გამო. ანუ, ელექტროენერგიის დავალიანების არქონის მიუხედავად, ელექტროენერგია გაუთიშა იმ ოჯახებს, რომლებიც უსახსრობისა და სიღატაკის მიზეზით ვერ იხდიან წყლის ან დასუფთავების უკანონოდ გაზრდილ გადასახადებს.

სააკაშვილ–უგულავას ამგვარი ვოლუნტარისტული თარეშის გამო, რიგმა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა სარჩელი შეიტანეს საკონსტიტუციო სასამართლოში, მაგრამ არ არსებობს იოტისოდენა იმედიც, რომ ხსენებული სასამართლო შეაჩერებს და დაიცავს ხალხის კონსტიტუციურ უფლებას, განახორციელებს სანქციებს, თუნდაც რომელიმე მარეგულირებელი კომისიის მიმართ.

ამგვარ სრულიად დაუცველ და სოციალური ტერორის პირობებში ხალხს, აჯანყების გარდა არაფერი დარჩენია. სააკაშვილის ტირანთა ხროვა კი სამართლიანად აჯანყებულთა წინააღმდეგ სიამოვნებით გამოიყენებს იარაღს და ულმობლად დახოცავს აჯანყებულებს, რათა კიდევ უფრო დათრგუნოს და დაამონოს ხალხი. თუმცა, უცილობლად უნდა ველოდოთ, რომ არც სააკაშვილ–უგულავას ხვედრი იქნება სხვა პარანოიდულ ტირანთა ხვედრზე სახარბიელო და უკეთესი.

ეკლესიის მამები კონსტანტინე გამსახურდიას განაქიქებენ

დიდ კლასიკოს მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას, არც საბჭოთა პერიოდში აკლდა მტერ–მოშურნეები და არც დღეს აკლია. ხოლო მისი ღირსი ძის ზვიად გამსახურდიას სიძულვილს, იმპერიულმა აგენტურულმა ძალებმა საქართველოც გადააყოლეს, რაც, აწ უკვე გაცხადებული მწარე და ტრაგიკული რეალობაა.

კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ეკლესიის ზოგიერთი მამების აღძრულ სიძულვილზე ჩვენ ადრეც ვწერდით (მღვდელი კირიონი (ზურაბ ზეინკლიშვილი), მღვდელი იოანე როსტიაშვილი და სხვა.), რამეთუ სრულიად უმართებულოდ მივიჩნევდით მათ ნეგატიურ დამოკიდებულებას ჩვენი ერის ჭეშმარიტად ღირსეული მამულიშვილების მიმართ. ყოველმა წიგნიერმა და განათლებულმა ადამიანმა უწყის, რომ იმ ღვთისმგმობ ათეისტურ ეპოქაში, კონსტანტინე გამსახურდიამ, სვეტიცხოველში პანაშვიდები გადაუხადა ექვთიმე თაყაიშვილსა და გრიგოლ რობაქიძეს, რითაც ამ უკანასკნელს ნაანდერძევი ნატვრა აღუსრულა. მათ სულის მოსახსენიებელ საეკლესიო რიტუალზე სხვა მწერლებმა მისვლა ვერ გაბედეს და ტაძარში მხოლოდ კონსტანტინე გამსახურდია და მღვდელი იდგა.

ასევე საყოველთაოდაა ცნობილი ზვიად გამსახურდიას ღვაწლი კულტურის ძეგლების დაცვა–გადარჩენისა და გაუქმებულ ეკლესიებში წირვა–ლოცვის აღდგენის საქმეში.

მღვდლები თეოდორე გიგნაძე, ლევან მათეშვილი და სხვები, ეკლესიის ამბიონებიდან თუ სხვა საერო დაწესებულებების აუდიტორიებში ქადაგებისას ხშირად განაქიქებენ კონსტანტინე გამსახურდიას, რომელსაც ათეისტად მოიხსენიებენ. ვიდრე ამ ბრალდებას ერთ–ერთი კომპეტენტური ლიტერატორის ზვიად გამსახურდიას წერილითვე ვუპასუხებდეთ, გვინდა საზოგადოებას გავახსენოთ საფრანგეთის დიდებად შერაცხული ვიქტორ ჰიუგო, რომელმაც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მის სანახავად მისული პარიზის არქიეპისკოპოსი არ მიუშვა, ხოლო სიკვდილის წინ დაწერილ ანდერძში კი ჩაწერა: „არა მსურს, რომ ჩემზედ, რომელი სარწმუნოების წესითაც უნდა იყვეს, გადახდილ იქნეს წირვა–ლოცვა და ვითხოვ, რომ ყველანი გულში ლოცულობდნენ ჩემთვისა. მწამს ღმერთი. ვიქტორ ჰიუგო“.

ახლა კი ვბეჭდავთ დაპირებულ წერილს წიგნიდან: ზვიად გამსახურდია „წერილები, ესსეები“ გამომცემლობა „ხელოვნება“, 1991. გვ. 377, რომლის წაკითხვა, ვფიქრობთ დიდად წაადგება ეკლესიის მამებს დიდი კლასიკოსი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების სწორად გააზრებასა და სიღრმისეულ შემეცნებაში *(ლ.ც.)*.

კონსტანტინე გამსახურდია და ქრისტიანობა

უკანასკნელი წლების მანძილზე, როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში მრავალი ასპექტით იქნა გაშუქებული კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება. მიმდინარეობს შესწავლა მისი ბიოგრაფიისა, შემოქმედებითი მეთოდისა, ენისა და სტილისა, სწავლობენ მის მხატვრულ სამყაროს სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობასთან მიმართებაში, მის ნაწარმოებებს განიხილავენ ისტორიული, სოციალურ–პოლიტიკური და სხვა თვალსაზრისით, მაგრამ ჯერ არ ყოფილა სერიოზული მსჯელობა მწერლის მსოფლმხედველობაზე, მის რელიგიურ–ფილოსოფიურ კრედოზე.

ამჯერად, ჩემი მიზანია გავაშუქო კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ზოგი თავისებურება ბიბლიასთან და ქრისტიანულ კულტურასთან მიმართებაში, გავამახვილო ყურადღება ისეთ ასპექტებზე, რომელთაც მხოლოდ გაკვრით თუ შეხებიან მკვლევარნი.

ბიბლიისა და სახარებისადმი სიყვარული, ჯერ კიდევ ბავშვობაში ჩაუნერგეს მშობლებმა პატარა კონსტანტინეს. მიუხედავად იმისა, რომ მამამისი, სვიმონ გამსახურდია არ გამოირჩეოდა მწიგნობრობისადმი დიდი მიდრეკილებით, იგი ფსალმუნსა და „ვეფხისტყაოსანზე“ ზრდიდა ვაჟს (საერთოდ გამსახურდიას გვარი კი მწიგნობრობით გამოირჩეოდა, ისინი სახლთუხუცესები იყვნენ დადიანის კარზე). დედა გამუდმებით ლოცულობდა და მარხულობდა. ბალღი სოფლის დიაკონს მიაბარეს, რომელსაც იგი წირვის დროს ეხმარებოდა. „დიაკონმა ევგენი ქოიავამ შემაყვარა ბიბლია, სახარება და ეკლესია“, მოგვითხრობს მწერალი „ლანდებთან ლაციცში“. გამდელი ეკაია ნიადაგ მაცხოვარზე და წმინდა გიორგიზე ესაუბრებოდა მომავალ მწერალს, რელიგიურ მოწიწებას და ღვთისმოსაობას უნერგავდა, რაც მთელი ბავშვობისა და სიჭაბუკის მანძილზე გაჰყვა მას. მაგალითად, აი, როგორ გვიხასიათებს მწერალი თავის განცდებს გიმნაზიაში პირველი დაპატიმრებისას, პატრიოტული ორგანიზაციის, „ცხრა მუხას“ შექმნის გამო: „ჩემთვის ეს პირველი პატიმრობა იყო უბედნიერესი მომენტი ჩემი ცხოვრებისა. ბედნიერი გრძნობისაგან შეპყრობილი ვიმეორებდი ამ ბრწყინვალე სიტყვებს: „ნეტარ იყვნეთ თქვენ რაჟამს გდევნონ ჩემი სახელისთვის“ („ლანდებთან ლაციცი“). ასე რომ, როგორც ვხედავთ, სახარების ამ უჭკნობი სიტყვების პერიფრაზა სიჭაბუკეშივე ცხოვრებისეულ კრედოდ იქცა მწერლისათვის. „წმინდა გიორგის პატარა ხატი მეკიდა გულზე იდუმალ და ვიბრძოდი, ვიბრძოდი...“ წერს იგი გერმანიიდან გამოგზავნილ ერთ–ერთ წერილში. წმინდა გიორგი იყო მისი საყვარელი სახე, უდიდესი ფაქტორი მის შემოქმედებაში.

შემდეგ დადგა განსწავლისა და მოგზაურობის წლები. ბერლინში, რომში, პარიზში მწერალი სწავლობს კათოლიკურ თეოლოგიას და ფილოსოფიას, კულტურასა და ხელოვნებას, ეწაფება ქრისტიანულ მისტიკას, სვედენბორგისა და შტაინერის მოძღვრებებს. თუმც, ამავე დროს, მასაც შეეხო ეპოქის სენი. ესთეტიზმის, ნიცშეანიზმის და დიონისიზმის სამსალა მასაც ჩაეწვეთა სულში. ამ ეპოქიდან იწყება მასში გაორება, რაც აირეკლა მის პირველ რომანში „დიონისოს ღიმილი“. როგორც გმირის გაორება ქრისტე–დიონისოს შორის ეს გაორება ტრადიციულია და ამავე დროს, ეს არის მისი თანამედროვე ევროპული

დეკანოზი ლევან მათეშვილი

კულტურის სახე. ესაა გაორება იულიანე აპოსტატისა, გოეტესი, ვაგნერისა, ნიცშესი. ამ გაორებამ დაღი დაასვა ქართულ სულიერ კულტურას, მითოსურ შემოქმედებას, ხალხურ რელიგიურ მრწამსს. გავიხსენოთ ფშავ–ხევსური ხატობები, ქაჯებს განდობილი მინდია გველისმჭამელი, გველი – წარმართული სიბრძნის სიმბოლო; გავიხსენოთ სვანეთში ერთის მხრივ – ლამპრობა, მეზირი, საქმისაჲ, ხეც, ქამერდე, ხოლო მეორე მხრივ – ჯგრაგ, ლამარია, კვირიკე და ივლიტე, ფაუსტური გაორება ევროპული კულტურისა საქართველოში დიდი ხნით ადრე ჰპოვებს არქეტიპს. ფაუსტის ტრაგედია ხომ ორეულის ტრაგედიაა, მეფისტო – ნეგატიური ორეულია, ასევე ორეულია მინდიასათვის თხისრქიანი ოჩოპინტრე (თხა–დიონისეს ცხოველი). ფაუსტს, მისივე თქმით, ორი სული აქვს, ერთი მიწიერებისაკენ ქვედამზიდავი, ხოლო მეორე „ზეცისკენ მსწრაფი, იქ სადაც სულნი დაჰქრიან ეთერში“, ასევეა მინდიაში: უნივერსალური სიყვარული ყველა არსისადმი (ქრისტეს იმპულსი), მეორე მხრივ დემონიური საწყისი ოჩონპინტე.

აი, ამ გაორების ტრაგედიაა მოცემული „დიონისოს ღიმილსა“ და „მთვარის მოტაცებაში“. არსებობს თვალსაზრისი, თითქოს ისინი ანტიქრისტიანული ნაწარმოებებია, მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით, ისინი უფრო ანტიდიონისური, ანტიპაგანური ქმნილებებია. ამ დასკვნამდის მივა ყველა, ვინც ღრმად ჩაუკვირდება მათ დედააზრს, როგორც, მაგალითად, აკაკი ბაქრაძე, რომელმაც „დიონისოს ღიმილს“ უძღვნა ბრწყინვალე გამოკვლევა „დიონისოს თვითმკვლელობა“. რომანში მართლაც, რომ გმირის სულიერი თვითმკვლელობაა აღწერილი, რაც გამოიწვია მასში დიონისური თრობის ექსტაზმა. აქ წარმართობის კრიზისი, დიონისოზმის კრიზისია აღწერილი, ამიტომაც უნდა ჰქონოდა ამ რომანს ლოგიკური გაგრძელება: „კონსტანტინე სავარსამიძის სერაფიმული ღამე“, სადაც გმირის სულიერი აღორძინება, მისი კვლავ ქრისტეს გზისკენ მოქცევა იქნებოდა აღწერილი, მაგრამ მწერალს ეს აღარ დასცალდა, ვინაიდან იგი ამასობაში სოლოვკის არქიპელაგზე გადაასახლეს. სამაგიეროდ, სულიერი ტენდენცია ამ ნაწარმოებისა გაგრძელდა „დავით აღმაშენებელში“, სადაც ჩანს ქრისტეს გზის ტრიუმფი, წმინდა გიორგის რაინდის, ქრისტეს რაინდის დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და

მამა თეოდორე გიგნაძე

მოქალაქეობის აღწერით. ან რა სიყვარულით არიან დახატულნი ამ რომანში ქრისტიანი იერარქები: გიორგი ჭყონდიდელი, კირიონ მანგლელი, სტეფანოზ წილკნელი! ან რად ღირს სცენა დავით მეფისა და 13 წლის დაყუდებული ბერის, გოდოლიას შეხვედრისა, ან თუნდაც ეგზორციზმის (სატანის განდევნის) აქტი დავითისა და ბოდბელი ეპისკოპოსის ფადლას მიერ აღსრულებული, ხმალდახმალ ბრძოლა დავით მეფისა ვარაზის ციხეში ეშმასთან, რომელიც არაბი არქიტექტორის სახით მოევლინა ვარაზის ოჯახს და აუგო მინისძვრით შეუმუსრავი ციხე – „საიდუმლო ვარაზის ციხისა“, ტ. IV. განა ამ პასსაჟებში არა ჩანს ღრმად ქრისტიანი მწერალი, ან თუნდაც შავი ღვთისმშობლის მისტიური სახე რომანში, დედისიმედის მსხვერპლად გაღება მეფის მიერ და შავი ღვთისმშობლის გზით, ასკეტიზმის გზით სვლა ერისა და სარწმუნოების სახსნელად?

ულიანოვ–ლენინისადმი მიწერილ ღია წერილში მწერალი აღნიშნავს, რომ მისი გზა ადამიანთა თანასწორობის პრინციპისკენ იყო გზა ნეტარი ავგუსტინესი, „რომ წმინდა ფრანჩესკოს მისტიური ქორწილი ქალბატონ სიღარიბესთან მისთვის ისეთივე ძვირფასი დოკუმენტია ზოგადადამიანური ეთიკისა, როგორც ლენინისათვის კარლ მარქსის „კომუნისტური მანიფესტი“. ამავე პერიოდში აარსებს იგი ტფილისში ქრისტიან მისტიკოსთა საზოგადოებას, ამავე პერიოდს ეკუთვნიან ღრმა რელიგიურობით გამსჭვალული ლექსები „მარია სტელლა“, „ქრისტე პარიზში 1919 წელს“, „დედავ, მისტიურო ქალო“, რომელთაც შეიძლება ქრისტიანული ლირიკის შედევრები ეწოდოს.

ამავე პერიოდში დაიწერა ნოველა „ტაბუ“, სადაც აღწერილია წმინდა გიორგის ტრიუმფი ბოლშევიზმის სატანაზე, რომელიც სიმბოლიზებულია წითური ეშმაკისა და ქალაბიჭა აკუმის, ხვარამზეს მიერ შობილი მორიელით. წითურმა ეშმამ ჯერ ურთიერთს მიუსია მარგალები და აფსუები, ხოლო შემდეგ თავის მიერ შობილ მორიელს დაადესლინა და ამოაწყვეტინა. განა არ არის ეს კონკრეტული წინასწარმეტყველება მომავლისა?

ის ვინც კონსტანტინე გამსახურდიას გმირების „არაქრისტიანობაზე“ საუბრობს, მე მაგონებს რუსთველის იმ მკვლევარებს, რომელნიც მისი გმირებისა და თვით რუსთველის „არაქრისტიანობას“ გვიმტკიცებენ, თავად კი ვერა აქვთ კარგად გარკვეული ქრისტიანული მწერლობისა და თვით ქრისტიანული რელიგიის არსი. გარდა ამისა, მათ ვერ გაუგიათ, რომ „დიდი ფილოსოფოსები და დიდაქტიკოსები გვასწავლიან, თუ როგორ უნდა იაზროვნოს და იცხოვროს კაცმა, ხოლო დიდი მწერლები იმას მიგვანიშნებენ, თუ როგორ არ უნდა იაზროვნოს და არ უნდა იცხოვროს კაცმა“ (კ. გამსახურდია). ამას გვიდასტურებენ ჩვენ კრიტიკული რეალიზმის დიდი წარმომადგენლები: ბალზაკი, ფლობერი, ტოლსტოი, გოგოლი, შჩედრინი, ილია ჭავჭავაძე. განა „კაცია ადამიანი“ უაღრესად ქრისტიანული ნაწარმოები არ არის, მიუხედავად იმისა, რომ იქ არაფერია ნათქვამი ქრისტიანობის დოგმებზე და არც არავინ ქადაგებს ქრისტიანობას? ეს რაც შეეხება უარყოფით გმირებს. მაგრამ დადებითი გმირის დახატვის შემთხვევაშიც კი ქრისტიანი ბელეტრისტი, განსხვავებით ჰაგიოგრაფისგან, გმირის გარეგანი რელიგიურობისა და ღვთისმოსაობის ჩვენებას როდი ისახავს მიზნად, არამედ მისი, როგორც ცხოვრებისეული ტიპის ასახვას, მისი ხასიათის დამაჯერებლად გამოძერწვას.

ცხოვრებისეული პოზიციით, ცხოვრებისადმი მიმართებით და ხასიათით უნდა განვსაზღვროთ, სულით ქრისტიანია თუ არა ესა თუ ის გმირი. პიროვნების ქრისტიანული შეგნება, ან თუნდაც ქვეცნობიერი ქრისტიანობა კი, უწინარეს ყოვლისა, მჟღავნდება მის ცხოვრებისეულ კრედოში და პრაქსისში, მსხვერპლის უნარიანობაში, მოყვასისადმი თავდადებაში – „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ – (იოანეს სახარება), აგრეთვე, პიროვნულსა და საზოგადოებრივს შორის სწორი მიმართების პოვნაში, საზოგადოებრივი იდეალის პიროვნულზე მაღლა დაყენებაში, თვითუარყოფაში და საზოგადოებრივი ▶

მსახურების ჯვრის აღებაში. „უარყავნ თავი თვისი, აღიღე ჯვარი თვისი და შემომიდექ მე“ (მათეს სახარება), რაც ნიშნავს უარყოფას ეგოისტური თვითმოყვარეობისას და არა თვითუარყოფას, პიროვნების უარყოფას, როგორც ზოგიერთს ჰგონია.

ახლა განვიხილოთ ისევ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახეები. მათი ურთიერთისთვის თავდადება, პიროვნულ ბედნიერებაზე მაღლა მოყვასისა და საზოგადოების სამსახურის დაყენება პირველი ნიშანია მათი ქრისტიანობისა. იგივეა ამ მსოფლიური კეთილდღეობის არად ჩაგდება და მომავალი საიქიო ნეტარების საზომით გაზომვა ამქვეყნიური კეთილდღეობისა.

„მე იგი ვარ ვინ საწუთროს არ ამოვკრებ კიტრად ბერად,

ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“.

ან

„ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ საქმესა საძაბუნოსა,

პირისპირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა“.

რა უფრო უკეთ წარმოაჩენდა ავთანდილის ქრისტიანობას: დოგმების ქადაგება, საეკლესიო რიტუალების აღსრულება, გამუდმებული ლოცვა–მარხვა, თუ ამგვარი თავდადება მოყვასისათვის, ამგვარი შეგნება საწუთროს წარმავლობისა, ამგვარი რწმენა მარადიული ცხოვრებისა?

„ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“.

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა,

მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა მწყობისა“

(ე. ი. ღვთისა).

რუსთველის „არაქრისტიანობას“ იმითაც „ასაბუთებენ“, ქრისტე და ღვთისმშობელი არ არისო ნახსენები მის პოემაში. მათ ავიწყდებათ, რომ ღვთისმოსაობა ადამიანისა ხშირად საკრალური სახელის არხსენებაში უფრო მჟღავნდება, ვიდრე მის წარამარა ამაოდ ხსენებაში.

„არა მოიხსენო სახელი ღვთისა ამაოსა ზედა“ (ბიბლია).

გმირთა დიდბუნებოვნება, სიუხვე, დამარცხებული მტრის დანდობა, გლახაკთა და უპოვართა მიმართ სიბრალული, კეთილშობილი ალტრუიზმი – აი, ეს არის მათი ქრისტიანობის ძირითადი მაჩვენებლები და არა გამუდმებით „უფალო შეგვიწყალეს“ ძახილი.

ასეთ „კრიტიკოსებს“ აქვთ კიდევ ბევრი არგუმენტი: თუ რუსთველის გმირები ქრისტიანებია, მაშინ რად ჩაიდინესო მათ ესა თუ ის ცოდვა თუ სულმოკლეობა? მათ ავიწყდებათ, რომ ჭეშმარიტი მხატვრული ლიტერატურა გმირების იდეალურ სქემებს კი არ იძლევა, არამედ ცოცხალ, ცხოვრებისეულ ადამიანებს მთელი თავიანთი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით, აბსოლუტურად სრულყოფილი იდეალები კი რეალურ ცხოვრებაში არ არასებობენ. „არვინ არს სახიერ, თვინიერ ღვთისა“ (მათეს სახარება). თვით ბიბლია და სახარებაც არ მალავს მოციქულთა ნაკლოვან მხარეებს და სისუსტეებს (პეტრეს განდგომა, ზებედეს ძეთა ამპარტავნება, ძველ აღთქმაში – დავითისა და სოლომონის დანაშაულებები და ა. შ.). ამაშია ბიბლიის ცხოვრებისეული სიმართლე და დამაჯერებლობა. ის ფაქტი, რომ ავთანდილმა მკვლელობა ჩაიდინა, ფატმანთან იმრუშა, ან ტარიელმა ხვარაზმშა მოკლა, სულაც არ გამოდგება იმის არგუმენტად, რომ ეს გმირები არაქრისტიანები არიან და რუსთველიც არ არის ქრისტიანი მათი დახატვის გამო. ეს იგივეა, ვინმემ გოეტეს ფაუსტი ან სტენდალის ფაბრიციო არაქრისტიანებად გამოაცხადოს, ან ამ მწერლების ქრისტიანობაში შეიტანოს ეჭვი.

კონსტანტინე გამსახურდიას გმირები, უწინარესყოვლისა, საზოგადოებრივი იდეალის მსახურებას ეწირებიან მსხვერპლად. მათთვის არ არსებობს პირადი ბედნიერებისთვის ზრუნვა, ეგოისტური – მეობა, მსხვერპლისათვის თავის არიდება. დიდოსტატი არსაკიძე, დავით აღმაშენებელი, გიორგი ჭყონდიდელი, სტეფანოზ წილკნელი, ნიანია ბაკურიანი, განა შეწირულნი არ არიან საქართველოს სამსხვერპლოზე? განა საზოგადოებრივი იდეალის სამსახურით არ ამჟღავნებენ ისინი ერთგულებას ქრისტეს უმთავრესი მცნებისადმი?

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების „განმკითხველთ“ ყველაზე მეტად უყვართ საუბარი არსაკიძის არაქრისტიანობაზე. „კონსტანტინე გამსახურდიას გმირები წარმართები არიან – გვარწმუნებს ს. სიგუა თავის წიგნში „კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“ – „დავით აღმაშენებელი წარმართობას უფრო ერთგულობს, ვიდრე ქრისტიანობას“ (?), „მწერალმა წარმართ არსაკიძეს ააგებინა სვეტიცხოველი“. ამგვარ მკრეხელობას სხვებთანაც შეხვდებით, რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ის გახლავთ, რომ ამგვარ კრიტიკოსებს თავად მხოლოდ ცალმხრივი, არასრული გაგება აქვთ ქრისტიანობისა და საერთოდ, რელიგიის არსისა.

ვინც რელიგიის ისტორიას კარგად იცნობს, მისთვის ცნობილია, რომ არსებობს ორგვარი სახეობა რელიგიურობისა: რელიგიურობა რჩეულთა, ფილოსოფოსთა და სულიერ არისტოკრატთა და რელიგიურობა ჩვეულებრივი ადამიანებისა, ე. ი. მასსებისთვის მისაწვდომი ფორმა რელიგიურობისა, რაც გოეტემ შემდეგნაირად განმარტა ეკერმანთან საუბრებში: „ბიბლიის საკითხების განსახილველად არსებობს ორგვარი თვალსაზრისი, პირველია ის, რომ არსებობს ე. წ. პირველრელიგია და რომ ბუნება და სული თავიანთ წმინდა ყოფაში ღვთაებრივი წარმოშობისანი არიან. ეს თვალსაზრისი მარად უცვლელი დარჩება და იარსებებს მანამ, სანამ დედამიწაზე ღვთის მადლის მატარებელი არსებები მკვიდრობენ. მაგრამ იგი მხოლოდ რჩეულთათვისაა განკუთვნილი. იგი იმდენად კეთილშობილია და აღზევებული, რომ საყოველთაო ვერასოდეს გახდება.

არსებობს, აგრეთვე ეკლესიის თვალსაზრისიც, რომელიც უფრო ახლოს დგას ჩვეულებრივ ადამიანურ ყოფასთან... მაგრამ ისიც, თავისი ცვალებადი ბუნებით შენარჩუნებული იქნება მხოლოდ მანამდე, სანამ დედამიწაზე სუსტი ადამიანური არსებანი იქნებიან. მიუაჩრდილებელი ნათელი ღვთაებრივი გამოცხადებისა ერთობ წმინდაა და დამაბრმავებელი, რომ მისი აღქმა შესძლონ საწყალობელმა, სუსტმა პიროვნებებმა. აი, აქ წარმოგვიდგება ეკლესია, ვითარცა ქველმოქმედი შუამავალი. იგი ანელებს და ასუსტებს ნათელს, რითაც მრავალთათვის მოაქვს შველა და სარგებლობა“.

ასე რომ ცხადი ხდება: ერთია რჩეულთა, ზეკაცთა შემოქმედებითი რელიგიურობა, რომელიც მჟღავნდება მისტიკოსთა ეზოტერიკოსთა ღვთისმოსაობაში და მეორეა ჩვეულებრივი ადამიანების რელიგიურობა, რომელიც მჟღავნდება მხოლოდ ეკლესიური მსახურების გარეგან აღქმაში. ცხადია, ამით ჩვენ იმის თქმა როდი გვსურს, თითქოს ეკლესია რჩეულთათვის და ზეკაცთათვის ზედმეტი იყოს. საუბარია საეკლესიო კულტის გარეგან აღქმაზე, ხოლო საეკლესიო კულტის უიდუმალესი, შინაგანი არსი სწორედ მხოლოდ რჩეულთათვის და ფილოსოფოსთათვისაა მისაწვდომი.

დიონისე არეოპაგელისა და მაისტერ ეკჰარტის გაგებით, რელიგიის უზენაესი მიზანია თეოზისი, ადამიანის განღმრთობა, რაც მხოლოდ რჩეულთ ხელეწიფებათ, რადგან „მრავალ არიან წოდებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ“ (სახარება). ასეთია დიონისესეული ეკჰარტისეული, გოეტესეული გაგება რელიგიისა. განღმრთობა შემოქმედი პიროვნების ხვედრია, რომელიც განსხვავდება მარტოოდენ ღვთის წყალობის მომლოდინე, პასიურ და უმოქმედო სულთაგან, რომელნიც მხოლოდ ეძებენ ღმერთსა და მის წყალობას, ეძებენ, რამეთუ არ გააჩნიათ „რაც უფრო სთმობს ადამიანი თავის თავს ღვთის გულისათვის და ერთვის მას. მით უფრო ღმერთია იგი და მით უფრო ნაკლებად მიეკუთვნება ქმნადობას“ (მაისტერ ეკჰარტი).

ღმერთს კი ეძიებს ღვთით ღარიბი ადამიანი, რომელიც არ გრძნობს თავისთავში შემოქმედი ღვთის ძალას მიქელანჯელოს დარად, რომლისთვისაც შორს არის ღმერთი და შესაძლოა სათუოც არის მისი არსებობა. ასეთი ადამიანი ვერასოდეს იტყვის მიქელანჯელოს მსგავსად: „ო, ღმერთო, ღმერთო, რა ძლიერი ხარ შენ ჩემში“. ღვთის მაძიებელი ადამიანი სულით უპოვარია, ღვთით ღატაკია და ამიტომ დაეძებს ღმერთს. განღმრთობილი კაცი კი არის ღვთის მადლით სვიანი, ღვთისაგან სვიანი, ღვთით აღსავსე, აი, განსხვავება.

განღმრთობის გზისგან განუყრელია, აგრეთვე კეთილი ღვთისმბრძოლობა. ეს გაგება არ უნდა აგვერიოს ნეგატიურ ღვთისმბრძოლობაში: შავწიგნოსნობასა და ათეიზმში. მაისტერ ეკჰარტი ღმერთს ადარებს იმ მეფეს, რომელიც შორ გზაზე სამოგზაუროდ გაუშვებდა ხოლმე თავის მიერ გაწვრთნილ რაინდს, შემდეგ კი ღამით გზად დაუხვდებოდა, ვითარცა უცნობი და შეებრძოლებოდა. ამ ბრძოლაში სცდიდა მას და ამის მიხედვით მოჰმადლებდა სვეს. ასე შეეყარა იაკობს ბნელში თავისი უფალი და შეერკინა მას. მართალია, ამ ბრძოლაში ღმერთმა „დაუბუშა იაკობსს ვრცელი ბარკლისა“, მაგრამ სამაგიეროდ შემდგომში მოჰმადლა არნახული სვე (დაბად. 24–32).

განღმრთობის რელიგია, კეთილი ღვთისმბრძოლობის რელიგია – აი, დიდოსტატ არსაკიძის რელიგია. ამიტომაც არის მის სულთან ესოდენ ახლოს იაკობისა და ღვთის ორთაბრძოლის ბიბლიური მოთხრობა. ამიტომაც ხატავს იგი სურათს ამ ორთაბრძოლისას, რაც რელიგიურ ფილისტერებს მწვალებლობად ეჩვენებათ. არსაკიძის კრედო კი გადმოცემულია შემდეგ სიტყვებში, რომელსაც იგი ეუბნება შორენას: „მხოლოდ დღეს მივხვდი, ჩემო, რომ ეს ცხოვრება არც ისე მრუდედ წარუმართავს არსთა განმგებელს, ყველაფერი იმისთვის შეემთხვევა ამ მიწაზე კაცს, რათა თავის თავსა და თავის ღმერთს მიაგნოს ბოლოს. გჯეროდეს, ჩემო, საპატიო ვალია კაცისა არა გლახური ღმერთის ძიება, არამედ თავათ უნდა გახდეს შემოქმედი უფლის მეტოქე“.

სწორედ განღმრთობით, თეოზისით მიღწეული კეთილი მეტოქეობა უფლისა ათქმევინებს მძიმედ დაკოდილ არსაკიძეს, სვეტიცხოველში ტაძრის კურთხევისას საკაცეზე მწოლიარეს, ბიბლიურ სიტყვებს უფლისას: „იქმენინ ნათელი“. ღმერთმა სამყაროს შექმნისას წარმოთქვა ეს სიტყვები, არსაკიძემ კი სვეტიცხოვლის შექმნისას. აი, რა გაგებით ებრძოდნენ ღმერთს იაკობი და არსაკიძე (ამავე გაგებით ებრძოდა ღმერთს ის ერი, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიამ იაკობს შეადარა: „გერმანელი არის ღმერთთან მორკინე იაკობი“. Anno 1923, „ლიტერატურული პარიზი“).

„სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკვდარ არს“ – გვეუბნება იაკობ მოციქული თავის ეპისტოლეში. არსაკიძის რელიგიურობაც საქმით უფრო მჟღავნდება, ვიდრე სიტყვით. სვეტიცხოვლის შენებაა მისი რელიგია და არა ფარისევლური ღაღადისი, ან ბეჯითად სმენა ყოველი წირვისა, მწუხრისა თუ ცისკრისა, გარდა ამისა, ანტიპათია ცალკეული ნეგატიური სამღვდელო პირებისადმი, მათი წირვისთვის თავის არიდება როდი ნიშნავს მის ათეიზმს, რაც დაასკვნა კრიტიკოსმა ა. მარჩენკომ მოსკოვურ გადაკეთებულ თარგმანზე დაყრდნობით, სადაც გიორგი მეფის სიკვდილის სცენაც გამოტოვებულია, მისთვის სულთათანას კითხვა და ა. შ. ხოლო არსაკიძეს მიეწერება სიტყვები: „ჩელოვეკუ ნე ნუჟენ ბოგ“, რასაც დედანში არ ვხვდებით.

„დიდოსტატის მარჯვენა“ ასახავს საქართველოს ისტორიის ისეთ პერიოდს, როდესაც ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებით მისი მთიულეთი, იყო ასპარეზი ქრისტიანობისა და წარმართობის ბრძოლისა, რასაც გვამცნობს, უწინარეს ყოვლისა, ქართული ისტორიოგრაფია. ეს ჭიდილი გრძელდებოდა არა მხოლოდ ისტორიის ასპარეზზე, არამედ ადამიანთა სულებშიც. გმირის გამოძერწვისას ცხოვრებისეული სიმართლის ერთგულება მოითხოვდა სწორედ იმას, რომ არსაკიძეც და გიორგი მეფეც გაორებულ პიროვნებებად გვევლინებიან ჟამიდან-ჟამზე. გიორგის წარმართული ჰედონიზმი, მიჯნურობით გატაცება ეძალება ნადიმობისას და ნადირობისას, მართალია რწმენა შერყეული აქვს ფარსმანის მაგიისა და ასტროლოგიის მეოხებით, მაგრამ სტანჯავს მისტიური ხილვა მის სპათა მიერ შემთხვევით გადამწვარი ოლთისის ეკლესიისა და ფანატიურად სწამს, რომ გველისფერი წმინდა გიორგი მოუღებს ბოლოს წელის მოწყვეტით, ხატთან არაგულწრფელი მისვლის გამო, რაც მართლაც აუხდება, მაგრამ ერთიანი საქართველოს მთავარ დუღაბად იგი მაინც ქრისტიანობას ხედავს და სწორედ ქრისტეს სახელით ლაშქრობს ფხოვში, ქრისტესა და ერთიანი საქართველოს სახელით. სიკვდილის წინ კი სინანული შეიპყრობს და მიიცვლება, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, სულთათანას სმენით, რომელსაც უცნობი დიაკონი უკითხავს მას, უშიშარაისძის მიერ მოყვანილი.

ჩვენს მეფეთა შორის უდიდეს ქრისტიანს დავით აღმაშენებელსაც კი ჰქონდა პერიოდი, როდესაც მას ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტობა აეჭვებდა. მის ისტორიკოსთან ვხვდებით დავითის გამონათქვამს სვეტიცხოვლის შესახებ: „ჰოი რაჲ უწყი, რაჲ არსს კონცხსა მას და რასა თაყვანს ვსცემთ?“ რელიგიური შემეცნების გზა არ არის სწორხაზოვანი. ვისაც სკეპტიციზმის გესლი არ უგრძვნია, იგი ვერასოდეს შესულა რელიგიური შემეცნების სიღრმეებში. დოსტოევსკი ამადაც ამბობდა თავის ათეისტ ოპონენტებზე: „ეს საცოდავები თვით ღვთის უარყოფის ძალითაც კი ვერ მჯობნიანო“. ასეთივე ღვთის უარყოფა სჩანს ეშენბახის „პარსიფალში“, რომელიც შემდეგ კვლავ ღმერთს უბრუნდება. ეს არის გზა უძღები შვილისა.

არსაკიძესაც ახასიათებს ეს გაორება. იგი, ქრისტიანი ხუროთმოძღვარი, წარმართულ მუხის კულტსაც არ ივიწყებს და მამალს სწირავს მუხას ყვავილმოხდილი. მაგრამ არსაკიძე ნეტარია, ვითარცა იაკობი, რამეთუ იგი შეერკინა შემოქმედს სვეტიცხოვლის აგებით, რითაც სძლია სიკვდილს. იგი უფლის დარად ნათლის შემოქმედია.

„არც ერთ ერს არ შესძლებია ჩვენებრ რელიგიის გაშუქება პოეზიის ოპტიკით. ქართველობა ისე ვიდოდა იესოს სისხლიან კვალზე, რომ ამავე დროს დიონისეს ყვავილოვან შუბლს თვალს არ აშორებდა“, – წერდა კონსტანტინე გამსახურდია თავის ერთ–ერთ ესსეში. ალბათ იშვიათია მწერალი, რომელსაც იმგვარად შესძლებოდეს ქრისტიანობის გაშუქება პოეზიის ოპტიკით, როგორც ამას ვხვდებით მის რომანებში.

ზვიად გამსახურდია

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ათინათი
მითხრობა

ზაზა ქარდავა

იცი, შენ ჩემთვის უბრალოდ „ვიღაცა“ არა ხარ, შეიძლება ეს უცნაურად ჟღერს, მაგრამ შენ ჩემი ცხოვრების ნაწილი ხარ – მნიშვნელოვანი ნაწილი; უკვე დაიმკვიდრე ადგილი ჩემს გულში, ხოლო გზები ცხოვრებისა, სწორედაც რომ გულზე გადის; დიახ – გულზე!

მოღრუბლულიყო, თალხი ნისლი ისე ეტმასნებოდა დედამიწას, როგორც სატინა გარდაცვლილის ჭირისუფალს...

გათენებულიყო, ლაჟვარდოვანი ზეცა გავსებულიყო ათასნაირი ფანტასმაგორიებით... ფანტაზიის მოზღვავება... უამრავი მითიური არსება გადახლართულიყო ერთმანეთში და საოცარ ტანდემს ქმნიდნენ... უხვი ფერთა პალიტრა... აღგზნებული ცნობიერება ქმნიდა ენით გამოუთქმელ მითიურ სამყაროს...

ბორგავს... აწყდება აქეთ–იქით... ცდილობს გააღწიოს გაუცხოებულ გარემოს მიღმა ობლადშთენილი, ეული სული... მიუსაფარი... მოსცილდეს სულის შემხუთველ გარემოს... საწყალობლად იკრუნჩხება – ყველა კარი საიმედოდ დაგმანულა....

ვიცქირები შორს, სიღრმეში, გულის კიდეგან, თითქოს მინდა მზერა შესწვდეს სამანების ხაზსმას, მაგრამ ჩანს მხოლოდ უსაშველო ნათელი... სითბო და სილბო ნარევი... ხალასი, ვითარ განცდა პირველქმნის...

საწადელის ასრულება ოცნების გაუფერულებაა...

წესრიგი არის რუტინა, რომლის გარეშე არ შეუძლია არსებობა ცივილიზაციას, თავისუფლება კიდევ – ქაოსი, რომელიც წარმოადგენს მოკლევადიან მონაცვლეობას ახალი წესრიგის დასამყარებლად...

კრიტიკოსი მეტს იღწვის და მალე მიდის, ვიდრე შემოქმედი...

კმაყოფილება იდიოტებს ჩვევიათ, წუწუნი – უმადურებს...

უკიდურესი გულგატეხილობა საზარელი გულგრილობაა...

არა იქნეს საზარელ, სანატრელ, ოდეს არა იქმნეს სულიერ...

ცუდმა ცხოვრებამ ხალხს მადა გაუფუჭა და კუჭი აუშალა...

ცნობიერი გაცხადებული ქვეცნობიერია, მისი უმნიშვნელო ნაწილი...

სექსი უსიყვარულოდ გავს ლოთის მიერ ერთ ბოთლ არაყში გაცვლილ ძვირფას ნივთს...

ადამიანური ურთიერთობის გვირგვინი – სიყვარული.

სიყვარული მიწიდან უნდა აღმოცენდეს და აცდეს(?)

თუთაშხიას და მისი ავტორის გენიალობა – არსებული სინამდვილე გაარჩია შიშველი რეალობისგან, ანუ ბლეფის ხელოვნება...

ჭეშმარიტი ეგვიპტე მხოლოდ სარკოფაგების სახით შემორჩა თანამედროვეობას.

გენიოსი მარტო იმაზე ლაპარაკობს, რაზეც უნდა ილაპარაკოს და ისე, როგორც უნდა ილაპარაკოს, სხვები – ყველაფერზე და როგორც მოუხერხდებათ.

გრძნობა იშვიათად ტყუის, შეგრძნება ხშირად...

ნებისმიერის გადმოსახედიდან საკუთარ სულში მარტო ოაზისი ჩანს...

სიყვარული ღვთაებრივი დანაშაულია...

სიმახინჯე უგუნურებისგან ყოველთვის დაცინვას იმსახურებს...

მატერია – სულის ილუზია...

არსებობენ იდეები, თავად არსებობა ილუზიაა...

ადამიანი – მარადი ხრწნადში...

სხეული – სულის შეზღუდვა.

რა ადვილია დაინახო ადამიანური სინამდვილე, რა ძნელია გაითავისო ის და შეუძლებელია ჩასწვდე ჭეშმარიტებას.

ამქვეყნიური ნეტარება – წამიერი გარინდება მარადში.

მწერლის ხვედრია მხილებანი და არა გზის კვლევა გამოსწორებისკენ, რადგანაც გზა საბოლოო გამოსწორებისკენ წუთისოფელს არ უწერია.

კაცობრიობას (ხალხს, საზოგადოებას, ადამიანს) ყოველთვის გააჩნია საკმარისი სისულელე, რომ ჭკუით არ მოიქცეს.

ხელოვანის სურვილია ასეთი: წარმავალი აზიაროს მარადს.

საღმრთო საქმის განმკითხველად ძე კაცისა არად ვარგა.

ქათინაური (სიტყვის) ხელოვნებაა, რომელიც ხალას აზრს უნდა გამოხატავდეს, გულის სიღრმეში ჩამოქნილს.

ბოდლერის პოეზიის მზეს აროდეს ჩვევია დაისი და ის მუდამ აღმოსავლეთიდან ბრწყინავს...

ძნელია თვითნებურად წახვიდე სოფლიდან, არც ისაა ადვილი, ყოველივე ამის მერე დარჩე, ხოლო ყველაზე ძნელი, ალბათ, ღირსებით ცხოვრებაა...

სანოვაგის სახით მორთმეულ სილამაზეს ურჩხული ისევე ანადგურებს, როგორც ულაზათოს, სათნოებას ისევე ანიავებს, როგორც უზნეობას...

მამათა და შვილთა ურთიერთობის ჩიხის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მამას ვერ გაუთავისებია შვილში თავისი მე და სხვა ერთად, ხოლო შვილს მამისგან, თავისი მეს საწყისი და მტარვალი ამავდროულად...

ესთეტი სული იკვართება ღამეულ ფიქრთა ფორიაქებში.

სადღაც ჩქამი წასცდა ღამეს, იდუმალებით მოსილს.

ესთეტი სული ითანგება სათნოებასა და ბოჰემურ შვებას შორის (ბოჰემა – ცდუნება, ამოდსანდომი).

გონება უგულოდ, უღმერთო ადამიანივითაა.

სხეული არის სახიერი ფაბულა, რომელშიაც დაბადებიდან გარდაცვალებამდე ივანებს ღვთაებრივი იდეა განსხეულების...

სულისმიერი გზები ხალასდებიან ჯენის ჯოპლინის შემოქმედებით...

წესრიგი არის რუტინა, ქაოსი – უგუნურება, ჰარმონია მხოლოდ სიყვარულში მიიღწევა.

(„უსასრულოდ შეიძლება მხოლოდ სასწაულის მოლოდინში იყო...“).

ყოველი ანასხლეტი შემოქმედებითი გენიისა სინამდვილესთან კვლავ ზიარებაა....

შეუცნობლად დავშორდი ბავშვობას (პირველქმილს, ხალას) და ვცდილობ შეცნობილად დავუბრუნდე მასვე.

იდუმალება ამძაფრებს ცნობისწადილს.

ჩემში ვხედავ საუკუნო სევდით მოსევადებულ მარტოსულს...

ადამიანი არის ნაკადული, რომელიც თავის მდინარებით ერთვის ზოგადკაცობრიულ ოკანეს...

იდუმალებით შეიძლება უჯიშობაში რასსა დაიჯერო, შეიძლება კატის კნავილი კენიის მძვინარე ლომის საზარელ ბრდღვინვად მოგეჩვენოს...

ჭკუა ელტვის ყოფას, გონება – სინამდვილეს.

მთელი ცხოვრება საკუთარი სინამდვილის გაცხადებაა.

სინანულით დაჰყურებ ტურტლში ამოგანგლულ ხელს, მერე ოცნებით მზირალ თვალებით გაჰყურებ უსამანოს... თავი წარმოგიდგენია უსაშველო ტრამალზე ველად გაჭრილ მუსტანგზე... გსურს მოუხილავის მოხილვა, ულევის ამოწურვა ერთის ხელის მოსმით, მთელი არსება სიხარბით მოცულა, ყველა ძარღვი დაჭიმულია და შენ ხარ ერთი არა მთელი, არამედ მთელის სისავსეს დახარბებული, ნაკლოვანების მოსახილველად ველად გაჭრილი მარტოსული...

ღვთისგან ხელდასხმა არის უწინარეს გენიოსის შობისა.

ადამიანის ცნობიერებას განსაზღვრავს ყოფიერება, და ამ ყოფიერების წნეხის ქვეშ მოქცეული შთაგონებული ცნობიერება ქმნის ხელოვნებას – უნამდვილესს ადამიანურ საქმეთაგან, რადგანაც ხელოვნებას ქმნის ის, ვისაც ჭეშმარიტად მოჭარბებული აქვს ზეციური ფენომენი.

ჩაპლინის პიროვნებასა და შემოქმედებაში საოცრად ჰარმონიულად იყო შერწყმული ხალასი იუმორი და ბადრი სევდა, რომლის გარეშეც შემოქმედებითი მოძალვა ვერ ჰპოვებს ღირს ასახვას.

შეშლილივით თმაგაწეწილი ჰკიოდა სულმოუთქმელ არიას მიმწუხრის შემოდგომა...

მირჩევნია შეგნებულად არ დამეთანხმონ, ვიდრე შეუგნებლად კვერი დამიკრან...

თუ არ დაგიკარგავს, ვერც სიყვარულს შეძლებ; მხოლოდ სევდას შეუძლია ნამდვილი სითბო და სიხარული გამოიწვიოს ადამიანში.

სიყვარული ჯიშით ტანჯვაა, ჯილაგით – ნეტარება.

თუ ოდესმე ვინმე სულელად შერაცხე, თავი ჭკვიანი ჩათვალე და ეგაა.

ცხადი (ყოფნის გავლენის ქვეშ მოქცევა) – ინტუიტიური ძილი, რომლის დროსაც ადამიანი მეტწილ ეთიშება შინაგან სამყაროს, პიროვნული ძალმოსილების ნაკლოვანებას განიცდის.

მაჯამების ძიებაში რატის განცდა დაეპნა.

მომავალი აწარსულე!

კაცობრიობის ძალა განდეგილ სულთა ერთობაშია...

არის წამი, როცა არ ძალგიძს გაარჩიო ის შენგან, ხართ ერთარსი, თითქოს ასე ყოფილა მარად ჟამთა სრბოლაში... თითქოს ჟამი წარხორცილა, სივრცის სამანები, არც უწესებიაო ყოვლის განმრიგეს... ეს ერთგვარი წამიერი გარინდებაა მარადში.

ჩემი სულის უსიერში სევდა არის ატეხილი.

ნორმალურ ადამიანად მიჩნეული – უდასტურო შლეგი...

დილა საოცნებო გარიჟრაჟია ჩემი მეოცნებე სულისათვის... უკუნეთის ნაზმანევი დილის ძილბურანისას მითიურ იშლებიან ოცნებებში, იკვართებიან ფიქრებში, იქმნიან სხეულებრივნი – ასე იშვება იდეა ჩემში...

რომ ანამდვილო ზესთაბუნებრივი – უსუსურია აზრი, უხერხემლო – სიტყვა, ცოდვილი – ადამიანი...

ნამდვილი სიხარული არსით სხვა არის, ვინემ კმაყოფილება, ნამდვილი წუხილი წუწუნთან აროდეს ყოფილა წილნაყარი...

ენის შეფასება ხდება მისი არქაული ფორმების სიმდიდრით, ნართაულ ფორმებს მხოლოდ სიმშრალე და სიმძიმე თუ მოაქვს მეტყველებაში...

ძუსადმი ლტოლვა ხვადის გულის ხვაშიადია, მზისადარისადმი ტრფობა – მზეჭაბუკის უბაცი გულნადები...

ძირის–ძირობამდე არქაული ფორმა სრულიად სამყაროსი – ნივთიერი წერტილი – უსივრცო და უჟამო...

ადამიანს არ იყვარებენ დამსახურებისათვის, არამედ ღირსებისათვის...

სიყვარული გარდაცვალების სწორია – უნდა წარიხოცო ყოველივე ამაოსაგან, ნიადაგ მარადს უნდა სცე თაყვანი...

მხოლოდ ფარისეველი თუ ცდის ძალმოსილებას, მართლმორწმუნე მხოლოდ რწმენს...

ლავისფრად იწოდნენ დაისის მზის არტახებში ნატყვევი ღრუბლები მიმწუხრის ჟამს...

უკიდურესად ინდივიდუალი, თანაგანმცდელი კაცობრიობის საუკუნო განცდათა...

ტრფობა ერთგვარი მცდელობაა მიუწვდომელის მოხილვის – სრული ჰარმონიის, ნაწილის მთელადქმნის...

ჟამი სიყვარულისა – მარადი წამი და მარადის წამიერად გაელვება...

უსიყვარულოდ მხოლოდ ვალდებულებაში უნდა გალიო დღენი... ვითარ მოკვდავს ვალი გაწევს მიწის და ყოფნით უნდა ზღო ვალი შენი...

არაფერია მუდმივი ფორმით, არაფერია წარმავალი არსით. მხოლოდ მარად სახეცვლაში ვლინდება წარმავალობის მარადისობა და მარადიულის სუფევა წარმავლობაში.

მხატვარი დახატავს ერთს, შემდეგ მეორეს და ასე ათობით, ასეულს... თვითოეულში ცხადდება შემოქმედის გენია ხელახლად გაცხოველებული, თუმც ყოველი მხოლოდ ერთი განმხოლოებული გაცხადებაა მოუხილავის, მარადის დროით არტახებში ტყვედქმნა, ამით თვით შედევრი უტეხი სულის მხოლოდ უსრულო ხატ–სახეა მისივე.

ადამიანს უფლისაგან მომადლებული აქვს ძალი ქმნადობის. ამით ის ღვთის ხატად ქმნილა. ესეცაა – ვითარ მხატვრის ნაწარმოები უსრულოა შემოქმედის სრულად გასაცხადებლად, ასევე ადამიანის ქმნადობა მხოლოდ უსრულო მსგავსებაა ღვთაებრივი ქმნადობის...

სივრცე – სფერო – სტატიური მდგრადობა ყოფნის...

სპირალი – დინამიური მდგრადობა ყოფნის, რომელშიც ყოველი წინა ვლინდება შემდგომში, ვითარ მსგავსი, მხოლოდ არა ვითარ იგივი...

დრო ულმობელი მეეზოვეა, რომლის ბედით ცოცხს ცხოვრების მტვერთან ერთად მიჰყვება ნეშო – მანოყიერებელი ჩვენი სულისა...

უთვალავი თეთრი ფიფქი ფარფატით ეფინებოდა შევერცხლილ მიდამოს...

ლიტერატურული გვერდი

◀ უფალო, მომმადლე ძალი და
დღე–გრძელი უჟამოსა სოფელსა
შინა, რათა მოვიხილო უთვალავი
წარსახოცელი – მით ვაცხადო უკვდავი
სული შენი, უდრეკი ნება შენი...

ფარისევლის კითხვის წყარო მომდინარეობს არა ქრისტეს სჯულის ნაკლოვანებისაგან, არამედ ადამიანის უსაბამო უმეცრებისაგან.

ცალსახა სიყვარულისაგან დატანჯული ქალი ჩივის: „რატომ შემაყვარა თავი?!“, ხოლო ვაჟი: „რატომ არ ვუყვარვარ?!“

თუ ჩარლზ დარვინი მართალია – შრომამ შექმნა ადამიანი, ესეც არის, ზედმეტი გარჯა აპირუტყვებს მასვე, ხოლო თან ერთვის ჰიპოხონდრია თუ სხვა ნერვული აშლილობანი...

შემოქმედი ქმნის ხელოვნებას, კრიტიკოსი ხელოვნების თეორიას...

რიკი–ტიკი–ტავში მსგავსება მსოფლიო კულტურაში საერთო თაურსაწყისის ნიშანია, თუმცა მრავალჟამიერი თუ ჩაკრულო ნათელი განტოტებაა მისგანვე.

ადამიანი აუხდენელის ოცნებაში მეტს იხარჯება, ვიდრე ახდენილის შეგზნობაში.

ღმერთო, მიხსენ ცნობიერი ძილისაგან...

ეახლეთ უფალს მარადჟამს, ის გაჭირვების ჟამს მხსნელი როდია მხოლოდ, არამედ გვირგვინი ბედნიერებისა და სიმშვიდის სიმფონიის შემოქმედი...

დღეს ასეა: ვინც დემოკრატიის სახელით მოდის ის ამყარებს ტირანიას.

არაფერს იმდენი შემმუსვრელი არა ჰყავს, რამდენიც კეთილდღეობას, არავის იმდენი მტერი არა ჰყავს, რამდენიც კეთილშობილს.

სამყაროულ მოძრაობას
ერთვის ჩემი სხეული,
სული კი ცისკენ ისწრაფვის,
მარტოსული, ეული.
„ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები“
მით მეტია ღვთის ბუნება,
ვერ შესწვდება ერი, ბერი. ◀

გივი ჭიჭინაძის გახსენება



ულმობელია სიკვდილი, ისეთ კარგ ადამიანს მოუსწრაფებს სიცოცხლეს – რომლის შემოქმედება და მოღვაწეობა ჰაერივით სჭირდება ერს, დიდს თუ პატარას, ნაცნობს თუ უცნობს, ახლობელს თუ შორეულს.

ავად მოსაგონარი ამ ოცი წლის მანძილზე, ბევრი ღირსეული მამულიშვილი დაკარგა ვაიქართველების მიერ გასაცოდავებულმა და მიწასთან გასწორებულმა ჩვენმა ერმა.

მრავალ მათგანს გული გაუსკდა უკიდურესი გაჭირვებისა და იმ „პეიზაჟების“ ნახვით, ერის მოძულეებმა რომ „დახატეს“ თბილისის ცენტრის – რუსთაველის გამზირზე და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. მრავალმა დუხჭირ ცხოვრებას ვერ გაუძლო, შიმშილმა და სიცივემ, უწამლობამ და უექიმობამ იმსხვერპლა ერისთვის ჰაერივითა და წყალივით საჭირო უაღრესად განათლებული და სიყვარულით ყელამდე სავსე პიროვნებები. არადა, როგორ უყვარდათ მათ მამული, მშობელი ერი და დედაქალაქი. რუსთაველის გამზირი...

რა შესანიშნავი ლექსები უძღვნეს მას ჩვენმა სასიქადულო პოეტებმა. მათ შორის მარად უკვდავმა, სიცოცხლეში ტანჯულმა, შიმშილით და სიცივით დაჭლექიანებულმა მგოსანმა – ლადო ასათიანმა:

„ვიყო მუდამ ასე მხიარული,
ქართველი პოეტი მერქვას.
რუსთაველის პროსპექტზე სიარული,
ნუ მომიშალოს ღმერთმა!“

ასე მხიარულად დააბიჯებდა ამ პროსპექტზე, იმ მარად სამარცხვინო ძმათამკვლელ ომამდე, დიდებული საბავშვო პოეტი და მამულიშვილი, მრავალი უკვდავი ლექსების ავტორი, შიო მღვიმელისა და მაყვალა მრევლიშვილის გზის ღირსეული გამგრძელებელი, ქართველ ბავშვებზე უზომოდ შეყვარებული, სიკეთით და პატიოსნებით ყელამდე სავსე – გივი ჭიჭინაძე.

მისი სახით ცოცხალი კლასიკოსი დაბიჯებდა ჩვენს გვერდით, ორმოცდაათი წლის მანძილზე უგალობა მან ქართველ პატარებს. ბევრი თაობა აღიზარდა მისი სულში ჩამწვდომი ლექსებით, ხვდებოდა მათ ბაგა–ბაღებში, სკოლებში, დასასვენებელ ბანაკებში, ეფერებოდა, ესიყვარულებოდა, უკითხავდა თავის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს, ამხნევებდა და სწავლისა და შრომისათვის აქეზებდა. მოუწოდებდა საერო საქმეებისათვის, სიყვარულისათვის, მეგობრობისათვის და სამშობლოს სამსახურისათვის. სიხარულით ხვდებოდნენ მის გამოჩენას ყველა კუთხეში დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი. მრავალი მეგობარი ყავდა ყველგან. იწვევდნენ, პატივს ცემდნენ, ეფერებოდნენ, მრავალგან ვხლებივარ და თვითონ მინახავს ყოველივე.

ვიგონებ მასთან შეხვედრებს, საუბრებს და მოგზაურობებს. დიდ სინანულთან და მწუხარებასთან ერთად, დიდი სიამაყის გრძნობაც მეუფლება, იმის გამო, რომ იგი ჩემი მეგობარიც იყო, ძმებივით გვიყვარდა ერთმანეთი. ჩვენი ბაბუებიც განუყრელი მეგობრები ყოფილან. საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთის მკვიდრნი (ამის შესახებ ცხონებულ დედაჩემს უამბნია ჩემთვის). გივის – ჩემს მასწავლებლად ვთვლიდი, მასთან და ასევე შესანიშნავ საბავშვო პოეტ, აწ განსვენებულ – გიორგი წერეთელთან მიმქონდა ჩემი მელანშეუშრობელი ლექსები. კითხულობდნენ, მოსაწონს – მიწონებდნენ, დასაწუნს – მიწუნებდნენ. ხშირად, საბეჭდ მანქანაზე თავად დაუბეჭდავს გივის ჩემი ლექსები, რომლებიც შემდეგ ჟურნალ–გაზეთების რედაქციებში მიმქონდა, იბეჭდებოდა.

გივი ჭიჭინაძემ თავისი მარად წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ საბავშვო პოეზიაში, მისი მრავალი წიგნი ამშვენებს და დაამშვენებს კვლავ, ყველა ჭეშმარიტი ქართველის წიგნების თაროს. მილიონობით პატარა ქართველი მოიხიბლება მისი ფრთიანი ლექსებით, გაამზევებს მათს უმანკო სახეებს, გააღიმებს, გააცინებს და გაამხიარულებს მათს სუფთა გულებს და რაც მთავარია აღზრდის პატრიოტ, განათლებულ და ერისა და მამულის მოყვარე ქართველებად, ასწავლის მათ სანიმუშო ყოფა–ცხოვრებას, ერის და მამულის სიყვარულს.

მადლობა მის ნათელ სულს – უკვდავი შემოქმედებისათვის!

მადლობა მის შესანიშნავ მეუღლეს – ქალბატონ სვეტას, გივის უპირველეს მეგობარს, სანიუშოდ რომ უწყობდა ხელს საყვარელ მეუღლეს ცხოვრებასა და შემოქმედებაში!

გივი ჭიჭინაძე იყო დიდი ბავშვი და დიდი საბავშვო პოეტი, შემდეგ შესანიშნავი მსახიობი!

ავთანდილ მეგრელიშვილი

P.S. კარგ საქმეს გააკეთებენ მწერალთა კავშირის მესვეურები, თუ ამ შესანიშნავი პოეტის სახელობის პრემიას დააწესებენ. გივი ჭიჭინაძე იმსახურებს გარდაცვალების შემდეგ მიენიჭოს რუსთაველის სახელობის პრემია, ან სახელმწიფო პრემია და აგრეთვე დაარსდეს –გივი ჭიჭინაძის სახელობის პრემია.

თბილისში, ალბათ სკოლა არ არსებობს, სადაც გივი არ იყო მიწვეული, მრავალი საღამოები, შეხვედრები და გულთბილი მიღებები გაუმართავთ მისთვის და ერთ–ერთ სკოლას თუ მიანიჭებენ მის სახელს და ქუჩას, ეს იქნება მისი უკვდავი შემოქმედების – უკვდავების საწინდარი.

ა.მ.

საბავშვო ლექსები

ტყეში

სადღაც დათვი დაბანდალებს,
დათვი თაფლით გამომთვრალი.
სადღაც ჩირგვში კურდღელი თვლემს,
სადღაც ბრწყინავს წყაროსთვალი.
სადღაც მზეზე ციყვუნია
კერკეტელა კაკალს ამტვრევს.
სადღაც სოკო ამომძვრალა,
თავზე ნეშო დაჰფარფატებს.
სადღაც ტყეში ტყისმცველი ზის,
დაქანცული წყალს სვამს პეშვით.
ტყე კი ისე დაბურულა,
არაფერი არ ჩანს ტყეში.

ზოოპარკი

-ჩიტს რა უნდა გალიაში?
-ეჰ, ლურჯი ცა ვინ აღირსა!
-ეს თევზები რას დარდობენ?
-წყალს ნატრობენ მდინარისას!
-რატომ ბრაზობს თეთრი დათვი?
-ვოლიერში ვერა დგება!
-ლომი რად თვლემს დღე და ღამე?
-აფრიკის ტყე ელანდება.

ლახტი

ლახტი, ლახტი, ლახტუნა,
ლახტს თამაშობს დათუნა.
დაიჯაბნა ციყვუნამ,
ახტუნა და ახტუნა.
აუწითლა ლოყები,
აუჭრელა გვერდები,
ძლივსღა დადის, წუწუნებს:
-ეხ, ციყუნავ, ვბერდები!
შენ კი, სულ არ ვიცოდი,
რა მარჯვე ხარ, რა მალი!
კარგი, გეყო თამაში,
დამიბრუნე ქამარი.
-რაო, რაო, რას ბრძანებ?
ხომ მოგიგე, ძამიკო!
ეს ქამარი ჩემია,
სახლში უნდა წავიღო!-
დათუნია ატირდა,
ცრემლი მოსდის ღვარღვარით:
-შინ როგორღა წავიდე,
ჩამვარდება შარვალი!

ღრუბელი

მოწყენილია ღრუბელი,
ატირდება და . . . იწვიმებს,
კრუხს აბა ქოლგა რად უნდა,
ფრთებქვეშ იფარავს წიწილებს.
თბილია დედის ბუმბული,
ვერას დააკლებთ სიცივე.
გზადაკარგული წიწილა
სადღაც ყანაში წივწივებს.

გივი ჭიჭინაძე

ქალის ტვირთი „ნაციონალური“ რეჟიმის პირობებში

„ნაციონალური“ რეჟიმის პირობებში საქართველოს მშვენიერ ნახევარს მართლაცდა დიდი პრობლემების ტვირთი აწევს. „ვარდების რევოლუციით“ შობილი „ნაციონალური“ რეჟიმი, ყოველგვარი საფარველის გარეშე ახორციელებს საბაზრო ტოტალიტარიზმის სტრატეგიას, რომლის უპირველესი მსხვერპლი ქალები აღმოჩნდნენ. „ნაციონალურმა“ რეჟიმმა საერთოდაც დაამუხრუჭა ქვეყანაში ჰუმანური სოციალური კანონმდებლობის პროცესი. თუ 1995–2003 წლებში საქართველომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 15 კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, ბოლო 8 წლის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა მხოლოდ ერთი კონვენციის რატიფიცირება განახორციელა.

ქვეყანაში მძლავრი და კოორდინირებული სამოქალაქო–სოციალური მოძრაობის პირობებში, მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი ვერ განახორციელებდა ქალთა მიმართ შრომის არათანაბარი ანაზღაურებისა და მათი დისკრიმინაციის პოლიტიკას. საქართველოს მიერ 1996 წლის 29 მაისს განხორციელდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის № 100 კონვენციის „მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ“ რატიფიცირება. აღნიშნული კონვენციის მიხედვით ტერმინი „ანაზღაურება“ გულისხმობს ხელფასს, რომელსაც პირდაპირ ან ირიბად, ფულით ან ნატურით, დამსაქმებელი უხდის მშრომელს გაწეული სამუშაოს შესრულებისათვის. „თანაბარი ანაზღაურება“ ეხება ანაზღაურების განაკვეთს, რომელიც განისაზღვრება სქესის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციის გარეშე. ანაზღაურების განაკვეთის დადგენის დროს გამოყენებული უნდა იქნეს მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი განსაზღვრის პრინციპი. კონვენციის მიხედვით ეს პრინციპი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი ან აღიარებული განსაზღვრის სისტემით, ან დამსაქმებელთა და მშრომელთა კოლექტიური ხელშეკრულებით, ან ყველა ამ მეთოდის შეთავსებით.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ „ნაციონალური“ რეჟიმის მმართველობისას? „საქსტატის“ მონაცემებით ქვეყანაში დასაქმებული ქალების საშუალო ხელფასი მამაკაცის საშუალო ხელფასს ჩამოუვარდება, კერძოდ, 2010 წლის მიწურულს ეს თანაფარდობა შეადგენდა 1,8–ს.

„საქსტატის“ აღრიცხვას დაქვემდებარებული საქმიანობის 15 დარგიდან, საშუალოზე დაბალი ხელფასები დაფიქსირდა 7 დარგში, განსაკუთრებით ისეთ შრომატევად დარგებში, როგორიც არის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, ვაჭრობა და მომსახურება, დამამუშავებელი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა.

საქართველოს მიერ 1995 წლის 4 მაისს რატიფიცირდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის № 111 კონვენცია „შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრმინაციის შესახებ“. ამ კონვენციის შესაბამისად ქვეყანამ უნდა განსაზღვროს და განახორციელოს ისეთი პოლიტიკა, რომლის მიზანი იქნება ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრა შრომასა და დასაქმების სფეროში. რეალურად კი რა ხდება „ნაციონალთა“ ბატონობისას? დისკრიმინაცია ფიქსირდება არა ერთი მიმართულებით, კერძოდ, არსებული „შრომის“ კოდექსის ხელშეწყობით ხშირია სარეკლამო განცხადებები სამუშაოზე აყვანის თაობაზე, სადაც მითითებულია მხოლოდ მამაკაცები, ხოლო ქალები, არც კი იგულისხმება, – სამუშაოზე უარს ეუბნებიან შვილებიან ქალს; – ქალებისგან მოითხოვენ სამუშაოს დატოვებას, როდესაც ისინი ოჯახდებიან, – სამუშაოზე არ იღებენ ან ათავისუფლებენ სამუშაოდან ფეხმძიმე ქალებს. ეს ხდება მაშინ, როდესაც № 111 კონვენციის მიხედვით ხელისუფლება ვალდებულია ეროვნული პირობებისა და პრაქტიკის შესაბამისი მეთოდებით:

1)უზრუნველყოს დამსაქმებელთა და მშრომელთა გაერთიანებების, აგრეთვე სხვა შესაბამისი ორგანოების თანამშრომლობა ამ პოლიტიკის მიღებისა და დაცვის ხელშეწყობის საქმეში;

2) შემოიღოს ისეთი კანონმდებლობა და წაახალისოს იმგვარი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ პოლიტიკის მიღებასა და დაცვას;

3) გააუქმოს ამ პოლიტიკასთან შეუთავსებელი ყოველგვარი საკანონმდებლო დებულებანი და შეცვალოს ყოველგვარი ადმინისტრაციული ინსტრუქციები ან პრაქტიკა;

4) განახორციელოს შრომის სფეროში დადგენილი პოლიტიკა სახელმწიფო ხელისუფლების უშუალო კონტროლით;

5) უზრუნველყოს სახელმწიფო ხელისუფლების ხელმძღვანელობით დადგენილი პოლიტიკის დაცვა პროფესიული ორიენტიების, პროფესიული სწავლებისა და შრომითი მოწყობის დაწესებულებების საქმიანობაში;

6) კონვენციის გამოყენების შესახებ თავის ყოველწლიურ მოხსენებაში მიუთითოს ზემოაღნიშნული პოლიტიკის თანახმად განხორციელებული ღონისძიებები და ამ ღონისძიებებით მიღწეული შედეგები.

ყველა კარგად ხედავს, რომ მიხეილ სააკაშვილი თავის ყოველწლიურ საპარლამენტო მოხსენებებში „ზედმიწევნით ზუსტად“ ახდენს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესახებ პარლამენტის წევრების გაცნობიერებას. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ცენტრალურ ოფისში, ქ. ჟენევაში კი იგზავნება ქაღალდების დასტა, მაგრამ მათი ფასი ამ ქაღალდების თვითღირებულების ფასსაც კი არ შეადგენს. პარლამენტმა 2010 წლის 26 მარტს მიიღო კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ და ისიც ქაღალდზე დარჩა, არ ამოქმედდა ცხოვრებაში.

და მაინც, რატომ არის აუცილებელი საქართველოში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების რატიფიცირების აღდგენა, ევროპის სოციალური ქარტიის სრულად რატიფიცირება, რას მისცემს ეს საქართველოს ქალებს?

საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების გარეშე, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გარეშე ქალთა უფლებები, მათ შორის სოციალურ და შრომით კანონმდებლობაში თანდათან გაქრება და სოციალურ–შრომითი ურთიერთობები ტოტალურად არასამართლებრივი და არასამართლიანი გახდება. უთანასწორობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა აქტივისტისთვის მძლავრი მორალური და პოლიტიკური ფაქტორია ამ კონვენციების არსებობა. მეტიც, მათთვის დიდი სტიმულია ამ კონვენციებისა და ახალი კონვენციების პრინციპებისათვის ბრძოლა.

დღეს, ქალის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შრომის საერთაშორისო ოგანიზაციის № 183 კონვენციის „დედობის დაცვის შესახებ“ რატიფიცირებას. ეს კონვენცია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ მიიღო 1919 წელს, მაგრამ იგი ფუნდამენტალურად შესწორდა 1952 და 2000 წლებში. კონვენცია ვრცელდება ყველა კატეგორიის დასაქმებულ ქალზე, მიუხედავად სამუშაოს ტიპისა. მისი მიზანია ქალთა თანასწორობის დაცვა შრომით სფეროში, დედათა და ბავშვთა თანასწორობის დაცვა შრომით სფეროში, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა. საყურადღებოა მისი ზოგიერთი დებულების განსაკუთრებით გამოკვეთა, რადგან გაეროს მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა ყოველწლიურად თითქმის 40 000 ადამიანით მცირდება. „ნაციონალური“ რეჟიმის ანტიჰუმანური და ანტიეროვნული სოციალური კანონმდებლობით ფეხმძიმე და მეძუძური ქალები არ არიან დაცულნი ისეთი სამუშაოსგან, რომელიც ზიანის რისკის მატარებელია მისთვის ან მისი ბავშვის ჯანმრთელობისთვის. კანონი „მძიმე და საშიში პირობების სამუშაოების შესახებ“ საქართველოში უბრალოდ არ არსებობს. ჯერ კიდევ „ლეგენდარული“ ვლადიმერ ჭიპაშვილის მიერ (ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრი, რომელმაც წინმსწრებად „ქათმის გრიპისაგან“ ლამის ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი კინაღამ „გაწყვიტა“) ხელმოწერილ იქნა ბრძანება № 85/ნ, რის საფუძველზეც 2006 წლიდან საქართველოში მშობიარობის გამო შვებულების ანაზღაურება არ არის დამოკიდებული დასაქმებული ქალის ხელფასზე და შემოფარგლულია მხოლოდ 600 ლარით. კონვენციის მიხედვით კი ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული ფულადი დახმარება უნდა დადგინდეს იმ დონეზე, რომ ქალმა შეძლოს შეინახოს საკუთარი თავი და თავისი შვილი, უზრუნველყოს სანიტარულ–ჰიგიენური პირობებითა და ცხოვრების სათანადო დონით. ფულადი დახმარება უნდა იყოს არა ნაკლებ წინა გამომუშავების 2/3. თუ ქალი ვერ პასუხობს ფულადი დახმარების მიღების პირობებს, მას აქვს უფლება მიიღოს ადეკვატური დახმარება სოციალური დახმარების ფონდიდან.

კონვენცია სახელმწიფოს ავალდებულებს მოხსენებაში მიუთითოს, თუ რა ზომები იქნა მიღებული ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული დახმარების მოცულობის თანდათანობით გაზრდის მიზნით.

კონვენცია კრძალავს დამსაქმელის მიერ ქალის განთავისუფლებას ორსულობისა და მშობიარობისას, შვებულებისას ან მისი სამსახურში დაბრუნების პერიოდში. დამსაქმებელს ეკისრება მოვალეობა იმის დასადასტურებლად, რომ განთავისუფლება არ არის დაკავშირებული ორსულობასთან, მშობიარობასთან ან მეძუძური ბავშვის კვებასთან. ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების დამთავრების შემდეგ ქალს გარანტირებული აქვს უფლება დაუბრუნდეს ადრინდელ, ან ეკვივალენტურ სამუშაოს, ადრინდელი სახელფასო განაკვეთით.

დღეს მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის სტრატეგია დემპინგური სოციალურ–ეკონომიკური ნორმატივების დამკვიდრებისაკენ არის მიმართული, ზუსტად ასეთ ვითარებაში არის აუცილებელი სამოქალაქო–სოციალური მოძრაობის გაშლა, რომელიც დაუპირისპირდება საბაზრო ფუნდამენტალისტების დიქტატურას, მათ სწრაფვას აქციონ მშრომელი ადამიანი მოლაპარაკე იარაღად. ამ მხრივ ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის № 158 კონვენციის „მეწარმეთა ინიციატივით შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ“ რატიფიცირებას, რომელიც რეალურ დახმარებას გაუწევს ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის მსხვერპლ მშრომელებს.

დიახ, მძიმე ტვირთად აწევს ქალის მხრებს „ნაციონალური“ რეჟიმის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა. ამ მხრივ სამუშაო ძალიან ბევრი აქვს ყველა იმ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ძალას, ვისთვისაც მართლაც მნიშვნელოვანია საქართველოს ქალების აწმყოცა და მომავალიც. სოციალური პარტნიორობის პრინციპის დამკვიდრებამდე დღის წესრიგში დგას სამოქალაქო და სოციალური წინააღმდეგობის კომბინირებული ქმედებების განხორციელება. მხოლოდ ამ გზით, დისციპლინირებული და ორგანიზებული, ადეკვატური და მოქნილი მოქმედებით მოვხსნით საქართველოს ქალებს არსებულ უთანასწორობისა და დისკრიმინაციის ტვირთს.

მომავალი წინააღმდეგობაშია.

დავით არაბიძე

სათნოებით დღეგრძელი ქალბატონი

დეიდა თინა, ქალბატონი თინა თუაშვილი 91 წლის გახდა. თუ რაში მდგომარეობს მისი დღეგრძელობის საიდუმლო, თავად ქალბატონი თინა ვერ აგიხსნით, რამეთუ მანაც, როგორც ყოველმა ჩვენთაგანმა, მრავალი ტკბილ–მწარე ცხოვრება გამოიარა. იგი ძველი თბილისის, სოლოლაკის მკვიდრია. მაჩაბლის ქუჩაზე მასთან სტუმრობა ყველაზე მეტად უყვართ მის უახლოეს მეგობრებს: დოდონა კიზირიას, ეთერ ბერიტაშვილს, ლეილა ცომაიას, უყვარდა აწ გარდაცვლილ ლია ანდღულაძესაც. ქალბატონი თინას დღეგრძელობის საიდუმლოც მხოლოდ მისმა ამ უახლოესმა მეგობრებმა იციან – ეს, ქალბატონი თინას სათნოება, სიქველე, უსაზღვრო სიკეთე და სიყვარულია, რისთვისაც იგი ღმერთმა ესოდენი დღეგრძელობით დააჯილდოვა.

ქალბატონი თინას პატრიოტულ გულსა და გონებას დღემდე გაუნელებელ სევდა–ტკივილად აწევს უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მის სანუკვარ სამშობლოში დატრიალებული ისტორიული უბედურებანი. იგი ახალგაზრდული აღტკინებით ჩაერთო 1980–90–იან წლებში აზვირთებულ ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რითაც თავისი სწორუპოვარი წვლილი შეიტანა საქართველოს დამოუკიდებლობაში. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევამ და ხელისუფლებაში ეროვნული ძალების მოსვლამ მას ახალი სასიცოცხლო ენერგია შესძინა და საქართველოს ნათელი მომავლის ბრწყინვალე იმედებით აღავსო. იგი მთელი არსებითა და მრწამსით ეწინააღმდეგებოდა იმპერიულ აგენტურულ ძალებს, რომლებიც საქართველოს დანგრევასა და ქართველი ერის დაჩოქებას ლამობდნენ. ყველა მიტინგზე თავისი სამშობლოს ერთგული ჯარისკაცივით იდგა. ქალბატონ თინას ეამაყება, რომ მისი დაბადების დღე, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღის დარად სწორედ 31 მარტია. მისი ყველაზე დიდი სურვილი და ოცნება საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ქართველი ერის გამრავლებაა. წუხს, რომ თავად ორ შვილზე მეტი ვერ შესძინა სამშობლოს. ქალბატონი თინა დღემდე უდიდესი სიამოვნებით უსმენს კლასიკურ მუსიკას,ხალხურ ხელოვნებას და გაუნელებელი ინტერესით კითხულობს წიგნებს.

ვუსურვებთ ქალბატონ თინას მოსწრებოდეს თავისი პატრიოტული ნატვრის აღსრულებას.

ქეთევან ჭანტურია

მე ნაცისტების სამსახურში ვდგები!!

პამფლეტი

ვისაც ისტორია, თუნდაც სკოლაში უსწავლია გაახსენდება, რომ ადამიანთა მოდგმის სახელმწფოებრივი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ბატონისა და ყმის ურთიერთობაში გაილია. ბატონები, როგორც წესი, ყოველთვის ცდილობდნენ საკუთარი შემოსავლების გაზრდას, რაც სხვადასხვა გადასახადების მომატების გარეშე ვერ მოხერხდებოდა. ყმები კი, ამ მომატებას ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ და მას აჯანყებებით,ბატონებზე თავდასხმებით, ბრძოლის სხვა უამრავი საშუალებებით პასუხობდნენ.

როდესაც 1848 წელს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა კომუნისტური პარტიის მანიფესტი გამოაქვეყნეს მისი მთავარი ლაიტმოტივი ის იყო, რომ რევოლუციურ ბრძოლაში პროლეტარიატს, ანუ იგივე ყმებს არაფერი არა აქვთ დასაკარგი, გარდა საკუთარი ბორკილებისა. მართალია ამ თეორიას სხვა სოციალისტების სახით მაშინვე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები, მაგრამ მთავარი ეს არ არის. საქმე იმაშია, რომ ამ ვაჟბატონების თეორიის მიხედვით შექმნილმა სახელმწიფომ – საბჭოთა კავშირმა მოსახლეობას ეს ბორკილები არა თუ მოაცილა, პირიქით, ისე შეაყვარა, რომ დღესაც არ ეთმობათ.

საფრანგეთში, ამ სოციალური დახმარებების სამოთხეში, საპენსიო ასაკის 60–დან 62 წლამდე გაზრდას, მთელი მოსახლეობა, ყველა ასაკის ადამიანები ისეთი პროტესტით შეხვდნენ, კინაღამ ქვეყანა თავდაყირა დააყენეს. ასეა ყველგან, სადაც ხალხი საკუთარ ღირსებას პატივს სცემს და ხელისუფლებას ნახირივით ერთი საძოვრიდან მეორეზე კუნტრუშით არ მიყვება.

ჩვენთან, საქართველოს პრეზიდენტმა, ჯერ იყო და 35 წლის ზემოთ ყველა არანაციონალი თანამშრომელი სამსახურებიდან გაყარა. საპენსიო ასაკის მოკლების ნაცვლად კი ასაკი ხუთი წლით გაზარდა. რითაც ასი ათასობით ადამიანი ფაქტიურად საშიმშილოდ გაწირა. ქართველების პასუხი – ჩამოყრილი ყურები და პირში ჩაგუბებული წყალი აღმოჩნდა.

რაღაი ერთი შერჩათ, ნაცისტები დარწმუნდნენ, რომ ქართველებს მონობის ბაცილა ისე ღრმად აქვთ გამჯდარი – რეაქცია არაფერზე ექნებათო და უმატებენ ყოველივეს. წყალს, შუქს, საწვავს, საკვებს, წამალს, სასუქებს, ყველაფერს, რაც ჩვენი ნაციონალების შემოსავალს ასამკეცებს. სამაგიეროთო! ბიზნესმენებს – გადასახადები შევუმცირეთო!, ქართველებს გაუხარდათ, იფიქრეს ვიღაცას მაინც უკლებენ რაღაცასო. ახლა ირკვევა, რომ ბიზნესმენებიც თვითონ ყოფილან და საკუთარ თავს გადასახადებს ხომ არ მოუმატებდნენ?!

ყველაფერ ამას კი, ასეთ ახსნას უძებნიან – რა ვქნათო! მსოფლიოში ფასები იზრდება, ჩვენ მართალია ათიათასიანი ხელფასები, ამდენივე ყოველთვიური პრემია, პლუს ბონუსები და ზედ დამატებული ბიუჯეტიდან მოპარული მილიონებიც გვაქვსო, მაგრამ მაინც არ გვყოფნის – ცხოვრება გვინდა, ტყუილა კი არა ვართ ხელისუფლებაშიო!

ხოდა!, მეც მომბეზრდა – დაღლარა ქართველების გამოქომაგება, ამათი საშველი მაინც არ არის და თავს მინდა ვუშველო. მე, ნაცისტების სამსახურში ვდგები, მაგრამ ხვიჩასი არ იყოს, მბრძანებელთან ხელცარიელი ხომ არ მივალ? ჰოდა მათი ბიუჯეტის შევსების ისეთი ახალი გადასახადები მოვიფიქრე, სიამოვნებისაგან დიდხანს იფშვნეტდნენ ხელებს. მხოლოდ გაზეთის რედაქტორს მინდა ვთხოვო სასწრაფოდ დაბეჭდოს ჩემი ეს წერილი–წინადადება, რომ საავტორო უფლებები დავაფიქსირო, ვინმემ არ მიითვისოს და არ დავიღუპო კაცი!

მბრძანებელმა მესტიაში განაცხადა – აქაო არისო ოქროს ზოდებიო! მაგრამ მესტიაში ოქროს ზოდები კაცს არ გაუგია. აი, ენგურს ოქროს ნაწილაკები მართლაც მოაქვს, რაც ძველმა კოლხებმაც იცოდნენ, მაგრამ ეს არ არის ზოდები. აი, ოქროს ზოდები სად არის მე ვიცი და მხოლოდ ნაცისტებს გეტყვით, მისი დაბეგვრით იმდენი ფული შემოგივათ ბიუჯეტში – ხარჯვას ვერ აუდიოდეთ! მაგრამ გთხოვთ, თქვენს სამსახურში მოვდივარ და თუ ფინანსთა მინისტრის მოადგილედ არა, საშემოსავლო სამსახურის უფროსად მაინც დამნიშნოთ. ახლა დაცქვიტეთ ყურები, ვამბობ: ოქროს ზოდები არის სექსინდუსტრიაში, რომელიც საქართველოში თავის ნებაზეა მიშვებული და არ არის დაბეგრილი.

ვხვდები, დაღლარა ქართველები დაცხებენ ყიჟინას – ქართველი ქალის კდემამოსილებაზე, მის მანდილზე. ჩაიგდეთ ხმა! კდემამოსილება! ჩართეთ ტელევიზორი – თქვენი ქართველი ქალები – მთელი მსოფლიოს გასაგონად დილიდან საღამომდე გაყვირიან, მე ამდენი საყვარელი მყავს, მე ამდენიო! ერთმა ქალმა იმხელა ხმით იკივლა კაცები მიყვარსო, გული კინაღამ გამისკდა, იმას სხვებიც აყვნენ, შენ კი არა, ჩვენ გვიყვარსო. რამოდენიმემ კაცობით ფული ვერ ვიშოვე – ახლა ქალობით უნდა ვცადო ბედიო და ოპერაცია გავიკეთეო! თურქეთიდან ვაგონებით გვიგზავნიან იქ ყირაზე გადასულ თქვენს მანდილიან ქალბატონებს.

და აი, ვინაიდან მე ნაცისტებთან სამსახურში მივდივარ ეს ყველაფერი მათი შემოსავლის წყაროდ უნდა გადავაქციო. არ დავუშვებ, დოლარების მდინარეები, ჩემი ნაციონალი ბიჭების ჯიბეში არ მიდიოდეს.

მაშ ასე, გადავდივარ კონკრეტიკაზე. რა, როგორ და რანაირად უნდა გაკეთდეს. როგორც ცნობილია, ჩემო ძვირფასო ნაცისტებო, ისეთი ახალი საგადასახადო აპარატები შემოგაქვთ, რომელიც თანამგზავრის საშუალებით დაკავშირებული იქნება თქვენს სალაროსთან, ანუ ბიუჯეტთან, ეს კარგია. მაგრამ წინადადება შემომაქვს, ამ სალარო–აპარატებს დავუყენოთ ვიდეოთვალი. ჩვენი (ხომ ხედავთ, უკვე ჩვენს ვეძახი) შინაგან საქმეთა სამინისტროს დღევანდელი ტექნიკური აღჭურვილობის გათვალისწინებით, როდესაც ყველა და ყველაფერი ისმინება, კონტროლირდება, ამისი გაკეთება არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. ეს კი ძალიან დაგვჭირდება სწორედ სექსინდუსტრიაში.

ახალი სალარო–აპარატები უნდა დავუყენოთ, – ქუჩაში, კაფე–ბარებში, სხვადასხვა სამორინეებში, აბანოებში და რესტორნებში შეყუჟულ მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონებს, რომლებიც არანაირ გადასახადებს არ უხდიან ბიუჯეტს და ამით რამდენი ფული აკლდება ნაციონალურ მოძრაობას! მე სულ მისხალ–მისხალ დავიანგარიშე, ამ საქმით მთელს საქართველოში ათი ათასი ქალია სისტემატიურად დაკავებული. მათი საგადასახადო სივრცეში შემოყვანა დასაქმების სტატისტიკასაც გაგვიუმჯობესებს და ბიუჯეტსაც კოლოსალურ დამატებით შემოსავალს მოუტანს. მაგრამ, სად მივამაგროთ ეს სალარო–აპარატები ისე, რომ შრომის ნაყოფიერებაზე არ იმოქმედოს? აი, ამის ფიქრმა მომკლა! ერთი პირობა იყო ისიც კი ვიფიქრე – ავდგები და სააქციზო მარკას პირდაპირ პიკანტურ ადგილებზე მივაწებებ–მეთქი, მაგრამ ათი ათას ქალს, მუშაობის მათი მოცულობის გათვალისწინებით, რომ ყოველ დაზიანებულ მარკის შეცვლა დაჭირდება, ამას ჩემი დიდი მონდომების მიუხედავად, მე კი არა, მთელი ნაციონალური აქტივი ვერ აუვა. ამიტომ, ამ წამოწყებაზე ხელი უნდა ავიღოთ! ჯობია სალარო–აპარატი თერმოსივით გვერდზე ჩამოვკიდოთ და მოხმარებაც მკაცრად გავაკონტროლოთ! ჩემი გამოანგარიშებით, ისე რომ არანაირი ძალისხმევა არ დაგვჭირდება, სექსინდუსტრიის მარტო ეს სეგმენტი, ბიუჯეტს, წელიწადში 350 მილიონი ლარით შეავსებს.

რაც შეეხება ჩვენი მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონებს, რომლებიც უცხოეთში ვალუტაზე მუშაობენ, ესენიც სათანადოდ უნდა დავბეგროთ! არ შეიძლება მათი ასე ჰარი–ჰარალეზე მიშვება. ამ საქმეს ასევე მე მივხედავ – ყველა მათგანს ვაიძულებ სალარო–აპარატები თან იქონინონ და არაფერი გამორჩეთ აღურიცხავი. ვიდეოთვალი ამ საქმეში შეუცვლელია. ჩემი გამოანგარიშებით – რაც ცხადია, ფსიქოლოგიურ, ფიზიოლოგიურ და ფიზიკურ შესაძლებლობების ღრმად მეცნიერულ დასკვნებზე მაქვს გაკეთებული, წელიწადში ეს ქალბატონები ბიუჯეტს დამატებით 400 მილიონი ლარით გაგვიმდიდრებენ. როდესაც ბიუჯეტზე ვლაპარაკობ, ბუნებრივია, თქვენს ჯიბეებს ვგულისხმობ, ჩემო ნაციონალებო.

მთელი პაკეტი მაქვს მომზადებული ცოლ–ქმრულ ღალატზე, საყვარლებთან ურთიერთობაზე. მაგრამ ეს პირველ რიგში თქვენ ნაციონალ ბიჭებსა და გოგოებს დაგაზარალებდათ, მე კი თქვენს სამსახურში ჩასადგომად გამზადებული კაცი თქვენივე საწინააღმდეგოს ხომ არ მოვიმოქმედებ. ამიტომ, სექსინდუსტრიის ამ ნაწილს დაბეგვრის გარეშე დავტოვებ, სანამ თქვენ 70 წელს არ გადააბიჯებთ, მერე იცოცხლეთ, მე აქ ამბები დავატრიალო.

მივადექით მთავარს, რომელიც ნაციონალურ ბიუჯეტს გაათმაგებს და მისი შევსების მთავარი წყარო, გნებავთ ჩანჩქერი გახდება. სალარო–აპარატი შემომაქვს ცოლ–ქმრულ ურთიერთობაში, ანუ თითოეულ საძინებელში. ამაზე ბევრი ვიფიქრე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ კმარა ქართველების გადასახადების გარეშე ამ საქმით ნებივრობა. ბოლო უნდა მოეღოს ბიუჯეტის შევსებისადმი ასეთ უყაირათო დამოკიდებულებას. ახლა თქვენ, ჩემო ძვირფასო ნაცისტებო, მკითხავით ეს გადასახადი მოსახლეობაში უკმაყოფილებას ხომ არ გამოიწვევსო. სწორედ, რომ გაკვირვებული ვარ ასეთი კითხვა რამ მოგაფიქრათ! ჯერ ერთი, ქართველების უკმაყოფილება ვის გაუგია, მეორეც, რომელი გადასახადის გადახდაზე უთქვამთ უარი ამაზე რომ თქვან, ჭკვიანად თუ არ იქნებიან, ავდგები და შუქს გაუთიშავ. ამას ყველაფერს მე მივხედავ – ისე გადავახდევინებ, მზე მაღლა იქნება!

თუმცა, ამ საქმეში – აუცილებელია დიფერენცირებული მიდგომა. მოსახლეობა უნდა დავყოთ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფად, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნას მათი ფიზიკური პოტენციალი. ასე მაგალითად, სამოცი წლის წყვილს ისე ვერ მოსთხოვ, როგორც ოცდაათისას. თან ქართველების სიზარმაცის ამბავი რომ ვიცი, ფულიც თუ ექნებათ გადასახდელი, შეიძლება საერთოდ აიღონ ხელი ცოლქმრული მოვალეობის შესრულებაზე, ეს კი, ბიუჯეტს დაუზარალებს. თუ ასე წავიდა საქმე, ამისთვისაც მზად ვარ მე, ავდგები და ფიქსირებულ გადასახადს შემოვიღებ, ანუ 50–დან 60 წლამდე წყვილს თვეში ოთხჯერ გადაძრომა–გადმოძრომას დავუდგენ, უფრო ახალგაზრდებს ათჯერ, სამოცდაათი წლისანებს, საერთოდ გავათავისუფლებ სექსუალური გადასახადებისაგან – ჯანდაბას მაგათი თავი!

მაშ ასე, ვთქვათ ქმარი მიძვრება ცოლისაკენ, საძინებელში ხდება ეს ყველაფერი, ცოლმა ახალი კანონმდებლობით მაშინვე უნდა ამოკრას, – თქვენ რა იფიქრეთ? მე სალარო აპარატი მქონდა მხედველობაში. შეიძლება ქმარმა მოიმიზეზოს, აი სალარო აპარატის დაჩხაკუნების ხმა რომ გავიგონე – სურვილი გამიქრა. უკან ვბრუნდები ჩემს ლოგინში და ფულის გადახდა არ მეკუთვნისო. მაგრამ ნურას უკაცრავად, მე ვიდეოთვალით ყველაფერს ვაკონტროლებ და არ დავუშვებ ცუღლუტებს ბიუჯეტი ვაზარალებინო! სურვილი, რომ სურვილია, თუნდაც განუხორციელებელი, იმასაც დავბეგრავ. ბოლო თეთრამდე დავიანგარიშე. აქედან, ბიუჯეტი, წელიწადში 3 მილიარდ ექვსასი მილიონი ლარით შეივსება. ხედავთ? რა ფულზეა ლაპარაკი და ყველაფერი ამის უკან ვდგევარ მე!

ამდენად, მთლიანობაში – ჩემი ნიჭიერებითა და მეცადინეობით, ბიუჯეტი მიიღებს ოთხ მილიარდ 350 მილიონ ლარს. ძვირფასო ნაცისტებო! იმ 7 წლის განმავლობაში, რაც ხელისუფლებაში ბრძანდებით, მარტო სექსინდუსტრიის თავის ნებზე მიშვებით, ბიუჯეტს, 30 მილიარდზე მეტი ლარი დააკელით. შეიძლება ამის მოთმენა? ეს ყველაფერი ხომ თქვენს კიდევ უფრო მეტ კეთილდღეობას, საზღვარგარეთ თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების გართობასა და განცხრომას მოაკლდა! ახლახან გაზეთი „რეზონანსი“ წერდა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახალაიამ პარიზში სასტუმროს ნომერში ერთი ღამის გათენებასა და იქვე რესტორანში წახამსებაში 21 ათასი ევრო გადაიხადაო. ხოდა, სააკაშვილს მარტო ერთი ახალაია ხომ არა ყავს! ბიჭებს დროსტარება, გართობა უნდათ, ამას ყველაფერს ფარა სჭირდება, საიდან მერე ეს ფარა? რა თქმა უნდა, ბიუჯეტიდან! ბიუჯეტში კი ვინ უნდა შეიტანოს, რა თქმა უნდა, მე! მე ხომ ნაცისტების სამსახურში მივდივარ!

ისე, რას გეტყვით იცი? – ერთი იმათ ტვინში ჩამახედა, ვინც საქართველოს სამაჩაბლოში ომის დაწყებას აბრალებს. ხალხო! იმ ქვეყანას, სადაც კეზერაშვილი და ბაჩო სარდლები იქნებიან – რა ომის დაწყების თავი აქვს! აჩვენეთ კეზერაშვილი რუსებს და ირწმუნეთ, ისინიც შეიცვლიან აზრს, არასოდეს იტყვიან ისეთ სისულელეს, ქართველებმა ომი დაიწყესო. კაცს ფულის კეთების მეტი არაფერი შეეძლო და ჩვენმა პრეზიდენტმა ჯარი ჩააბარა.

თუმცა, ამ „სწორუპოვარი სარდლების“ მეთაურობით, ჩვენმა ჯარმა ბრძოლა არ იცისო – ვერ იტყვის კაცი. ლომებივით იბრძვიან, მაგრამ რუსთაველზე და ისიც უიარაღო ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ. ეს მართლაც კარგად გამოსდით. უნდა გავაფრთხილო სეპარატისტები და რუსები, რომ ჩვენთან ომი თუ უნდათ, მარტო ქალები და ბავშვები გამოიყვანონ, – შეიარაღებული კაცების წინააღმდეგ ომში ჩვენ მონაწილეობას აწი არ მივიღებთ!

ჩეჩენ მეომრებს, რაც ამათ ფული და იარაღი აქვთ იმისი ხუთი პროცენტი მაინც რომ გააჩნდეთ – მოსკოვი კაი ხნის აღებული ექნებოდათ და ურალს იქითაც იქნებოდნენ გასულები. არ ვიცი რა ხდება ჩვენ თავს. მგონია აკაკი წერეთლის ერთი ლექსის შინაარსი აგვიხდა:

„გამოიცვალა დროება, ჩარხი უკუღმა ტრიალებს,
სომეხმა ხმალი აიღო, ქართველმა სომხის დავთარი“.

ეს რომ ასეა იქიდანაც ჩანს, სომხებმა აზერბაიჯანს ღამის ნახევარი ტერიტორია წაართვეს. ჩვენ კი, კეზერაშვილისა და ბაჩოს იმედით – პატარა საქართველო კიდევ უფრო პატარა გავხადეთ. სწორედ, ამაზე იტყვიან, ჯობია: ცხვრების ფარას ლომი სარდლობდეს – ვიდრე ლომებისას, ბაჩო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯერ მარტო ჩვენი სარდალ–წინამძღოლების სახელების წარმოთქმა შეაშინებდა მტერს. ნახეთ როგორ ჟღერს: გუბაზი, ვახტანგი, თორნიკე, დავითი, შალვა და რამდენი კიდევ სხვა. ახლა, ვის გინდა უთხრა, ჩემს სარდალს ბაჩო ქვიაო! ეტყობა, ბაღში თავისთვის დაბაჩუნობდა, მერე გაზრდა რომ არ აცალა ისე, პირდაპირ მინისტრად დანიშნა ამ კაცმა – სახელის შეცვლაც ვერავინ მოასწრო. მაგრამ რა უნდა გიკვირდეს?, ჩვენი პრეზიდენტის წყალობით, ჩვენთან ყველაფერი პირიქით არის და მეც პირიქით უნდა გავაკეთო ყველაფერი!

უი დედა!, ესაა კაი სროლა ვიციო? მკითხავენ ნაციონალები, მე კი სულ დამავიწყდა ამათ სამსახურში რომ მივდივარ და საყვედურების რა კორიანტელი დავაყენე. ბოდიში ბიჭებო! მეტს ნამდვილად არ ვიტყვი.

უნდა მივუბრუნდე ევროპას, ეს დალოცვილები, ვითომ გვემეგობრებიან, თან ეტყობა გაუგიათ სააკაშვილის ჩინოვნიკებს ბიუჯეტის ხარჯვაში ბადალი არა ყავთო და ოცმაგს ახდევინებენ, მოდი და ნუ გაბრაზდები. ახლა ვიღაცა პენსიონერი წაილუღლუღებს, რასაც პრეზიდენტის ელიტა საზღვარგარეთ მარტო ერთ ღამეში ხარჯავს – სულ ეყოფოდა საქართველოს საწყალი პენსიონერების სულის მოთქმასო. სულს ამოგაძრობთ მე თქვენ – წუწუნი არ გამაგონოთ! როგორ? ჩემი ნაცისტი ბიჭების დროისტარება – თქვენს წყალწყალა სუპში, თუნდაც ერთი ნაჭერი ხორცის ტივტივად ღირს? არა! მეც მანდა ვარ.

მე, როგორც გამოვაცხადე, ძვირფასო ნაცისტებო, თქვენს სამსახურში მოვდივარ და არ დაუშვებ უქნარა ქართველებმა რაიმე სიამოვნებაში შეგზღუდონ. ამაზე აწი მე ვიზრუნებ. არ დაგიმალავთ და იმასაც გაგიმხელთ, რომ უამრავი სხვა ბეგარა-გადასახადები მაქვს მოფიქრებული, რომელიც ნაციონალურ ბიუჯეტს გაასამკეცებს. იმედი მაქვს, ასეთ კაცს არ დამივიწყებთ და აბდუშახილივით მეც მიმიღებთ თქვენს რაზმში, რომ თქვენი ლხინი გავიზიარო. აბა!

ყოფილი

გვარიანად შეშინებული

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის

დასკვნითი დოკუმენტი

(თბილისი 2011)

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შექმნა და მის მიერ გაწეული საქმიანობის მოკლე აღწერილობა

2009 წლის 22 ოქტომბრის, საქართველოს პარლამენტის №1902 – II ს დადგენილების საფუძველზე, შეიქმნა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით: კონსტანტინე გამსახურდია (თავმჯდომარე), ლაშა თორდია (მოადგილე), რატი მაისურაძე (მდივანი), ბეჟან ხურციძე, ჯონდი ბაღათურია, ნაული ჯანაშია, რომან მარსაგიშვილი, ნუგზარ ერგემლიძე, ლევან ვეფხვაძე, რატი სამყურაშვილი, თემურ წურწუმია.

კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის მოკლე ქრონოლოგია:

1. 10.11.2009წ. ჩატარდა კომისიის პირველი სხდომა, კომისიის თავმჯდომარემ მოკლედ ისაუბრა კომისიის მიერ ახლო მომავალში განსახორციელებელი საქმიანობის შესახებ.

2. 14.12.2009წ. №12978/7–2 გაიგზავნა წერილი მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას სახელზე, საქართველოს მთავარ პროკურატურაში ექსპერტ–სპეციალისტების მიხეილ ოსაძის, ზურაბ ბაცანაძის და გიორგი ჩოხელის მივლინებასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის №7494802 საქმის მასალების გასაცნობად.

3. 17.12.2009წ. ჩატარდა კომისიის რიგით მეორე სხდომა, რომელზეც კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით შედგა ფილმის „დინების საწინააღმდეგოდ“ პირველი და მეორე ნაწილების ჩვენება.

4. 20.01.2010წ. კომისიის შემდგომი საქმიანობიდან გამომდინარე შედგა კომისიის თავმჯდომარის კონსტანტინე გამსახურდიას, კომისიის წევრის ბეჟან ხურციძის და კომისიის მოწვეული სპეციალისტის მიხეილ ოსაძის ვიზიტი რუსეთის ფედერაციაში, რომლის პირდაპირი შედეგია ყოფილი უშიშროების უფროსის, იგორ გიორგაძის, ასევე ყოფილი გვარდიის სარდლის, თენგიზ კიტოვანის მოსმენა, ასევე ქალაქ როსტოვში ჩატარებული სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მოპოვება.

5. 23.02.2010წ. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის თავმჯდომარემ კონსტანტინე გამსახურდიამ პარლამენტის სხდომაზე წაიკითხა შუალედური მოხსენება და მოითხოვა საპარლამენტო დროებითი კომისიისთვის ვადის გაგრძელება სამი თვით.

6. 25.02.2010წ. ჩატარდა კომისიის მორიგი სხდომა, რომელზეც მოწვეული იქნა ზვიად გამსახურდიას მთავრობის პრემიერ მინისტრი თენგიზ სიგუა, რომელმაც კომისიას მიაწოდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით გარკვეული ინფორმაცია.

7. 04.03.2010წ. კომისიამ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით მოუსმინა საქართველოს პირველი პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრს შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძეს; ამავე დღეს კომისიამ აწარმოა პრეზიდენტის პირადი დაცვის მეორე წევრის გოჩა კეკენაძის მოსმენა.

8. 14.04.2010წ. კომისიამ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით მოუსმინა საქართველოს პირველი პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრს ზაზა ბურჯანაძეს; ამავე დღეს კომისიამ აწარმოა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, მოქალაქეების ჰამლეტ გულორდავასა და ვლადიმერ კუჭუხიძის მოსმენა.

9. 20.04.2010წ. შედგა კომისიის გასვლითი სხდომა სამეგრელოს რეგიონში, სადაც იქნა მოსმენა 1993 – 1994 წლებში საქართველოს უშიშროების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანოს მუშაკების მურმან წაქაძისა და თემურ გაბუნიას, №7494802 სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

10. 24.05.2010წ. კომისიამ №7494802 სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, მოსასმენად, საქართველოს პარლამენტში კომისიამ მოიწვია პათანატომები ლევან ჩაჩუა და ზაზა ოქრუაშვილი.

11. 25.05.2010წ. კომისიამ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით მოუსმინა უზენაესი საბჭოს დეპუტატს ვალტერ შურღაიას და ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრს, სოსო თორიას.

12. 27.05.2010წ. გაიმართა საპარლამენტო კომისიის გასვლითი სხდომა სამეგრელოს რეგიონში. კომისიამ №7494802 სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, აწარმოა ზვიად გამსახურდიას ბოლო ორი მასპინძლის, კარლო ღურწკაიასა და ჯონსონ კვარაცხელიას მოსმენა.

13. 09.06.2010წ. კომისიამ №7494802 სისხლის სამართლის საქმეზე აწარმოა გვარდიის მაიორ ვახტანგ ზარანდიას მოსმენა.

14. 29.06.2010წ. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ბატონ კონსტანტინე გამსახურდიამ პარლამენტის სხდომაზე წაიკითხა მეორე შუალედური მოხსენება და მოითხოვა კომისიისთვის ვადის გაგრძელება ოთხი თვით.

15. 10.08.2010წ. კომისიამ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით №7494802 სისხლის სამართლის საქმეზე მოუსმინა უზენაესი საბჭოს დეპუტატს გივი თაქთაქიშვილს.

16. 12.08.2010წ. კომისიამ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით №7494802 სისხლის სამართლის საქმეზე მოუსმინა ქალაქ ზუგდიდის კომენდანტის ბადრი ზარანდიას დას მარინა ზარანდიას და ჟურნალისტ ირანდა კალანდაძეს.

17. 10.09.2010წ. კომისიამ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით მოუსმინა გაზეთ „ასავალ – დასავალის“ ჟურნალისტს ბელა შალვაშვილსა და ავთანდილ რცხილაძეს რომელიც 1991 წელს ქალაქ თელავის პრეფექტის მოვალეობას ასრულებდა.

18. 16.09.2010წ. კომისიამ, №7494802 სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით მოუსმინა პრეზიდენტის დაცვის უფროსს რობინზონ მარგველანს.

19. 04.10.2010წ. გაიგზავნა წერილი №10068/5–15 რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის იური ჩაიკას სახელზე, ზვიად გამსახურდიას გვამზე ფოტოგრაფიული თანაფარდობის შედეგების გადმოგზავნასთან დაკავშირებით. (რომელიც ჩატარდა 2007 წლის 6 – 23 მარტს) კომისიამ 2011 წლის დასაწყისში მიიღო ეს დოკუმენტი ქსეროასლის სახით.

20. 18.10.2010წ. გაიგზავნა წერილი №10500/2–2 ფინეთის გენერალური პროკურორის მაატი კუუსიმაკის სახელზე. ზვიად გამსახურდიას მთავრობის პრემიერ მინისტრის ბესარიონ გუგუშვილის გამოკითხის შუამდგომლობის შესახებ.

21. 27.10.2010წ. კომისიამ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით №7494802 სისხლის სამართლის საქმეზე მოუსმინა ძმებს ანატოლი და ზაურ ჩუხუებს.

22. 03.11.2010წ. გაიგზავნა წერილი №11093/5–15 საქართველოს მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას სახელზე. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის ორი წევრის უგზოუკვლოდ დაკარგული ვაჟა ჭინჭარაულისა და ირაკლი გოგაძის ცხედრების სამეგრელოს რეგიონში სავარაუდო ადგილსამყოფლის აღმოჩენის ცნობის შესახებ.

23. 03.11.2010წ. გაიგზავნა წერილი №11093/5–15 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადეიშვილის სახელზე. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის ორი წევრის, უგზოუკვლოდ დაკარგული ვაჟა ჭინჭარაულისა და ირაკლი გოგაძის ცხედრების სამეგრელოს რეგიონში სავარაუდო ადგილსამყოფელის აღმოჩენის ცნობასთან დაკავშირებით.

24. 05.11.2010წ. კომისიის გასვლა სამეგრელოს რეგიონში „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წარმომადგენლობასთან ერთად და საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება.

25. 06.11.2010წ. კომისიის გასვლა სამეგრელოს რეგიონში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის, უგზოუკვლოდ დაკარგული ვაჟა ჭინჭარაულისა და ირაკლი გოგაძის სავარაუდო საფლავების ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებით.

26. 7.12.2010წ. კომისიამ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით №7494802 სისხლის სამართლის საქმეზე მოუსმინა სასამართლო სამედიცინო ექსპერტს, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს თანამშრომელს, ნინო კიკაბიძეს.

კომისიამ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, წერილობით მიმართა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, ადმინისტრაციულ და სამართალდამცავ ორგანოებს, რომელთა მხრიდანაც დღემდე სრული სიჩუმე და რბილად რომ ვთქვათ უყურადღებობაა გამოვლენილი, კერძოდ:

1. 01.03.2010წ. გაიგზავნა წერილი №2021/5 – 15 საქართველოს ექსპრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სახელზე, იგი დღემდე კომისიასთან თანამშრომლობისგან თავს იკავებს, შესაბამისად კომისიას მისგან არანაირი პასუხი არ მიუღია, პრესაში ზოგადად გაცხადებულ ინფორმაციას თუ არ ჩავთვლით, რომელსაც კომისია პასუხად ვერ ჩათვლის და ამით ვერ იხელმძღვანელებს.

2. 02.03.2010წ. გაიგზავნა წერილი №2100/5 – 15 საქართველოს სასჯელთაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის ხათუნა კალმახელიძის სახელზე, თუ რომელ სასჯელთაღსრულების დაწესებულებაში იხდიდნენ, ან იხდიან სასჯელს და სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლებით გია და გოჩა სარიები. აღნიშნული უწყების პასუხს კომისია დღემდე ელოდება.

3. 15.10.2010წ. გაიგზავნა წერილი №10459/5 – 15 „ტელეიმედის“ გენერალური დირექტორის თემურ ხუბულავას სახელზე. 2004 წლის ზაფხულში „ტელეიმედის“ ეთერით გასული ბესარიონ გუგუშვილის ინტერვიუს კომისიისთვის გადმოგზავნასთან დაკავშირებით. არც აღნიშნული ინტერვიუ და არც პასუხი დღემდე არ ჩანს.

11. შემთხვევის ადგილიდან ექსპერტიზისთვის საჭირო ყველა მტკიცებულებების განადგურება

გარდაცვლილ პრეზიდენტზე იარაღის გარდა, განადგურებულია დანაშაულის ყველა კვალი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საგნების ის მონაკვეთები, სადაც ძნელია სისხლის კვლების განადგურება. კერძოდ, იატაკის ღარები, პლინთუსების ქვეშ, ტანსაცმლის ნაკერები, ღილები და ჯიბის სარჩული.

სისხლის გუბის მკვეთრი საზღვრები მიუთითებს გვამის პირველადი მდგომარეობის შეუცვლელობაზე. მოწმეები კი ერთმანეთისაგან განსხვავებულ მდგომარეობაში აღწერენ მიცვალებულს, რაც არანაირად დამაჯერებელი არ არის.

1. თვითმხილველები პრეზიდენტის გვამს აღწერს სხვადასხვაგვარად. მისი მდგომარეობით დაწყებული და ჩაცმულობით დამთავრებული. რობინზონ მარგველანი და შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე უთითებენ, რომ პრეზიდენტს იარაღიანი ხელი მუცელზე ჰქონდა დადებული, ხოლო კარლო ღურწკაია აღნიშნავს, რომ პრეზიდენტს მარჯვენა ხელი გაშლილ მდგომარეობაში საწოლიდან გადმოვარდნილი ჰქონდა.

2. შემთხვევის ადგილზე სისხლის არარსებობა სხეულის დაზიანებისას, რომელიც სისხლდენას იწვევს მიუთითებს იმაზე, რომ გვამი გადატანილია დანაშაულის ადგილიდან, რასაც საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში აღნიშნავს ნუკრი ღურწკაია. მისი თქმით პრეზიდენტის სხეულზე სისხლის კვალი მისთვის შეუმჩნეველი დარჩა.

3. გვამის ტანსაცმელზე ახალი და გამშრალი სისხლის ნაღვენთები წარმოიქმნება გვამის გადატრიალებისას. სხეულის თრევისას ტანსაცმელზე ზოლად წარმოიქმნება ლაქა წანაცხების სახით. რომეო კუჭუხიძის საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, პრეზიდენტს გარდაცვალების დროს რომელი ტანსაცმელიც ეცვა, ნახა გარეცხილი, ქალაქ ბათუმში შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძესთან. აღნიშნული მოქმედებით განადგურდა სისხლის კვლები.

4. სხეულის დაზიანების მომენტში დაზარებულის ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნაზე ▶

შეიძლება მიუთითებდეს ტანსაცმელზე ვერტიკალური ჩამონაღვენთებისა და ფეხსაცმელზე წვეთისებური ლაქების არსებობა. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტს ფეხსაცმელი არ ეცვა, თუ ვერ ჩააცვეს (იხ. 1994 წლის 17 თებერვლის დათვალიერების ოქმი).

5. სისხლის გუბის არსებობა მიანიშნებს დიდ სისხლდენაზე. იგი წარმოიშობა მსხვილი სისხლძარღვების დაზიანების, ან შედარებით წვრილი სისხლძარღვებიდან ხანგრძლივი სისხლდენით. სისხლის გუბის ფორმა და ზომა დამოკიდებულია არა მარტო დაღვრილი სისხლის რაოდენობაზე, არამედ იმ საგნის თვისებაზე რაზედაც იგი მოხვდა. ერთ-ერთი თვითმხილველი ზაზა ბურჯანაძე, რომელიც შემთხვევის ადგილზე მიყვანილი იქნა მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე საათის შემდეგ, პროკურატურისადმი მიცემულ ჩვენებაში განმარტავს, რომ პრეზიდენტის საწოლთან იდგა „ტაშტი“, რომელზედაც წვეთავდა გარდაცვლილი პრეზიდენტის თავის არედან მომდინარე სისხლი.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჯონსონ კვარაცხელიას პროკურატურისთვის 1999 წლის 12 თებერვალს მიცემული ჩვენებით, ასევე რობინზონ მარგველანის პროკურატურისთვის 1997 წლის 22–27 თებერვალს მიცემული ჩვენებით, გარდაცვლილი პრეზიდენტის ორივე ლეიბი, ხიბულიდან ჯიხაშკარში გადასვენების შემდეგ, დიზელის დასხმით დაიწვა და განადგურდა ჯონსონ კვარაცხელიას ეზოში. მოწმეთა არც ერთ ჩვენებაში მითითებული არ არის თუ სად გაქრა პრეზიდენტის საბანი, ხოლო რაც შეეხება პრეზიდენტის ბალიშს, იგი ვითომ რელიკვიის სახით, ინახებოდა ძველ ხიბულაში, ღურწკაიას ოჯახში.

ოჯახის დიასახლისის ლუდმილა აბშილავა–ღურწკაიას 1999 წლის 5 თებერვალს პროკურატურისათვის მიცემული ჩვენებით, წლების განმავლობაში მან პრეზიდენტის ბალიში დაშალა, გარეცხა და შეუცვალა პირი. ამის შემდეგ, აღნიშნული განახლებული ბალიში 2004 წლის საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ამოიღო და საქმეში ინახება, როგორც ნივთმტკიცება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაც შეეხება პრეზიდენტის ტანსაცმელს, პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრის ბადრი გოგელაშვილის ინფორმაციით, მან ის მიიღო პრეზიდენტის დაცვის უფროსის რობინზონ მარგველანისგან. პრეზიდენტის სამოსთან დაკავშირებით, მან პირად საუბარში, ბადრი გოგელაშვილს განუცხადა, რომ პრეზიდენტის ტანსაცმელი ჩაუტანა ქალაქ ბათუმში ქალბატონ ლამარა კერვალიშვილს. იყო თუ არა აღნიშნულ ტანსაცმელზე სისხლის ლაქები მისთვის უცნობია. შემდეგ მან შეიტყო ისევ რობინზონ მარგველანისგან, რომ ეს ტანსაცმელი მან ჩაიტანა უკვე თბილისში პრეზიდენტის ოჯახისთვის გადაცემის მიზნით. შემდეგ რობინზონ მარგველანის თხოვნით, ბადრი გოგელაშვილმა პირადად დაურეკა პრეზიდენტის ვაჟს, ბატონ ცოტნე გამსახურდიას და მოახსენა, რომ მისთვის რობინზონ მარგველანს სურდა პრეზიდენტის ტანსაცმლის გადაცემა, რაზედაც მან თანხმობა განაცხადა, მაგრამ ცოტნე გამსახურდია მოულოდნელად რუსეთში გაემგზავრა და მისთვის ტანსაცმლის გადაცემა ვერ მოხერხდა. აღნიშნულ ტანსაცმელს, თუ რა ბედი ეწია შემდგომში ბადრი გოგელაშვილისთვის უცნობია.

ლამარა კერვალიშვილის 2011 წლის 17 იანვარს საპარლამენტო გამოკითხვისას პრეზიდენტის კუთვნილი ტანსაცმლიდან მისი ყურადღება მიიქცია მოყავისფრო ზოლებიანმა ნაქსოვმა ჯემპრმა, რომელზედაც აღინიშნებოდა დიდი ზომის სისხლის ლაქა კისრის არეში და მცირე ზომის სისხლის ლაქა მარცხენა სახელოზე. ასევე ნაცრისფერ შარვალზე, უკან, სათავესთან აღინიშნებოდა მცირე ზომის სისხლის ლაქა. რობინზონ მარგველანი საპარლამენტო გამოკითხვაში ახსენებს ჯემპრს, რომელიც პრეზიდენტს გარდაცვალების მომენტში ეცვა. თუკი დავუშვებთ, რომ ეს მართლაც ასე იყო, გაუგებარია, ორი სისხლმდენი, ჭრილობაში შემავალი და ჭრილობიდან გამომავალი როგორ შეიძლება მეტი მოცულობის სისხლის კვალს არ ტოვებდეს პრეზიდენტის სამოსზე, ვიდრე ზემოაღნიშნულ გამოკითხვაშია მითითებული. ლამარა კერვალიშვილის შეკითხვაზე, თუ სად წავიდა ის ტანსაცმელი, რომელშიც, მთავარი მოწმეების თქმით, პრეზიდენტმა თავი მოიკლა, მარგველანმა განაცხადა, რომ ეს ტანსაცმელი მათ პრეზიდენტს სასვენებელში ჩაატანეს. აღნიშნულ ჯემპრსა და შარვალზე რობინზონ მარგველანს ლამარა კერვალიშვილთან საუბრისას არაფერი უთქვამს.

12. ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრების დაკავება პრეზიდენტის სამშობლოში დაბრუნებამდე

ნაწყვეტი გოჩა კეკენაძის 2004 წლის 14 მარტს პროკურატურის დაკითხვიდან: „1992 წლის მარტის თვეში, ქალაქ თბილისში, გოგებაშვილის ქუჩაზე, კომენდანტის საათის დარღვევის გამო დამაკავა მთაწმინდის მილიციის ქვეგანყოფილების თანამშრომელმა, რომლის გვარიც არ მახსოვს. მთაწმინდის მილიციაში დავყავი სამი დღე. იქ მე მნახა ჩემმა ნაცნობმა მილიციის თანამშრომელმა გოგი ქებურიამ, რომელსაც ჩემი დახმარება უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო. ამის შემდეგ გადამიყვანეს ქალაქ თბილისის მთავარ სამმართველოში, სადაც თვრამეტი დღე დავყავი. როგორც მახსოვს გამანთავისუფლეს თვრამეტ აპრილს. სამმართველოში ყოფნის დროს ორჯერ მომინახულა სამმართველოს უფროსმა გია გულუამ, რომელიც ადრე ჩვენთან მსახურობდა დაცვის ასეულში და კარგად მიცნობდა. შემდგომ როგორც გავიგე, ჩემი უფრო ადრე გათავისუფლება გადაუწყვეტიათ, მაგრამ გია გულუას უთქვამს: იჯდეს, რა ეჩქარება, დალპეს მანდო.“ ნაწყვეტი შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის 2004 წლის 21 აპრილის პროკურატურის დაკითხვიდან:

„1992 წლის იანვრის თვეში, დილის შვიდ საათზე, ქუთაისში, სახლში მომაკითხეს ომონის წარმომადგენლებმა და დამაკავეს. ბრალი წამიყენეს კომენდანტის საათის დარღვევისათვის. ამის შემდეგ ვერტმფრენით გადმომიყვანეს ქალაქ თბილისში. აღნიშნული ბრალდებით დაკავებული ვიყავი 20–ი–25 დღე ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში. ამის შემდეგ გამათავისუფლეს.“

ზაზა ბურჯანაძე თუმცა დაკავებული არ ყოფილა. იგი თბილისში რჩება პრეზიდენტის მიერ მთავრობის სასახლის დატოვების შემდეგ. ნაწყვეტი ზაზა ბურჯანაძის 2004 წლის 12 მარტს პროკურატურის დაკითხვიდან:

„1992 წლის ექვს იანვარს, პრეზიდენტმა თავის თანმხლებ პირებთან ერთად დატოვა სამთავრობო რეზიდენცია. ჩემს განკარგულებაში მყოფი ავტომანქანა „გაზ–24“ ვერ დავქოქე. იძულებული გავხდი ჩემი განყოფილების ბიჭებთან ერთად ფეხით გავყოლოდი კოლონას. ლესელიძის ქუჩაზე ჩავედით, სადაც უკვე სროლები მიმდინარეობდა. იყვნენ დაჭრილები. პრეზიდენტის ესკორტი გადავიდა მეტეხის ხიდზე. მე და სხვა ჩემთან ერთად დარჩენილი დაცვის ბიჭები მივედით ერთ–ერთი თანამშრომლის ოჯახში, სადაც ღამე გავათენეთ. დილით ქუჩაში ცალ–ცალკე გამოვედით და სახლებში წავედით. დაახლოებით ხუთი დღე ქუჩაში არ გამოვსულვარ. ამის შემდეგ წავედი ზესტაფონში.“

ნაწყვეტი რობინზონ მარგველანის 2010 წლის 16 სექტემბერს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვიდან:

„1992 წლის 9 მარტს, გალში, პიკეტირების დროს, გამაჩერეს და დამაპატიმრეს. დაპატიმრების მიზეზად ჩემთან მყოფი ერთ–ერთი გვარდიელის ყოფნა დამისახელეს, რომელიც ვითომ ინფორმაციის მოსაწოდებლად იყო შემოსული. გადამიყვანეს ეშერაში, გვარდიის შტაბში. აფხაზეთის შსს მინისტრის გივი ლომინაძის ბრძანებით მომათავსეს სოხუმის იზოლატორში. გივი ლომინაძე, ჩემს დაკავებამდე, შემხვდა ქალაქ გალში. მებრძოლებს ანძა გაეთიშათ, საიდანაც მთელი აფხაზეთი იღებდა ტელემაუწყებლობას. ჩვენ შევთანხმდით, რომ ანძას ჩავრთავდით, სანაცვლოდ კი, აფხაზეთის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების გარანტიას ვიღებდით. სოხუმის იზოლატორში შემხვდა ლომინაძის მოადგილე არშბა, რომელმაც განმიცხადა: „მოემზადე თბილისში გადასაყვანად, რადგან თქვენი თავი ბატონმა ედუარდმა მოითხოვაო. ყოველივე ამის შემდეგ ჩემთან მოვიდა გივი ლომინაძე და გამათავისუფლა. ავტომანქანაც დამიბრუნა და სამეგრელოშიც გამომაცილა.“

როგორც საქმიდან ჩანს, პრეზიდენტის პირადი დაცვის პრაქტიკულად ყველა წევრი დაკავებული იქნა ერთი და იმავე ბრალდებით –კომენდანტის საათის დარღვევისთვის. ყველა მათგანს, გარდა რობინზონ მარგველანისა, იზოლატორში შეხვდა გენერალი გია გულუა, შემდგომში შინაგან საქმეთა ჯგუფის კოორდინატორი, რომელიც სდევნიდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას. რობინზონ მარგველანს კი სოხუმის იზოლატორში პირადად შეხვდა აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი გივი ლომინაძე. წინასწარ რა ინტერესები და გეგმები ჰქონდა გენერალიტეტს, ეს ცალკე საკითხია, რომელიც სხვა დონეზე გამოძიებას მოითხოვს.

რუსეთის ფედერაციის გერბი

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო
ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქი

მე-16 სასამართლო-სამედიცინო და კრიმინალისტიკური ექსპერტიზების სახელმწიფო ცენტრი

344010, ქალაქი დონის როსტოვი, ლერმონტოვის ქ.60, ტელ./ფაქსი 240–42–58

2007 წლის 7 მარტი – 2007 წლის 26 მარტი ქალაქი დონის როსტოვი

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნა №146
(მოლეკულარულ-გენეტიკური ექსპერტიზა)

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პროკურატურის დანაშაულთა გამოძიების სამმართველოს ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა გამოძიების განყოფილების უფროსი გამომძიებლის, მეორე კლასის იურისტის ა.ბ. კუჩეროვის 05.03.07 წ. სასამართლო მოლეკულარულ-გენეტიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილების საფუძველზე, რომელიც მიღებულია 07.03.07 წ., ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, განყოფილების გამგე (სასამართლო სამედიცინო-კრიმინალისტიკური იდენტეფიკაციის, მოლეკულარულ-გენეტიკური), მე-16 სასამართლო-სამედიცინო და კრიმინალისტიკური ექსპერტიზების სახელმწიფო ცენტრის ექიმი – სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი იგორ ვალერის ძე კორნიენკომ, რომელსაც მინიჭებული აქვს უმაღლესი საკვალიფიკაციო კატეგორია სასამართლო მედიცინაში და აქვს სპეციალობით მუშაობის სტაჟი 1998 წლიდან, აწარმოა ნივთიერი მტკიცებულებების სასამართლო-სამედიცინო, მოლეკულარულ-გენეტიკური გამოკვლევა ჩატარებული გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების მასალების მიხედვით.

ექსპერტს განემარტა უფლებები და მოვალეობები, რომლებიც გათვალისწინებულია რფ სსკ 57-ე მუხლით, აგრეთვე ექსპერტი გაფრთხილებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ რფ სსკ 307 მუხლის შესაბამისად წინასწარი შეცნებით ყალბი დასკვნის გაცემისათვის.

ექსპერტი *(ბეჭედი)* **ი.ვ.კორნიენკო**
(ხელმოწერა)

ექსპერტიზის ჩატარების დროს გადასაწყვეტი საკითხები და დასკვნის სხვა ნაწილები მოცემულია დასკვნის 10 ფურცელზე და დანართების 6 ფურცელზე.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია:

1. *2007 წლის 5 მარტის დადგენილება სასამართლო მოლეკულარულ-გენეტიკური* ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ ორ ფურცელზე.

2. *ძვლოვანი* ნაშთები *(მარჯვენა ბარძაყის და მარჯვენა მხარის ძვლების ფრაგმენტები) და მეოთხე ქვედა მარჯვენა კბილი, რომლებიც სავარაუდოდ ეკუთვნის საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს* ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას.

3. ცოტნე ზვიადის ძე გამსახურდიას სისხლის ნიმუშები.

ექსპერტის წინაშე გადასაწყვეტად დაყენებულია საკითხი:

– შესაძლებელია თუ არა, რომ ადამიანი, რომლის გაჩონჩხებული გვამი *წარმოდგენილია გამოსა*კვლევად, იყოს ცოტნე ზვიადის ძე გამსახურდიას ბიოლოგიური მამა, და თუ ასეა, მაშინ რამდენად არის ეს შესაძლებელი?

საქმის გარემოებები

„02.03.07 წ. ჩეჩნეთის რესპუბლიკის პროკურატურას თხოვნით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქემ ცოტნე ზვიადის ძე გამსახურდიამ მისი მამის – საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას დასაფლავების ადგილის დადგენასა და მისი ნეშთის გადმოსვენების პროცედურაში სამართლებრივი ხელშეწყობის თაობაზე.

03.03.07 წ. სამძებრო სამუშაოების შედეგად ცოტნე ზვიადის ძე გამსახურდიას მიერ მითითებულ ადგილას აღმოჩენილია საფლავი ადამიანის ძვლოვანი ნაშთებით, რომლებიც, ცოტნე ზვიადის ძე გამსახურდიას აზრით, ეკუთვნის მის მამას.

აღმოჩენილი ძვლოვანი ნაშთები დათვალიერებულია და ამოღებულია დასაფლავების ადგილიდან. ამასთანავე, შეუძლებელია გაჩონჩხებული ძვლოვანი ნაშთების მიხედვით გვამის ამოცნობა.

05.03.07 წ. ცოტნე ზვიადის ძე გამსახურდიასგან აღებულია სისხლის ნიმუშები აღმოჩენილი გაჩონჩხებული ნაშთების სასამართლო მოლეკულარულ-გენეტიკური ექსპერტიზის წარმოების მიზნით.“

ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილია შემდეგი:

– ამოუცნობი ნაშთების Y-ქრომოსომის პროფილები *(მარჯვენა ბარძაყის ძვლის ფრაგმენტი)* გარკვეული ნიშნების მიხედვით ემთხვევა ც.ზ. გამსახურდიას Y-ქრომოსომის პროფილებს, რაც საფუძველია დასკვნისთვის, რომ მათ შორის არსებობს სისხლით ნათესაობა მამის ხაზით.

 პოლემიკა

აბა სხვას რას უნდა ვეღოდოთ ვეღოდისაგან?

(პასუხად ფსევდოოპონენტებს აფხაზეთიდან)

„აურაცხელი სანაგვეზე ჰყრია სინდისი:
გადის ცხოვრება
კაცის კაცთან
სკამზე ჭიდილში.“
მუხრან მაჭავარიანი

რაც დრო გადის, უფრო და უფრო აქტუალური ხდება თანამდებობისთვის მებრძოლ პოლიტიკოსთა, მასმედიის მსახურ ჟურნალისტთა თუ საკუთარი თავის წარმოჩენა–განდიდებით შეპყრობილ პირთა მხრიდან აფხაზეთის თემით სპეკულირება. ამ მხრივ, არც გაზეთი „რეზონანსი“ აღმოჩნდა გამონაკლისი, რომელშიც (12.07.2010) გამოქვეყნდა ზაირა მიქატაძის ინტერვიუ უზენაეს საბჭოს დეპუტატ ველოდი მირცხულავასთან. სამწუხაროდ, პუბლიკაცია იწყება ჟურნალისტის აშკარად ტენდენციური მინაწერით:

„წარსული, რომელიც ძალიან ბევრ კითხვას ჰბადებს და პასუხიც, ძირითადად არაობიექტურია, ჩვენს ქვეყანას ბოლო 20-მა წელიწადმა შესძინა. არიან თვითმხილველები, მოვლენების უშუალო მონაწილეები, რომლებმაც ბევრი რამ იციან, მაგრამ მათ აზრს არავინ ეკითხება. ეს ხდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მეორე მხარის წარმომადგენლები ისევ გავლენიან ადგილებზე არიან მოკალათებულნი, ან სხვა ანგარიშგასაწევი მდგომარეობა უკავიათ“. აი ამ მინაწერის გამო ჩავთვალე საჭიროდ გამოვხმაურებოდი ამ პუბლიკაციას, რადგანაც ველოდი მირცხულავასთან პოლემიკას ან კამათს აზრი ნამდვილად არა აქვს, ვინაიდან ვერც ნათქვამსა და ვერც წაკითხულს იგი ვერ გებულობს. აღარაფერს ვამბობ აზრის გადმოცემის უნარზე. როგორც ჩანს ჟურნალისტსაც იმიტომ გასჭირვებია რესპოდენტის მიერ მოწოდებული, ერთმანეთის გამომრიცხავი, შეუსაბამობებითა და სიცრუით სავსე უაზრობების რედაქტირება, რაც აშკარად ჩანს პუბლიკაციაში. უნებლიეთ ჩნდება კითხვა: რამ განაპირობა საზოგადოების დეზინფორმირების ასეთი აუცილებლობა და ამისთვის ყველაზე „ღრმადმოაზროვნე“ ველოდის გამოყენება? როგორც ჩანს სხვა ყველაფერზე ხელის მომწერი ვერ იპოვეს „უპარტიო“ პარტიულებმა(!). შედეგად მივიღეთ ველოდისა და თანამდებობებისთვის ყველაფრის მკადრებელ „მოაზროვნეთა“ ნაზავი – აბდა-უბდა. რესპოდენტის „არჩევის“ გამართლების მიზნით, კორესპონდენტი წინასწარ იზღვევს თავს და გვაცნობს, რომ ველოდი თურმე: **„აფხაზეთში განვითარებული მოვლენების ეპიცენტრში ტრიალებდა“.** სად და რატომ „ტრიალებდა“ კარგად ჩანს კითხვა–პასუხში:

„მთელი კვირა“: თვითონ აფხაზი ხალხის დამოკიდებულება როგორი იყო?“ (მხედველობაშია ეროვნული მოძრაობა აფხაზეთში)

ვ. მ: „დიდი ნაწილი ეროვნული მოძრაობის მხარეს იდგა, როცა გავიმარჯვეთ და ეროვნული გვარდია ჩამოვაყალიბეთ, აფხაზებს შვილები მოჰყავდათ და ასობით აფხაზი ეროვნულ გვარდიაში ერიცხებოდა. ოჩამჩირეში ასეთი შემთხვევაც იყო, როცა რამდენიმე ასეულმა აფხაზმა პასპორტში „ეროვნებით ქართველი“ ჩაიწერა.

მიამიტ მკითხველს და იმათ, ვინც არ იცის ვ. მირცხულავას ხასიათი, განვუმარტავ, რომ აქ ველოდი ჩვენ კი არ გვატყუებს, არამედ ამას ოკუპანტთა და სეპარატისტთა შესაშინებლად და გულის გასახეთქად ამბობს. ჩვენც დავიჯეროთ(?!).

„აი ეს არის ყველაზე საინტერესო ამბავი (განაგრძობს ველოდი). **აფხაზეთში იყვნენ ისეთი აფხაზები, რომლებსაც გვერდით დაიყენებდი. მაგალითად, ლორიკ მარშანია“... „ასეთი იყო რაულ ეშბაც, ულამაზესი აფხაზი ახალგაზრდა და კარგი მექართულე. ასევე, ბორის ადლეიბა, საოლქო კომიტეტის ყოფილი მდივანი. მე უნდა ჩამომეყვანა იგი ზვიადთან. ჩამოვიყვანეთ და ზვიადს შევახვედრეთ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მელია. ათ ენას ფლობდა. იგი ქართველი იყო, მაგრამ ამ შეხვედრის ორგანიზატორი გახლდათ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე გუბაზი“... „ მე რომ გვარები დაგისახელეთ, ისინი რომ ჩაგვესვა არჩევნებში და დეპუტატები გამხდარიყვნენ, როგორ ფიქრობთ არძინბას რამეს გააკეთებინებდნენ? ის, რაც ახლა ხდება, არაფერი არ მოხდებოდა“.**

აი, ეს **„ყველაზე საინტერესო ამბავი“** ისე დაიწყო და ისე დასრულდა, რომ ველოდი მირცხულავას, არც კი გაუგია, რომ ბატონ ლორიკ მარშანიას ნდობით აღჭურვილი პირი მე გახლდით. არც იმისთვის მოუკრავს ყური, რომ მაშინ, თბილისიდან უზენაესი საბჭოს დეპუტატი თეიმურაზ გვანცელაძეც ჩამოვიდა დასახმარებლად, იგი ბრწყინვალედ ფლობს აფხაზურ ენას და აფხაზ ამომრჩევლებთან საუბრისას მეტად ხელსაყრელ ვითარებას უქმნიდა ლ. მარშანიას. რის შედეგადაც, მან მეტი ხმები დააგროვა არჩევნებში, მაგრამ პროკურატურამაც და სასამართლომაც, სეპარატისტთა ზეწოლის შედეგად გამარჯვებულად მისი მოწინააღმდეგე ცნო. რაც შეეხება რაულ ეშბას, მან არ ისურვა ეყარა კენჭი, იგი დარწმუნებული იყო იმაში, რომ სეპარატისტები მას დეპუტატობას არ აღირსებდნენ...

დღეს, 20 წლის შემდეგაც ვეღარ წარმოუდგენია ველოდის ის, რომ აფხაზეთში არჩევნები **კვოტური წარმომადგენლობითი ფორმულით** ტარდებოდა და აფხაზურ საარჩევნო ოლქში ქართველი კენჭს ვერ იყრიდა, ისევე, როგორც ქართულ ოლქში – აფხაზი. მხოლოდ ოჩამჩირეში სადაც რეგისტრაცია მოახერხა მისივე ძალისხმევით ლ. მარშანიამ, იქ ხმებისთვის ბრძოლასაც ჰქონდა აზრი, რადგანაც იმ ოლქში მოსახლე ქართველთა რაოდენობა უმნიშვნელოდ ჩამორჩებოდა აფხაზებსა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს (სამწუხაროდ, ასეთი ფუფუნება სხვა ოლქებში არ გაგვაჩნდა).

„ მოვლენების ეპიცენტრში მოტრიალე“ დეპუტატს ეს მაინც უნდა სცოდნოდა. იმ დროს ქვეყნის ბედით დაინტერესებული, დიდი თუ პატარა, აფხაზეთში ჩასატარებელი არჩევნების ავ-კარგზე ლაპარაკობდა. საინტერესოა, მაშინ მაინც სად „ტრიალებდა“ ველოდი, ყურიც რომ ვერ მოუკრავს იმისთვის, თუ რა ხდებოდა „ეპიცენტრში“? ან რა ძალისხმევით გახდა შესაძლებელი ქართველთა მხარდამჭერ ე. ასტემიროვას და ო. ნაგარნინას გამარჯვება?

თავბრუდახვევია „ეპიცენტრში ტრიალისგან“ თორემ, ბორის ადლეიბა – ღირსებით სავსე ადამიანი, აფხაზეთის ყოფილი საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, იმ დროს სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თურმე ვ. მირცხულავას ხელით სატარებელი ყოფილა. რისთვის უნდა ჩაეყვანა ველოდის იგი ზვიადთან, ამას არ გვიმხელს (ზ. გამსახურდია და ბ. ადლეიბა ველოდის „პოლიტიკურ ასპარეზზე“ გამოჩენამდეც და მას მერეც, კარგად იცნობდნენ ერთმანეთს). მათი შეხვედრა საჭირო რომ გამხდარიყო, მერწმუნეთ, ეს არც საქართველოს პრეზიდენტს და არც ბ. ადლეიბას გაუჭირდებოდათ. რაც შეეხება საქმიან ურთიერთობებს ბ. ადლეიბასთან, ეს ნამდვილად არსებობდა და ვლადისლავ არძინბას პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოცილებას ისახავდა მიზნად (იდეა ბ. ადლეიბას ეკუთვნოდა. ვრცლად ამის შესახებ იხ. „7days“12.03.10 ; „საქართველოს რესპუბლიკა“ 21.05.10.).

რაც შეეხება სოხუმის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს გულივერ მელიას, მასთან ხშირი ურთიერთობა გვქონდა. უმთავრესად ეს შეხვედრები მიტინგებისა და აქციების ჩატარებას უკავშირდებოდა, იგი მისი კომპეტენციის ფარგლებში ცდილობდა ჩვენთვის ხელის შეწყობას, ამიტომ რამდენჯერმე ვყოფილვართ მასთან მიღებაზე მერაბ კოსტავა, ვოვა ვეკუა და მე (იმ დროს ველოდის, მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით, მხოლოდ **„მიდრეკილება ჰქონდა ეროვნული მოძრაობისკენ“**, ის ცემენტის საკუჭნაოში ფაციფუცობდა და ეროვნული მოძრაობისთვის არ ეცალა). იგი არც ზ. გამსახურდიას და გ. მელიას შეხვედრას დასწრებია, მხოლოდ ყური მოუკრავს შემდგარი ფაქტისთვის და უმალ გულივერის საკოცნელად გამზადებულა. **„როცა გამოვიდა მელია, გადაგვკოცნა, ეს რა ღმერთივით კაცს შემახვედრეთო. ზვიადმაც იგივე გვითხრა, რა კაცი მომიყვანეთო“.** აი ასე დაწყებულა და დამთავრებულა პრეზიდენტისა და გ. მელიას შეხვედრა, რომლის ორგანიზატორი ნამდვილად არ ყოფილა „აიდგილარასა“ და არძინბას გუნდის წევრი ჯ. გუბაზი (ეს ის გუბაზია, რომელსაც, მის კაბინეტში მერაბ კოსტავამ (ჩემი და ვოვა ვეკუას თანდასწრებით) განუცხადა: **„მიუხედავად თქვენი წინააღმდეგობისა ჩვენ მაინც ვიპოვნით გზას აფხაზთა გულებისკენ“-ო.** (ვინც ოდნავ მაინც იცნობდა ზ. გამსახურდიას, დამეთანხმება, რომ მას არ ახასიათებდა ასეთი გულამაჩუყებელი გამოთქმები, რასაც ველოდი გვაბოლებს). სინამდვილეში ზ. გამსახურდიას და გ. მელიას შეხვედრა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებული პრობლემებით იყო გამოწვეული, რადგანაც არჩევნების ჩატარების საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა თუ ოლქების საზღვრების დადგენა ადგილობრივ საბჭოებს ევალებოდა. ეს და არჩევნებთან დაკავშირებული მრავალი სხვა საკითხი იქნა განხილული იმ შეხვედრაზე. შეხვედრა არ გახმაურებულა, რათა, ხელი არ შეწყობოდა არჩევნების ჩატარების ვადების გაჭიმვას, ანუ **საბჭოთა აფხაზეთის გახანგრძლივებას** (აფხაზეთის საქართველოსთან ერთიან პოლიტიკურ სივრცეში მოსაქცევად მხოლოდ ვადაგასული საბჭოთა უმაღლესი საბჭოს გადარჩევით იყო შესაძლებელი). აფხაზური მხარე ჩვენი ინტერესების საწინააღმდეგოდ, საბჭოთა სინამდვილეს სიამოვნებით ეგუებოდა. სხვათაშორის, ჯონ გუბაზის ჩათვლით (თანამდებობები ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დანაწილებული, ხოლო არჩევნების სავარაუდო შედეგები ძალაუფლების მქონე მოხელეებს მათთვის სასიხარულო იმედს არ უტოვებდა).

ამ ტყუილების კორიანტელში გახვეულმა და საკუთარი თავის ყოვლად უსაფუძვლო განდიდებაწარმოჩინებით გალაღებულ-გაჯეჯილებულმა ველოდიმ, არც აცია, არც აცხელა და ტყუილის, ჯერ არნახული „შედეგრი“ გადმოაფრქვია: **„თბილისში ერთ-ერთი სესიის დროს მოდის ჩემი კოლეგა ნუგზარ მგალობლიშვილი და მთხოვს, აფხაზეთის დეპუტატები (11 კაცი ვიყავით) მომიგროვე, ზვიადისგან მაქვს დავალება, მათ რაღაც უნდა ვუთხრაო. იმ წუთასვე მოვუგროვე და, აი, რას ეუბნება მათ: აქ ვინც ხართ დეპუტატები აფხაზეთიდან, აფხაზეთის არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოთ, ეს ზვიადის აზრიაო. მე ეს ძალიან გამიხარდა, რადგანაც მთხოვდნენ გულრიფშიდან, შენი ხასიათის კაცი აქ დეპუტატი უნდა იყოსო“.**

როგორც ვხედავთ, ველოდის ასე ძალიან ის უხაროდა, თუ უზენაესი საბჭოს დეპუტატები, აფხაზეთში უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მას ხასიათიც ზედმიწევნით სადეპუტატო ჰქონია(?). იმ დროს ასეთი ხასიათის ადამიანები დიდი იშვიათობა ყოფილა და ლამის სანთლით საძებარი...

„თბილისში ერთ-ერთი სესიის დროს“-ო, (თვითონ აზუსტებს) თორემ ჩემისთანა უგუნური ხომ იფიქრებდა, რომ სესია სადმე უდაბნოში ტარდებოდა. პრეზიდიუმიც ისე იყო დაშორებული სილაში ყელამდე ჩაფლული დეპუტატებისგან, რომ ხმასაც ვერ მიაწვდენდი იმის საკითხავად, თუ რატომ გვიყრიან წყალში ამდენი ბრძოლით და ჯაფით მიღწეულ არჩევნებს? ან რისთვის უყარეთ კენჭი საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 27 თებერვლის დადგენილებას „აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ,“ თუ ამ ▶

არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისთვის, ან მასში მონაწილეობისთვის არ ვიბრძოლებდით? გონიერი კი მიხვდება, რომ ვ. მირცხულავა ურცხვად და უსინდისოდ ატყუებს საზოგადოებას, ამასხარავებს როგორც საქართველოს, ისე აფხაზეთის უზენაესი საბჭოს წევრებს. აღარაფერს ვამბობ საქართველოს პირველ პრეზიდენტზე და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი „ნიჭიერებით“ განაგრძობს: **„მე უარი ვუთხარი და გამიბრაზდნენ ამის გამო. თურმე სწორი ყოფილან, რას გავაკეთებდი განსაკუთრებულს, რა, სხვაზე უკეთესი კი არ ვიყავი, მაგრამ იმათ მაინც არ შევატოვებდი ყველაფერს. გახსოვთ, ალბათ, ქართულმა დეპუტაციამ შეატოვა არძინბას ძალაუფლება ჯერ კიდევ ომამდე და თბილისში გამოიქცა“.**

არა, არ გვახსოვს, არც სხვას არ ახსოვს, ასეთი რამ არ მომხდარა და... ისევ გვატყუებს ველოდი, მხოლოდ „მთელი კვირა“-ს კორესპონდენტს დაუჯერებია ესეც და ზემოთ მოყვანილი ტყუილები, ალბათ ამ ციტატაში ველოდის მოჩვენებითი „თავმდაბლობით“ მოხიბლულა („ რას გავაკეთებდი განსაკუთრებულს“-ო „სხვაზე უკეთესი კი არ ვიყავი“-ო). ამით ფრთებშესხმულს და „თავმდაბლობით“ გამორჩეულს თავბრუდამხვევი მოლანდებებიც დაწყებია. ყველა „სიკეთესთან“ ერთად არძინბასთვის ძალაუფლების წართმევაც კი შესაძლებლად მოეჩვენა თურმე. ნამდვილად უნდა მიგვეშვა (თუმცა არავინ აკავებდა) მისი „ხასიათიდან“ გამომდინარე - ვინ იცის, იქნებ რუსეთისთვის სოჭი და ნიკოფსიაც არ შეეტოვებინა.

... ვერ ვაამეთ, ვერ მოვიგეთ ველოდის გული და უკვე გვიანია იდაყვზე კბენა, მაგრამ ვერც თვითონ გაგვაგებინა რა უნდა? რა უფრო უხარია ასე ძალიან, ის, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღება არ სურდა, თუ ის, რომ დეპუტატობას „სთავაზობდნენ“? სჯობს ისევ მას მოუსმინოთ:

...“არძინბა იწყებდა ისეთი კანონების მიღებას, რომ საქართველოს იგნორირებას უკეთებდა. მაგრამ ამას მიტოვება კი არ უნდოდა, არამედ იმ აფხაზების ჩასმა, რომელთა შესახებაც ზემოთ მოგახსენე, და მერე იქ ბრძოლა. ეს გაუთვალისწინებია კეკელიას, რომელიც დეპუტატობას მთავაზობდა, მე კი გამიხარდა, პრეზიდენტიც ჩემსავით ფიქრობს თურმე და მე აფხაზეთში საჭირო არ ვყოფილვარ-მეთქი. მეგონა, რომ ეს აზრი მართლა ზვიადისგან მოდიოდა. დანარჩენმა დეპუტატებმაც უარი თქვეს და ისინიც თავის ნებაზე მივუშვით.

მეორე დღეს უკვე არჩევნებია, გულრიფშში ვარ, არჩევნებისთვის ვემზადებით, ჩემი ახლობელი იყო ერთი, ინჟინერი კაცი, შემომთავაზა, სადმე წავიხემსოთ, თან ვილაპარაკოთო. დავსხედით და ასეთი რამ მითხრა – შენ როგორც გინდოდა, გულრიფშში დეპუტატობის კანდიდატად მგალობლიშვილი ჩავსვითო. ჭიქა ხელიდან გამივარდა. არც არაფერი მიჭამია, ავდექი და გამოვედი. აი ის მგალობლიშვილი, რომელიც ლაპარაკობდა, არ უნდა ჩავჯდეთ ოლქებშიო, თვითონ ჩამჯდარა იმ ოლქში, სადაც ჩვენი თხოვნით საბჭოს თავმჯდომარეს შამუგიას უნდა ეყარა კენჭი, წესიერ და პატიოსან კაცს.

ამის შემდეგ მხვდება მეურნეობის დირექტორი იყო ერთი, კარგი კაცი და მეუბნება – მე ხომ არ მითხოვია დეპუტატობა, ჩემთვის ვიყავი მშვიდად, პირიქით, თქვენ მთხოვეთო. ანდა თუ ზვიადს სჭირდებოდა ჩასმა, ვერ თქვით, მომივარდნენ სახლში ყაჩაღურად, დამატერორეს და უარი ისე მათქმევინესო“.

არ მეგულება ადამიანი, რომელმაც არ იცოდა ის, რომ არძინბა და მისი გუნდი ყველანაირად ცდილობდნენ საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციების მოთხოვნებისა და რეგლამენტის უგულებელყოფით, საქართველოს იურისდიქციის შეზღუდვას აფხაზეთში. ასევე ყველამ კარგად იცის ისიც, რომ (სხდომები პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა), სეპარატისტთა ამ ქმედებებს არგუმენტირებულ, კანონიდან გამომდინარე წინააღმდეგობას უწევდნენ ქართველი (მათ შორის საქართველოს და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს) დეპუტატები, რომელთა უშუალო ჩარევითა და მონაწილეობით, ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ცხადდებოდა მათი არაკანონიერი გადაწყვეტილებები. მაგრამ დეპუტატ

მირცხულავას ინტერესების სფეროს ეს რომ არ წარმოადგენს, პუბლიკაციაც ნათლად მეტყველებს. მისი საზრუნავი მხოლოდ „ჩასმა“ დანიშვნა, ჩაყვან – ჩამოყვანა – დასმენა, კულუარებს მიღმა ძრომიალი და უაზრო ჭორების გავრცელება იყო. ეს მალე შენიშნა ზვიად გამსახურდიამ და ახლოს აღარ იკარებდა მას.

„ჩასმა“ – „ჩასმა“-ო რომ აუჩემებია – ერთი მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ გვარწმუნებს, რომ თურმე **„დანარჩენმა დეპუტატებმაც უარი თქვეს და ისინიც თავის ნებაზე მიუშვით“**- ო (თურმე ველოდის ხუშტურზე ვყოფილვართ დამოკიდებული), ე.ი. ბოიკოტი გამოგვიცხადებია აფხაზეთში არჩევნებისთვის (?!). ფეხქვეშ გაგვითელავს ზემოთხსენებული 27 თებერვლის ჩვენივე დადგენილება ჩვენც და საქართველოს პრეზიდენტსაც, ველოდის ბჟუტურს ავყოლილვართ ყველანი(?!) ასე თუ იყო რომელ „ჩასმასა“ თუ არ „ჩასმაზე’ გვედავება ეს „ღრმადმოაზროვნე“?.

როგორც ვხედავთ ინტერვიუერი ვერ ამჩნევს იმას, რომ რესპოდენტი ცუდადაც ვერ აზროვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამის კითხვას დასვამდა. ამავე დროს ველოდის „წყალობით“ „თავის ნებაზე მიშვებულმა“ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებმა უარი კი არ თქვეს, არამედ კენჭი იყარეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში: თამაზ ნადარეიშვილმა, რევაზ კემულარიამ, თეიმურაზ მჟავიამ, თეიმურაზ ლორთქიფანიძემ, ნუგზარ მგალობლიშვილმა. როგორც ვხედავთ, არანაირ სიცრუეს არ თაკილობს ვ. მირცხულავა. სიყალბე და სიცრუე გამხდარა მისი არსებობის არსი, აქედან გამომდინარე, ეს „ღრმადმოაზროვნე“ ისე გართულა და დაუჯერებია მის მიერ შეთხზული ტყუილები, რომ, არამცთუ ველარ აკონტროლებს საკუთარ თავს, არამედ საზოგადოებაც დაუნად ეჩვენება, რადგანაც სურს დააჯეროს, რომ მისმა ახლობელმა ერთმა ინჟინერმა, არჩევნების **წინა დღეს,** რომელიღაც დუქანში აცნობა, რომ **„შენ როგორც გინდოდა“** (ისე მოვიქეცითო ნ.მ.), **გულრიფშში დეპუტატობის კანდიდატად მგალობლიშვილი ჩავსვითო“-ო.** ამ ცნობას ემოციური ველოდი ისე შეუწუხებია, რომ ხელიდან თურმე ჭიქა გავარდნია, არც არაფერი უჭამია და დაზაფრული გასცლია იქაურობას. აბა, რა დაემართებოდა „**правдоруб**“-ს (?!) ასეთი რამის გაგონებაზე (საინტერესოა, ვინ ეკითხებოდა ან ერთს, ან მეორეს–ვიყრიდი თუ არა კენჭს). ალბათ დუქნიდან გამოქცეულმა „ეპიცენტრში მოტრიალემ“ პირველად მაშინ შენიშნა და მანამდე არ უნახავს სააგიტაციო ფურცლებით აჭრელებული გულრიფშის რაიონი. ამას ხომ დაუნიც არ დაუჯერებს, არც იმას, რომ არჩევნები აფხაზეთში ისე საიდუმლოდ ტარდებოდა, რომ შემთხვევით, დუქანში შეიტყო რესპოდენტმა კენჭს რომ ვიყრიდი. როგორც ხედავთ ეს უნიჭო ნოველაც თვითონ შეთხზა – კრემლის კისერში ძვალივით გაჩხერილი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს „გასაშავებლად“.

მე მხოლოდ მცირე ნაწილი მოვიყვანე მისი ტყუილებისა – აბა მთლიანად ხომ არ გადმოვწერდი ამ პუბლიცისტურ „შედევრს“, რომელიც თავიდან ბოლომდე ტყუილებითაა გაჯერებული და მთლიანად იგნორირებულია დიდი ილიას შეგონება, რომ „იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიცაა ბეჭდური სიტყვა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკიდურესობაზე უსაძაგლესია“-ო.

მიზეზი კი მარტივია. პოლიტიკას მიტმასნილი რამდენიმე პირის აკვიატებული აზრიდან გამომდინარე, აფხაზეთში დეპუტატად **არ არჩეული** პირისთვის დეპუტატის უფლებამოსილების ცნობა რომ ვერ „გააჩალიჩეს“ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში და ამით ვერ შექმნეს არაკანონიერი პრეცედენტი. მეორე ის, რომ საკუთარი თავის განდიდების სენით არიან შეპყრობილნი. ასეთ ვითარებაში არ შეიძლება უპასუხოდ დარჩეს ფსევდოოპონენტების მავნებლობა, რადგანაც რაც უფრო გვშორდება აფხაზეთი, მით უფრო გვიახლოვდება აფხაზეთიდან დევნილ, პოლიტიკოსთან ასოცირებულ „მოაზროვნეთა“ ყურით მოთრეული ბჟუტური. ისინი, ძირითადად, ისეთი პიროვნებები არიან, რომელთაც, ერთობ გასჭირვებიათ თვითიდენტიფიკაცია – ვერ გაურკვევიათ საკუთარი ვინაობა და ამ ქართველობადავიწყებულთ, ჰგონიათ, რომ თუკი საკუთარ აფხაზობაზე, ანუ ქართველობაზე უარს იტყვიან (ამბობენ კიდეც), აფსუები გულში ჩაიკრავენ რუს ნათლიებთან ერთად.

...აფხაზეთის დევნილ, ლეგიტიმურ უმაღლეს საბჭოში არსებობს ასეთთა გაუშიფრავი „ლოჟა“, მაგრამ, ცუდად იქექებიან და უკვე ყარს მათი „შემოქმედება“. მათ, ეროვნული მოძრაობის მარგინალებს თუ ჰგონიათ, რომ მათთან საგნობრივ პოლემიკაში შევალ, მათსავით უადგილობასა და უსაგნობას ვაღიარებ იმ ღვთიურ მოძრაობაში, რასაც ნორმალურები ვერაფრით გამიგებენ.

მტკიცე, მყარ შინაარსობრივ ერთიანობაში ზის მათი ხელწერა, ყველაფერს სისტემური ხასიათი აქვს, ერთი სისტემის ელემენტები არიან. კომფორტულია მათთვის ასე ყოფა, სხვაგვარად არ ძალუძთ. . .

„კიროვ-ორჯონიკიძის“ სკვერში ნამშობიარევი მათი ნააზრევი არაიმდენად ანექსირებულ აფხაზეთზე, არამედ–ანექსატორზე ნოსტალგიაა. რა უნდა ელაპარაკო „უპარტიოთა“ პარტიის (!) ლიდერ მამუკა გვაძაბიას, რომელიც 2009 წელს, ჯერ აფხაზეთის ლეგიტიმურ უმაღლეს საბჭოს დეპუტატად დანიშვნას (!) სთხოვდა, ხოლო 2010 წლის 1 ნოემბერს, გაზეთ „ახალ თაობაში“ ჟურნალისტ გულიკო ბალაძესთან ინტერვიუში იგივე საბჭო უკანონო ორგანოდ გამოაცხადა. ვერაფერს იტყვი, – „უპარტიო ეროვნულია“!... ის „სისტემის“ ყველაზე ცინცხალი, ახალი ელემენტია, ახალი ფერია (მხატვარი ვარ და ფერებში, როგორმე ვერკვევი).

„სისტემის“ ოდიოზურობის „ჩაუმქრალი“ ინდიკატორია ველოდი მირცხულავა, რომელმაც ბოლომდე ჩაიძრო საწმერთული („სისტემის“ თანამდევი კომპონენტი) ლეღვის ფოთლის ფუნქციაღა დაიტოვა მხოლოდ, ისეთი დიაგნოზი დაუსვა საკუთარ პერსონას, რომელიც უანალოგო ფურცლად დაიდება ქართულ ფსიქიატრიაში. აბა, სხვას რას უნდა ველოდთ, ველოდისაგან?...

ამათთან შედარებით, „სისტემის“ უმძიმესი ელემენტია ჩემი კოლეგა ნაპო მესხია, რომლის გასულ წელს დასტამბული წიგნი – „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ – სერიოზულ შესწავლას საჭიროებს, რაც სრულიად ახალი სააზროვნო მიმართულების დაფუძნებას მოითხოვს. ამ ზღუდის გადამლახავი მე არა ვარ. არც სხვა მეგულება!...

ჩემს მიერ მოხმობილი ვირტუალური „სისტემის“ ჭეშმარიტი „მენდელეევია“ სერგი საჯაია, მისი მესაჭე და წინამძღოლი (ეროვნული მოძრაობიდან მოსვლისთანავე მ. კოსტავას ფონდიდან კორუფციისთვის გაძევებული), რომლის ახლახან გამოცემულმა წიგნმა – „როდესაც ზნეობა მთვარის შუქზე საწმერთულს იცვლის“ – სწორედაც საწმერთულიდან ძვრება, რათა დაგვარწმუნოს, რომ ის თურმე ერთადერთი ყოფილა ქართული ეროვნული მოძრაობის ურემიცა და მეურმეც, გზაცა და უგზოობაც, წისქვილიცა და მეწისქვილეც, გამჩენიცა და მესაფლავეც...

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ მარგინალებთან საგნობრივი პოლემიკის გაგრძელებას აღარ ვაპირებ. გადავწყვიტე მათი დახატვა. რა ბედნიერებაა, როცა ამ გაუსაძლისი ყოფის ჟამს, აღარც ფუნჯი დამჭირდება და აღარც საღებავები.

ნუგზარ მგალობლიშვილი
საქართველოს დამხობილი უზენაესი საბჭოსა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

პეტრე დიდი და რუსული ეკლესია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №27. გვ. 17

პეტრე ეწეოდა ეკლესიის სხვაგვარ მანიპულაციას. იქამდეც რომ აიძულებდა ყოფილი საეკლესიო მმართველობის დავიწყებას. ყველა ეპისკოპოსს მიეცა ტანსაცმელი, რომლის ტარებაც ადრე მხოლოდ პატრიარქს შეეძლო. ამიერიდან მიტრები ებოძებოდათ არა მხოლოდ არქიმანდიტრებს, არამედ აგრეთვე საღმრთო სასულიეროების განსაკუთრებით დამსახურებულ პირებს. ამ სახით მან მოხერხებულად გააუქმა თვით ეკლესიის შიგნით იერარქიული სტრუქტურების ნაწილი. მან გააუქმა, აგრეთვე მუხლმოდრეკა არქიელების წინაშე, რაც ადრე წესად იყო. ამიერიდან მუხლებზე დამხობა სავალდებულო იყო მხოლოდ ერთადერთის – თვით იმპერატორის წინაშე.

ასეთი დიდი პოლიტიკური ოსტატობით დაუქვემდებარა პეტრემ ეკლესია საიმპერატორო ხელისუფლებას. მხოლოდ ისღა რჩებოდა, რომ დაერწმუნებინა დანარჩენი მართლმადიდებლური ეკლესიები იმაში, რომ სინოდი წარმოადგენდა მართლმადიდებლური ეკლესიის მმართველობის კანონიკურ ფორმას. პეტრემ მიმართა მართლმადიდებლურ ეკლესიებს. მიმართვაში, სადაც მან თავისი რეფორმა აღწერა და პატრიარქებს სთხოვს მის აღიარებას, მეფე მოქნილად მანიპულირებდა „კოლეგიალური ხელისუფლების“ და თითქმის მისი სინონიმურ ტერმინ „კონსილიუმის“ მცნებით.

მართმლმადიდებლურ ეკლესიაში ნებისმიერი აუცილებელი გადაწყვეტილება მიიღება საეკლესიო კრებით ან კონსილიუმით. პეტრე თავის გზავნილში გულისხმობდა, რომ შვედური ადმინისტრაციული პრაქტიკისაგან გადმოღებული სინოდის მიერ კოლეგიალური მმართველობა იყო პირდაპირ შესაბამისობაში კრებასთან, პატრიარქებმა თავი დაირწმუნეს ამაში და საეკლესიო მმართველობის ასეთი ფორმა (უცხოური მმართველობის უმაღლეს ხარისხში) გამოაცხადეს კანონიკურად. პატრიარქების მიერ მმართველობის ფორმის ამ უაღრესად ქარაფშუტული აღიარების მეორე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთის ეკლესიამ ამ სახით თვით გააუქმა პატრიარქობა, რომელიც მათ, არც თუ დიდი სიამოვნებით აღიარეს XVI საუკუნეში. ახლა გამოვიდა, რომ აღარ არის იგივე პატრიარქი, რომელიც არ სურდათ მათ ეღიარებინათ, რამეთუ მათთვის სასურველი იყო ეკლესიათა ძველი დანაწილება მხოლოდ და მხოლოდ ხუთ საპატრიარქოდ. ასე, რომ ეს წარმატებით აძლევდა ხელს პეტრეს და მისმა ხაზმა გაიმარჯვა ყოველი პუნქტით. თავისი მოქნილი რაელისტური პოლიტიკის წყალობით მან სრულიად გაიმარჯვა ეკლესიაზედ.

ადრე რუსული ეკლესია თავის ღვთისმსახურებაზე ლოცულობდა სხვა მართლმადიდებელ პატრიარქებზე. ახლა კი დადგინდა, რომ ასეთი ლოცვები აღევლინებოდა მხოლოდ სინოდის პრეზიდენტის მიერ, როცა ის ღვთისმსახურებას საკუთარ ეკლესიაში ამთავრებს. პეტრესა და თეოფანე პროკოპოვიჩს უნდოდათ ნებისმიერი საშუალებით შეემცირებინა დანარჩენი მართლმადიდებლური ეკლესიების გავლენა. ეს კი დღესაც, როგორც ამ ეპოქის რელიქტი, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიების ღვთისმსახურების პრაქტიკაში, იჭერს სრულიად უმნიშვნელო ადგილს.

ეკლესიაში ასეთი მდგომარეობა შემორჩა 1917 წლის რევოლუციამდის. ვერგანხორციელებულ 1905 წლის რევოლუციას არ მოუტანია რაიმე ცვლილებები, გარდა სინდისის თავისუფლების გამოცხადებისა. სინოდს შეუნარჩუნდა ყველა თავისი პრეროგატივა. აი, როგორ ჟღერს ეს 1906 წლის რუსეთის პირველ კონსტიტუციაში: „Император отправляет свою самодержавную власть по отношению к церкви через учрежденный Святейший правительствующий синод“.

ერთია რომ ამ ხნის განმავლობაში გაისმოდა სინოდიალური სისტემის წინააღმდეგ კრიტიკული ხმები. მაკრიტიკებლებს შორის იყვნენ არა მხოლოდ საეკლესიონი, არამედ საერონიც, მაგალითისთვის, ლიტერატორი და ისტორიკოსი ნიკოლაი კარამზინი, აგრეთვე ბევრი სლავიანოფილთაგანი, XIX საუკუნის შუახანების პატრიოტულად განწყობილი მოაზროვნენი.

1905 წლის რევოლუციისას გამოჩნდა პატრიარქობის აღდგენის კიდევ ერთი ვარიანტი... როდესაც ეპისკოპოსებმა ამ წინადადებით მიმართეს მეფე ნიკოლოზ II, მაშინ მან შემოიტანა საწინააღმდეგო წინადადება – პატრიარქად აერჩიათ თვით ის. ასე ეჭდობოდა ერთმანეთზე რუსეთში საერო და საეკლესიო ხელისუფლების წარმოდგენები.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როდესაც ეკლესია გამოვიდა საიმპერატორო ხელისუფლებიდან, შეიქმნა კრება, რომელმაც ტიხონი აირჩია პატრიარქად. ბედის ირონიით ეს არჩევნები 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში ლენინის მოსვლის თანადროულად ჩატარდა. მალე კი ახალმა, საბჭოთა ხელისუფლებამ მართლმადიდებლური ეკლესიის მართვა დაიწყო უფრო სასტიკი მეთოდებით ვიდრე პეტრემ. მის პროგრამაში ახალი იყო სწრაფვა არა მარტო თავის კონტროლის ქვეშ მოექცია ეკლესია, არამედ მისი ლიკვიდაციაც. ზუსტად ისევე, როგორც პეტრე, სტალინი მრავალი წლის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა, 1925 წელს ტიხონის გარდაცვალებიდან, ახალი პატრიარქის არჩევას. მხოლოდ მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირმა მეორე მსოფლიო ომის დროს გამოსცადა ეკლესიის საჭიროება, პატრიარქის არჩევნები იქნა დაშვებული. როგორც საშინელი რელიქტი პეტრე დიდის ეპოქისა, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მმართველი ორგანო დღემდის არის სინოდი.

კრიტიკა

ეკლესიის წარმომადგენლები უკიდურესად უკმაკოფილონი იყვნენ პეტრეს რეფორმებით: „но никто не смел протестовать открыто. Насколько сильна была эта скрытая оппозиция, выяснилось после смерти Петра, когда архиепископ Новгорода, Феодосии Яновский, вице-президент Синода, заявил, что Петр был тираном, и по этой причине отказался петь по нему заупокойную. Феодосия отставили и бросили в тюрьму, где он через несколько лет умер. Острее всего Петра критиковали староверы и юродивые Христа ради. Юродство было в старой Руси особой формой благочестия. Человек, избравший этот вид аскетизма, вместо того чтобы отправиться в монастырь, удалялся от мира в мнимом сумасшествии. Безобразные выходки этих юродивых предназначались для исправления окружающих. Юродивые были откровенно настроены против Петра и так же, как старообрядцы, видели в нем Антихриста

или черта. Согласно следственному протоколу, одна жснщина-ста-роверка высказывалась о своем царе следующим образом: „Старица Платонида про Его Императорское Величество говорила: Он-дс швед обменной, потому догадывайся-де, делает Богу противно, против солнца крестят и свадьбы венчают, образы пишут с шведских персон, и посту не может воздержать, и платье возлюбил шведское, и со шведами пьет и ест и из их королевства не выходит... и великий-де князь Петр Алексеевич родился от шведки с зубами, он-де антихрист“.

ხმები იმის შესახებ, რომ ტახტზე ანტიქრისტე ზის, ვრცელდებოდა მთელს ქვეყანაში, მაგრამ ფართო სახალხო წრეებში იქმნებოდა წარმოდგენა საერო ხელისუფლების სატანურ ბუნებაზე. ესე იგი შეიქმნა ანტისახე „ცარია- ბატუშკი“ – საპირისპირო სახისა მეფის, როგორც მისი ქვეშევრდომთა მამისა.

როდესაც ამ კონსერვატიულ ძალებს პეტრეს ღვიძლი შვილი დაუახლოვდა, ოპოზიცია ერთობ საშიში გახდა, რასაც მეფის რეაქციაც მოწმობს. ეკლესიას დაახლოებული წრეები სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდნენ ან კიდევ მეფის შესაძლო სიკვდილსაც. პეტრემ ბრძანა ხელი მოეკიდათ ამათთვიის, დაჭერილი შეთქმულების მონაწილენი ეწამებინათ მანამდის, სანამ ისინი ყველაფერს არ აღიარებდნენ, შემდეგ კი ჩამოეხრჩოთ. ასეთი ხვედრი ერგო მის საკუთარ შვილს ალექსეისაც, რომელიც წამებისას აღესრულა. ამგვარად, უდიდესი ენერგია, პეტრეს მიერ ეკლესიის რეფორმებში გამოვლენილი, რამოდენიმე წლის შემდეგ გახდა მიზეზი იმისა, რომ მისი შვილი გაერთიანდა შეთქმულებაში ეკლესიასთან მეფის ჩამოსაგდებად. სასამართლო გარჩევებში, რომელიც შეთქმულების გამჟღავნებას მოჰყვა, სხვა მრავალთა შორის გამოირკვა, რომ ალექსეიმ აღსარებისას განაცხადა, რომ მას მამის მოკვლა უნდოდა, მღვდელმა კი მას უთხრა, რომ ეს ყველას უნდაო.

ის კონფლიქტი, ის განხეთქილება რუსულ საზოგადოებაში, რომელიც რელიგიურ უთანხმოებებში წარმოიშვა, დროთა განმავლობაში ღრმავდებოდა მანამ, სანამ არ მიიღო წინააღმდეგობის ფორმა დასავლეთ ევროპული განვითარების მომხრეებსა და წმინდა რუსეთის ოცნების დამცველთა შორის. ჩვენს დღეებში ეს განხეთქილება წინანდებურად აქტუალურია.

პეტრე როგორც ანტიქრისტე

სახელმწიფო ეკლესიის წრეებში პეტრეს მტრები და უფრო მეტად სტაროვერობა სიამოვნებით აიგივებდნენ მას ანტიქრისტესთან. სინამდვილეში, ეკლესიის წინააღმდეგ პეტრეს გამოსვლებში არსებობდა ზოგიერთი განსაკუთრებანი, რომლებიც ამ მტკიცებულების სასარგებლოდ მეტყველებდნენ. მკვეთრი კონტრასტი იმაში მდგომარეობდა, რომ ატარებდა რა არაჩვეულებრივი მოქნილობით რეფორმებს, იმავდროულად პეტრე ძლიერ ამცირებდა ეკლესიას თავისი ლოთი საკრებულოთი. პეტრეს ეს აღმოჩენა მდგომარეობდა იმაში, რომ ის და მისი უახლოესი თანამზრახველები იცმევდნენ სხვადასხვა კონფესიის მღვდლების სამოსებს, ლოთობდნენ და თამაშობდნენ ღვთისმგმობელობით. ამ საკარნავლო პაროდიებისას ღვთისმსახურებაზე ტექსტებს წერდა თვით პეტრე. როდესაც ამ „საკრებულოში“ ახალ წევრს ღებულობდნენ, კითხვა „გწამს თუ არა ღმერთი“- ს ნაცვლად სვამდნენ -“სვამ თუ არა შენ?“ საეკლესიო პასუხის „და წმინდა სულით“ ნაცვლად პასუხობდნენ: „ბახუსის ძალა იყოს შენთან!“. ბზობის კვირას ვირით მსვლელობა პაროდირებული იყო „გამომტყვრალი კრების“ მსვლელობით აქლემზე ღვინის მარანში, სადაც არყის მარაგი იყო.

ამგვარად შეურაცყოფდნენ მღვდლებს. მათ აიძულებდნენ სამეფო კარის მასკარადებში მონაწილეობას, სადაც ისინი გადაუცმელები უნდა ყოფილიყვნენ, არა როგორც დანარჩენები, არამედ თავიანთ სამღვდლო ტანსაცმელში, რომელიც მათ შორის ისეთ ხარხარს ინვევდა, როგორც სამასკარადო ტანსაცმელი. პეტრე სისტემატურად იგდებდა ეკლესიას სასაცილოდ, რაც ახალ საზრდოს აძლევდა ყველ ხმასა და ეჭვს იმის შესახებ, რომ ის ანტიქრისტე იყო.

საშინელი აღშფოთება გამოიწვია, აგრეთვე პეტრეს მიერ მოწყობილმა ორი ლილიპუტის პაროდიულმა ქორწილმა – ეს იყო უწმინდურობა, მაგრამ ამავდროულად ქორწინების საიდუმლოების შეურაცხყოფა.

მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფის კიდევ ერთი საშუალება იყო წვერის გაპარსვა. ეს, კამათის გარეშე იყო ევროპეიზაციის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ მართლმადიდებლების მიერ აღიქმებოდა, როგორც გამრუდება მამაკაცში გამოხატული ქრისტეს სახისა და მსგავსებისა. პეტრეს ინტერესი ანატომიისადმი და ყველა საეროს აუცილებელი დასწრება გვამის კვეთაზე იყო კიდევ ერთი მხარე ძველ იდეოლოგიასთან ბრძოლაში. ადამიანი ხდებოდა გამოკვლევების ობიექტი და არა ქრისტეს ანარეკლი. მხედველობის ამ კუთხით შეიძლება განვიხილოთ, აგრეთვე მისი ინტერესი მახინჯების კოლექციისადმი, რომელსაც ჰფენდნენ ხელოვნების პალატაში.

რა თქმა უნდა, რელიგიაზე დაცინვა დამახასიათებელია XVIII საუკუნისათვის, მაგრამ ის თავშეუკავებლობა, ის გაცოფება, რომლითაც პეტრე დასცინოდა ეკლესიას, ტოვებენ საშინელ შთაბეჭდილებებს. რუსი ლიტერატურათმცოდნე მიხაილ ბახტინი თავის წიგნში რაბლეს შესახებ და შუასაუკუნეების დაცინვის კულტურაზე ამტკიცებდა, რომ „გამომტყვრალი საკრებულო“ იყო მცდელობა რუსეთში დასავლეთევროპული საკარნავლო ტრადიციის შემოტანისა, ესე იგი სახალხო სიცილის კულტურისა, რომელიც, აგრეთვე რელიგიასაც ამასხარავებდა. ესე იგი, მისი სიტყვებით, ეს იყო ევროპეიზაციის ერთ-ერთი რგოლიც. იდეა საინტერესოა, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ აქ წმინდა რეალური პოლიტიკის გვერდით ადგილი ჰქონდა რაღაც არანორმალურს – ფსიხოპათოლოგიურს (ან დემონურს, თუ გნებავთ).

ყველა მართლმადიდებლური რიტუალების საპირწონედ პეტრეს შემოჰქონდა გამარჯვებებისა და მოსახელეების სახალხო ზეიმები სრულიად დამუშავებული ცერემონიებით.

ოფიციალურ პროპაგანდაში კულტივირებდა პეტრეს სახე, როგორც წმინდა პიროვნებისა, ზოგიერთ ტექსტში ქრისტიანული ღმერთის კონკურენტისაც კი. პეტრეს გარდაცვალებისას პროკოპოვიჩის ქადაგებაში იმპერატორი წოდებულია რუსეთის მოსედ, რუსეთის სოლომონად, რუსეთის დავითად და ა.შ. პროპაგანდისტული აპარატი პეტრეს მოსავდა სახელებითა და ეპიტეთებით, რომელთაც ადრე ღმერთს ან ქრისტეს უძღვნიდნენ – ასე მაგალითად – მეფეს უწოდებდნენ ქრისტეს ▶

პატარა ასოთი, მშველელისა და მაცხოვრის გაგებით. ან კიდევ, როგროც ეს გვხდება პეტრესადმი მიძღვნილ ლექსში „შეხედე შენს ღმერთს, რუსეთო!“. ასეთი ეპიტეთები გამოიყენებოდა დასავლეთ ევროპის აბსოლუტური მონარქების მიმართაც, მაგრამ რუსეთში ხელმწიფის „საკრალიზაცია“ უფრო შორს წავიდა, და ამგვარი ეპითეტები აღიქმებოდა თავის რუსულ კონტექსტში უფრო გამოკვეთილად. პეტრეს რეალისტ-პოლიტიკოსის არსში ერწყმოდა პროვოკატორი, თავხედი ღვთისმგმობელი და წარმართული კერპი.

ეკლესია როგორც სოციალური ინსტიტუტი

პეტრე, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიას მისთვის სარგებლის მოტანით აფასებდა. მას უნდა დემკვიდრეებინა ზნეობა, გამრჯეობა, სამშობლოსადმი სიყვარული. ხაზი ესმეოდა ეკლესიის დიაკონიურ ფუნქციებს. საეკლესიო თანხების უზარმაზარი თანხები გაიხარჯებოდა სოციალურ საჭიროებებზე. მონასტრებს უნდა ემსახურათ ნამდვილ სოციალურ ინსტიტუტებად. პეტრეს ინიციატივით არსდებოდა სავადმყოფოები და მოწყალების სახლები. იმავდროულად ის ცდილობდა შეემცირებინა ბერების და მონაზვნების რიცხვი – თავისთავად უშედეგოდ. აგრეთვე, ის ცდილობდა ხელი შეეშალა ეკლესიისთვის მისი საადგილ-მამულო მფლობელობის გაფართოებაში. ამით ის ახლო იყო პროტესტანტულ ტრადიციასთან. აქ კი თეოფანე პროკოპოვიჩი იყო მისი დამხმარე. პეტრეს შეეძლო, აგრეთვე დაინტერესებულიყო საეკლესიო რიტუალებით, თვით კი რედაქტირებას უკეთებდა ღვთისმსახურების ტექსტებს, რომლებიც დანერილი იყო პოლტავის გამარჯვებისა და ნიშტადტის ზავის სადღესასწაულოდ.

მისმა სიკვდილმა, ნამდვილად უჩვენა მისი სულის ქრისტიანული წყობა. ის ხომ გაყინულ წყალში გადაეშვა, რათა ეშველა გადაბრუნებული ნავიდან ადამიანებისათვის, ამით მან ფილტვების ანთება მიიღო, რომელსაც თავი ვერ დააღწია. ამრიგად, პეტრეს დამოკიდებულება რელიგიასთან იყო უაღრესად წინააღმდეგობრივი და რთული.

ეკლესია ტოტალიტარულ სახელმწიფოში

რაც პეტრემ შექმნა, როგორიც არის ეს ეკლესია, რომელიც შეესაბამებოდა ტოტალიტარულ სახელმწიფოს. თეოფანე პროკოპოვიჩმა წაიკითხა ქადაგება ავტოკრატიის არსის შესახებ, რომლისთვისაც სწორედ ბზობის კვირა შეარჩია, რათა ხაზი გაესვა შეცვლილ სიტუაციაზე ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობებს შორის – ეს შეადარა პეტრესათვის ეგზომ საძულველ წესს – ვირით მსვლელობას. ტოტალიტარული საიმპერატორო ხელისუფლების მხარდაჭერა მრავალგზის შეგვახსენებს თავს სასულიერო რეგლამენტშიც. თავის სასკოლო სახელმძღვანელოში პროკოპოვიჩი მიუთითებდა, რომ პირველ მცნებაში მამა უპირველეს ყოვლისა აღნიშნავს, აგრეთვე მეფესაც. აღსარების საიდუმლოება გაუქმდა. თუ აღსარების მთქმელი რაიმეს იტყოდა მეფესთან დაკავშირებით, მაშინ მღვდელს ეს მაშინვე უნდა ეცნობებინა საერო ხელისუფლებისათვის. შემოღებული იქნა, აგრეთვე სავალდებულო აღსარებაც, ყველა ქვეშევრდომი მოვალე იყო, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ გამოცხადებულიყო აღსარებისათვის. საწინააღმდეგო შემთხვევაში მას არ შეეძლო თანამდებობის მიღება. ამ წესმა დიდხანს შეინარჩუნა თავისი ძალა. სინოდი სასტიკად იბრძოდა სტაროვერების, ერეტიკოსების, ებრაელების და პროტესტანტების წინააღმდეგაც კი, თუმც პეტრე, ასევე თეოფანეც იმყოფებოდნენ სწორედ პროტესტანტიზმის ძლიერი გავლენის ქვეშ. რაიმე შემწყნარებლობის შესახებ საუბარიც კი არ იყო. დაისვა ამოცანა ეკლესიის შექმნისა, რომელიც იქნებოდა დამჯერე იარაღი ტოტალიტარული საიმპერატორო ხელისუფლების ხელში. სასულიერო რეგლამენტის მრავალი პარაგრაფი მიძღვნილი იყო სწორედ სხვადასხვა სახის რელიგიური დისიდენტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

უფრო ფართო პერსპეკტივაში პეტრეს ბრძოლა მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ შესაძლებელია განვიხილოთ, როგროც ბრძოლა ბიზანტიური გავლენის წინააღმდეგ და მთლიანობაში ძველი რუსეთის წინააღმდეგ. ამას უნდა მივაკუთვნოთ ისიც, რომ მთელი სახელმწიფოებრივი იდეოლოგია ბიზანტიისაგან შემობრუნდა დასავლეთისაკენ. პეტრეს განზრახული ჰქონდა რაღაც ახლის შემოტანა, ახალი სახელმწიფოებრივი წესრიგი, ახალი კულტურა. მის იდეოლოგიაში იშვიათად თუ აღმოვაჩენთ რაიმე მინიშნებას ძველი რუსეთის საკუთრების მემკვიდრეობითობაზე ან შენარჩუნებაზე. ეკლესიამ მიიღო ცხოვრების უფლება, მაგრამ ის ექვემდებარებოდა მოთვინიერებას და მარგინალიზაციას. ერთდროულად იქმნებოდა ახალი დიეოლოგია, თითქმის ახალი რელიგია, აღმოცენებული სახელმწიფოს სარგებლობის და ხელმწიფის განდიდების საძირკველზე.

ენა და კულტურა

პეტრე დიდის საერთო კულტურული რეფორმები მიმართული იყო, აგრეთვე ეკლესიის როლის წინააღმდეგაც. აქ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა ენა. ყოველდღიურ სასაუბრო ენას უნდა შეეცვალა თავისი საეკლესიო-სლავიანური ფორმა (ესე იგი სამხრეთ სლავიანური, შემოტანილი კიევის რუსეთში 988 წელს გაქრისტიანებისას) რუსულით. ასოების ფორმა ისე იცვლებოდა, რომ ისინი უფრო დამსგავსებოდა ლათინურ შრიფტს. შემოღებულ იქნა ე.წ. სამოქალაქო ანბანი. საეკლესიო სლავიანური ენა და საეკლესიო –სლავიანური ასოები დარჩნენ მხოლოდ ეკლესიაში. ეს იგი, ამ სახით შემცირდა საეკლესიო გავლენა.

პეტრეს სწრაფვა დაენერგა რუსულ კულტურაში ანტიკური მემკვიდრეობა, კერძოდ ანტიკური მითოლოგია, იყო როგორც საშუალება ქვეყნის ევროპეიზაციისა, ამავდროულად ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაც. ტრადიციულად მართლმადიდებლური ეკლესია ანტიკურ მემკვიდრეობას სრულიად უნდობლად ეკიდებოდა. ბიზანტიისაგან განსხვავებით, სადაც არ ივიწყებდნენ ანტიკურობას, რუსეთში მის შესახებ პრაქტიკულად არ არსებობდა არანაირი ცნობა. ანტიკური ღმერთები აქ აღიქმებოდნენ, როგორც დე-

მონები (ეშმაკები) და თვით სამგანზომილებიანობა, სივრცე ღებულობდა დემონურ კონნონტაციებს და ასოცირდებოდა ანტიკურ ღმერთებთან ან სხვა წარმართულ კერპებთან. XVIII საუკუნის მღვდლებისათვისაც კი ლოიალობის მტკიცებულებად გახდა თავიანთ ქადაგებებში მიმართვები ანტიკური სამყაროს ღმერთებისადმი. პეტრეს კრიტიკოსებმა კი ანტიკური მემკვიდრეობა უწმინდურობად, ერესად, მართმადიდებლობასთან მიმართებაში პოლარულ წინააღმდეგობრიობად გამოაცხადეს. ასე, დიმიტრი, როსტოვის არქიეპისკოპოსი, პეტრეს ბრძანებაზე მეომართათვის საეკლესიო მარხვის გაუქმების შესახებ, წერს:. „Бахус, бог чревоугодия, говорит через своего выученика Мартина Лютера, что посты не нужно соблюдать среди воинства“.

წელიწადი აწ არ უნდა დაწყებულიყო 1 სექტემბრიდან, ეკლესიურად, არამედ 1 იანვრიდან. წელთაღრიცხვა უნდა დაწყებულიყო ქრისტეს დაბადებით, როგორც ეს ევროპაშია, და არა ქვეყნის შექმნიდან. ეკლესიამ კი პირიქით, შემოინახა ეს ძველი ადათები და ამის ერთგული რჩება დღესაც. საეკლესიო კულტურა, რომელიც ადრე განუყოფლად მეფობდა მთელს რუსეთში, ამ რეფორმების მიმდინარეობის შედეგად გახდა მარგინალური.

პეტრეს რეფორმებმა გამოუსწორებლად გახლიჩა რუსული საზოგადოება ორ ფენად, ზედა — დასავლური კულტურის მიმღები და ქვედა, რომელშიც მთელი საქრისტიანო შედიოდა, ძველი შეხედულებების სამყაროში მცხოვრები. პეტრემდის, მით უმეტეს XVII საუკუნის შუა ხანების საეკლესიო რეფორმებამდის, რუსეთი რელიგიასთან და ცხოვრების წესთან დამოკიდებულებაში იყო უაღრესად ერთსახოვანი ქვეყანა. ეკლესია ადრეც დამოკიდებული იყო მეფის ხელისუფლებაზე, მაგრამ მათ შორის, როგორც წესი, არ წარმოიშობოდა მკვეთრი კონფლიქტები ინტერესთა ართანხვედრის გამო. ახლა მოხდა განხეთქილება უაღრესად ნაყოფიერი კულტურის თვალთახედვით, რომელიც საფუძველი გახდა XIX საუკუნის კულტურული აყვავებისა, მაგრამ ამან მიგვიყვანა, აგრეთვე რუსული საზოგადოების შიგნით უმძიმეს დაპირისპირებამდის, წინააღმდეგობრიობამდის, რომელიც იქცა 1917 წლის რევოლუციის ერთადერთ მიზეზად.

პეტერბურგის ტოპოგრაფია

პეტრეს მცდელობები, გამოეყენებინა ეკლესია სახელმწიფო სარგებლობისთვის აღიბეჭდა პეტერბურგის მშენებლობაზე. ქალაქის მთავარი მონასტერი აღიმართა ალექსანდრე ნეველის სახელზედ, რომელმაც 1240 წელს გაიმარჯვა შვედეთის არმიაზე. ამ სახით ხაზი ესმეოდა ეკლესიის მნიშვნელობას ეროვნულ მობილიზაციისა და სამშობლოს დაცვისათვის. ქალაქის პირველი უდიდესი ეკლესიის არქიტექტურა, პეტრე-პავლეს ტაძრისა, გვახსენებს მის პროტესტანტულ პროტოტიპებს. ძმებ-მოციქულების პეტრე-პავლესადმი ამ ტაძრის მიძღვნა დაკავშირებულია რომში წმინდა პეტრეს ტაძართან და რუსეთის იმპერიულ პრეტენზიებთან. საკუთრივ, ქალაქს ეწოდა მოციქულ პეტრეს სახელი, მაგრამ მთელი რიგი მიზეზებით ეს მიძღვნა გახდა უფრო და უფრო, არა მიძღვნად მოციქულ პეტრესადმი არამედ, თვით მეფე პეტრესადმი. ისააკისეული ტაძრის მნიშვნელობა, მიძღვნილი უცნობ წმინდა ისააკისადმი, იხსნებოდა იმით, რომ ისააკის დღეს დაიბადა პეტრე დიდი, ასე რომ ეს აზრიც მიძღვნილია პეტრეს დაბადების დღის სადღესასწაულოდ. ადრე რუსეთში ტრადიციად არ იყო დაბადების დღეების აღნიშვნა, აღნიშნავდნენ მხოლოდ მოსახელეების დღეს. ამ სახით, ისააკის ტაძრის კურთხევას „მიბმულს“ პეტრეს დაბადების დღესთან ჰქონდა დანიშნულება, როგორც საიმპერატორო პროპაგანდისათვის, ასევე ევროპეიზაციის აყვავებისათვის. დაბადების დღეების აღნიშვნა იყო, აგრეთვე ევროპული ჩვეულება, ისევე როგორც გაპარსულ წვერებს.

პეტრე I ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ აღნიშნავდა საყოველთაო შეტევას ძველ კულტურაზე, რაიც ხშირად და მძაფრად კრიტიკდებოდა რუსეთის პატრიოტულ წრეებში. რუსეთის სემიოტიკებისათვის, მძლავრ იდეურ-საისტორიო სკოლისათვის, აღმოცენებული ტარტუსა და მოსკოვში 1960 წლებში, როგორც პროტესტი გაბატონებული საბჭოთა მარქსისტული მეცნიერების წინააღმდეგ, პეტრე ხშირად წარმოჩინდებოდა ოდიოზურ ფიგურად. სხვათა შორის დიდი რუსი ეკლესიის ისტორიკოსი ანტონ კარტაშევი, ყოფილი და უკანასკნელი ობერპროკურორი და რევოლუციის შემდეგ რელიგიის საკითხების მინისტრი, მიუთითებდა, რომ პეტრეს თავდასხმებმა მართლმადიდებლურ ეკლესიაზე და ტრადიციებზე მიგვიყვანა საპირისპირო რეაქციის შედეგებთან, სამონაზვნო ცხოვრების განახლებასთან. აქ მას მხედველობაში აქვს, XVIII ს. ბოლოსათვის აღმოსავლურ ქრისტიანული მისტიკის აღორძინება, პაისია ველიჩკოვსკის სახელთან დაკავშირებული და მთლიანად XIX საუკუნისა, იყო კიდეც პეტრესეულ სეკულარიზაციაზე რეაქცია. შესაძლებელია ეს განსჯა გაგრძელებულიყო სხვა მტკიცებულებით – იმის შესახებ, რომ ჩვენთვის ცნობილი ღრმა მართლმადიდებლურ რელიგიურობაში ჩადებულია შოკისებური თერაპია, გამოყენებული პეტრეს მიერ ეკლესიისა და ქრისტიანული სარწმუნოების მიერ.

ევგენი ანისიმოვი

გამოყენებული ლიტერატურა

Бахтин М.М. Творчество Франсуа Рабле и народная культура средневековья и Ренессанса. М., 1965.

Верховской П.В. Учреждение духовной коллегии и Духовный регламент. Т.1. Исследование., т.2. Материалы. Ростов-на-До ну, 1916.

Гребенюк В.П., Державина О.А. (ред.) Панегирическая литература Петровского времени. М., 1979.

Живов В.М. Культурные реформы в системе яреобразований Петра I. Доклад.

Живов В.М., Успенский Б. Метаморфозы античного язычества в истории русской культуры XVII-XVIII веков // Античность в культуре и искусстве последующих веков. М., 1984, с. 204-285.

Карташев А.В. Очерки по истории русской церкви. Том II. Париж,1959.

Успенский Б.А. Царь и Бог // Избранные 'груды. Т.I. Семиотика истории. Семиотика культуры. М., 1994, с. 110-218.

Успенский Б.А., Лотман Ю.М. Отзвуки концепции „Москва — Третий Рим“ в идеологии Петра Первого // Избранные труды. Т.I. Семиотика истории. Семиотика культуры. М., 1994, с.60-74.

Флоровский Г. Пути русского богословия. Изд. 3-е. Париж, 1983.

Cracraft J. The Church Reform of Peter the Great. London, 1971.

MullcrA.V. (red.) The Spiritual Regulation of Peter the Great. Washington, 1972. Riasanovsky N.V. The Image of Peter the Great in Russian History and Thought. NewYorkf 1985.

Царь Петр и король Карл. Два правителя и их народы; Сборник статей.

რუსულიდან თარგმნა
ალ. სანდუხაძემ

„ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ქრისტეს გაბრწყინებულ საქართველოს დაახვედრებს!!!“

კითხვა: მამა გიორგი, რუსეთში წირვაზე ქართული სახელებით მოსახსენებელი არ მიიღეს, მითხრეს – წმიდა სახელები არაა. რამდენად მართებულია მათი ქმედება?

პასუხი: რა უნდა გითხრათ?! ერთს შეგეკითხებით, ადამიანი და მისი სული უფრო მთავარია, თუ მისი სახელი?! ჰოდა, მართლმადიდებლურად მონათლულ ადამიანს არ იხსენიებენ წირვაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ალექსანდრე, დიმიტრი ან ვლადიმირი არ ჰქვია, რა ახსნა უნდა მიეცეს ამას?! რა დააშავა ხვიჩამ, კახამ, მერაბიმ ან კოხტამ. ანდა, ის პირველი რუსი წმ. ალექსანდრე თავად ვის საპატივცემულოდ მოინათლა ამ სახელით?! ან კიდევ, სად იყო წმიდა სახელები, როცა მოციქულები ასობით და ათასობით პირველ ქრისტიანებს ნათლავდნენ?!

რავა, თუ მშობლებმა დამარქვეს „მახარე“, არა მაქვს უფლება, რომ გავხდე ქრისტიანი?! თუ, აუცილებლად ბორისად, ოლეგად ან სვიატაპოლკად უნდა ვიქცე?! უმეცრება და თავზე დიდი წარმოდგენაა ეს, ბაბუა!

ადრე სულ ბერძნულ სახელებს არქმევდნენ ქართველებს. მერე კი, „დიდი რუსი“ ერის სახელებს!...

თუ ჩვენ ვიხსენიებთ მათ სახელებს, რავა არ ევალებათ მათ ჩვენც მოგვიხსენიონ?!.. არ მოგვიხსენიებენ და ნურც მოგვიხსენიებენ!... თქვენ ამაზე ნუ დაღონდებით. თქვენ სვეტიცხოველში მოგიხსენიებენ, სადაც ქრისტე მაცხოვრის კვართი ასვენია.

რუსები სულ კოჭლობდნენ მართლმადიდებლობაში. ლენინის შემდეგ კი რაღა უნდა ითქვას მათზე!!! მათ იარაღით მოიპოვეს ერთ–ერთი „დაწინაურებული ქრისტიანული ერის“ სახელი, მაგრამ ღმერთი სულ სხვანაირად ფიქრობს მათზე.

არ წაუვათ საქმე კარგად, ბაბუა, არც „საბჭოთა ეკლესიას“, არც ეკუმენისტებს, არც მასონებს და არც „სერგიანელებს“!..

რუსები დღესაც, როგორც ადრე, ეჭვის თვალით უყურებენ ჩვენს მართლმადიდებლობას; მაგრამ, აი რას გეტყვით.

– დიდი ხანია რაც მათ გემს ბზარი აქვს გაჩენილი და წყალი შედის შით. არ ვამბობ რუს წმიდანებზე.

კითხვა: მამა გიორგი, დღეს ახალგაზრდების ასეთ რაოდენობას ბერობის სურვილი რომ გაჩნია, ხომ არის ეს სულიერი აღმავლობის ნიშანი? რას ურჩევდით ბერობის მსურველთ?

პასუხი: როგორ გითხრათ!... ნამდვილი ბერობა ძალიან ძნელია, მაგრამ ღმერთი და დედა ღმრთისმშობელია შემწე და ძალის წყარო იმ მონაზვნებისა, რომლებიც თვითონ ღმერთის მოწოდებით შესდგომიან ამ მძიმე, მაგრამ ამავე დროს ყველაზე აღმატებულ გზას.

დღეს ძალიან ჭირს ცხოვრება!... და ბევრი უბრძოლველად გაურბის ვიღაცას, ან რაღაცას. ზოგი გაურბის ცხოვრების სირთულეს, სხვები საკუთარ თავს და ა. შ. გასაგებია, რომ ეს ერთგვარი დევნაა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ბერობის უტყუარი ნიშანი... და ეს „გაქცევა“ ადამიანის სისუსტეზე უფრო მეტყველებს, სუსტი ადამიანების საქმე კი არ არის ბერობა, ბაბუა!... ბერობა ძლიერი სულის ადამიანების მოწოდებაა. ბერობა არაა პროფესია, რომ ნიჭიერმა კაცმა აითვისოს თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ! ბერად უნდა დაიბადო!

ბერობის სურვილში თავისთავად ცუდი არაფერი დევს, მაგრამ საფრთხე ისაა, რომ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ვერ აცნობიერებს იმას, თუ საიდან და ვისგან მოეწოდებათ მათ ეს სურვილი!... აუცილებელია, მონაზვნობის მსურველმა გაარკვიოს – არის მისი ეს სურვილი – სულის მოთხოვნილება, „სულის ძახილი“ თუ, რაღაც მძიმე ცხოვრებისეულ მომენტში მიღებული დაუფიქრებელი გადაწყვეტილება. არის ეს ღმერთის მოწოდება, თუ ეშმაკის მიერ ჩაგონებული აზრი!... ან კიდევ ვიღაცის ზეგავლენა, თუ წმინდა წიგნებით მოხიბლული გონების აღტაცებული ოცნება!

ყველა აქ ჩამოთვლილი, გარდა ერთისა, რომელიც არის ღმრთის მოწოდება – აუცილებლად მიიყვანს სავალალო მდგომარეობამდე მონაზვნობის მსურველს. მონასტრის პირველივე სიძნელეები დიდ სასოწარკვეთილებაში აგდებს ახალგაზრდებს, რომლებიც ოცნებით მოხიბლულნი მიდიან იქ. ეცვლებათ აზრი იმათაც, ვინც რაღაც ეკონომიური სიდუხჭირის გამო, ან სხვა განსაცდელს გამოქცეულები მოსულან მონასტერში. ეშმაკის შთაგონებით მოსულნი – ნაწილი გარბის და ნაწილი კი რჩება და საშინელ ზიანს აყენებს საკუთარ სულს და სხვებსაც. მხოლოდ სულით ბერებს ახარებთ მონასტრული ცხოვრება, რადგან ეს მათი ბუნებაა, ეს მათი ცხოვრებაა. მათ სიძნელე და ინროებანი არ აფრთხობს და მედგრად მიიწევენ წინ სულიერ საფეხურებზე.

ამიტომ მონაზვნობის მსურველმა უნდა გარკვიოს, მისი გადაწყვეტილება არის ღმერთის მოწოდება თუ არა! როგორ გაარკვიოს?! – ამისთვის არიან წმიდანები და ამავე დროს მშობლები. დიდია მშობლის კურთხევის ძალა. ამისი მაგალითები ბევრი გექნებათ წაკითხული. წმიდანი პირუთვნელად გააგებინებს ახალგაზრდას, არის თუ არა ბერობა მისი მოწოდება. და თუ ის ახალგაზრდა ჯიუტი არაა, კეთილად წაუვა საქმე.

წმიდანის კურთხევას კიდევ ერთი დიდი პლიუსი აქვს: ეს კურთხევა იქნება მცველი და ნუგეშისმცემელი იმ ადამიანებისა, რომელთაც მოუწევთ მონასტრული ცხოვრება და ამავე დროს იმათიც, რომელთაც მოუწევთ ერში ცხოვრება, რადგან ბოროტი გამუდმებით მიაწვდის მათ აზრს, რომ ისინი თავიანთი მოწოდების გზას აცდნენ. ერში დარჩენილებს მიაწვდის იმ აზრებს, რომ ერში ისინი რაიმე საღვთოს ვერ გააკეთებენ, რომ მხოლოდ მონასტერში გადაირჩენენ სულს და ნათესავებსაც გადაარჩენენ. სწორედ ასეთი აზრების მოსაგერიებლად წაადგებათ ადამიანებს წმიდანის კურთხევა. ეს კურთხევა იქნება იმის გარანტი, რომ ეს ადამიანები სწორედ იქ დგანან, სადაც მიუჩინა მათ ღმერთმა ადგილი.

პირადად მე არ მივესალმები 20–25 წლის ბიჭებისა და გოგონების მონაზვნობას. მე თუ მკითხავთ, ეს სახიფათოა!!!

ამ ასაკის, ვნებადაუთრგუნავი ახალგაზრდების მონასტერში სულიერი წინსვლა ძალიან ძნელია და უდიდეს შრომას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში წახდებიან და სხვებსაც წაახდენენ. კარგად დაიხსომეთ ერთი რამ: მონასტერი, სადაც წმიდანი არ არის, მონასტერი არაა!... ის საერთო საცხოვრებელს უფრო ჰგავს. წინამძღვარს, რომელსაც არა აქვს სულიერი ხედვა, საღმრთო განათლება და საკუთარი ვნებების დამარცხების გამოცდილება, ის ვერ იქნება სხვათა ჭეშმარიტი მოძღვარი. ის იღუპავს თავს და აუცილებლად დაღუპავს სხვას!... წმიდა მამათა წიგნების კითხვით შეუძლებელია უხელმძღვანელო ცოცხალი ადამიანების სულებს, რომლებიც ძალიან განსხვავდებიან თავიანთი სულიერი, გონებრივი, ფიზიკური თავისებურებებით. მონაზვნების სულიერი ხელმძღვანელი მონასტერში გამოცდილი, გამობრძმედილი წმიდა ბერი უნდა იყოს!

რა სულიერი ბრძოლების გამოცდილება უნდა გააჩნდეს 20–25 წლის ახალგაზრდა კაცს, რომელიც, უკეთეს შემთხვევაში, სასულიერო სემინარიიდან ან აკადემიიდან ხდება მონასტრის წინამძღვარი! მას რომ სულიერი ხედვა არა აქვს, ამას ისიც ადასტურებს, რომ ასე ადვილად დათანხმდა ეგზომ რთულ და საპასუხისმგებლო სულიერ თანამდებობას და, რადგანაც სულიერი ხედვა არა აქვს, ასეთი პიროვნება უფრო ზრუნავს იმაზე, რომ გაუმართლოს ნდობა იმ იერარქს, რომელმაც აკურთხა ამ თანამდებობაზე. ის ზრუნავს, გაზარდოს ძმების რიცხვი. აშენოს, დარგოს, მოაწყოს, მოხატოს, მაგრამ უმთავრესზე – მონასტრის უპირველეს დანიშნულებაზე – სულის განწმენდაზე ვერ იზრუნებს, რადგან არა აქვს სულიერი ხედვა!!! მონასტერს არ ეხუმრებიან!!!

წმიდა ეპისკოპოსი ეგნატე წერს: „საშინელი საქმეა იკისრო ბერის მოვალეობა, რომელიც მხოლოდ სულიწმიდის ბრძანებით შეიძლება აღსრულდეს, იმ დროს, როცა სატანასთან ურთიერთობა ჯერ არ დარღვეულა და ჭურჭელს სატანის ზემოქმედებით გამოწვეული შებილწვა არ შეუწყვიტოს (როცა უვნებლობისთვის არ მიუღწევია). საშინელებაა ეს როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე მოყვასისათვისაც, და დანაშაულია ღმერთის წინაშე! ეს ყოველივე ღმერთის გმობაა!“

ერთხელ ერთმა მკითხა: „ბოროტს რაში უნდა აინტერესებდეს ადამიანის მონასტერში შედგომაო?“ აინტერესებს და მერე როგორ კიდევ!... სულ უკან მოუხედავად მიარბენინებს მონასტერში ადამიანს. რატომ?! – იმიტომ, რომ თავიდანვე, ღმერთის ნებას აცდენილი ადამიანი ნამდვილი ბერი ვერ გახდება! ის აუცილებლად ცრუ მონაზვნად ჩამოყალიბდება, რომელსაც მხოლოდ მოჩვენებითი, გარეგნული ნიშნებიღა თუ ექნება და არა ჭეშმარიტი სათნოება. დროში კი ის ბოროტისაგან მიიღებს ძალას, შეიძლება, ააღწიოს სასულიერო თანამდებობაზეც და ბოროტის ჭურჭლად ქცეული დაიწყებს ნამდვილ ბერებთან ბრძოლას. ასეთი „ბერი“ ხდება რა ბოროტის გეგმის ნაწილი და აღმასრულებელი, ძალიან დიდი ზიანის მომტანია და შეუძლია ისე „აამღვრიოს წყალი“, რომ არა ერთი და ორი ადამიანის სული დაღუპოს!...

ანტიქრისტე ადამიანთა საზოგადოების ყველა ფენაში ცდილობს შეღწევას და თავისი „კადრების“ დამკვიდრებას და რა ზიანის მიყენება შეუძლია ბოროტის „კადრებად“ ქცეულ სასულიერო პირებს, თქვენთვის ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იქნეს. სწორედ რომ სასულიერო დაწესებულებებში ცდილობს ბოროტი დამკვიდრებას საუკუნეების მანძილზე, რადგან აქ უკვე სრულად შეუძლია მას ადამიანის დაღუპვა.

ის, რომ სამონასტრო ცხოვრების ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როცა სრულიად ახალგაზრდები აღკვეცილან მონასტერში, არ შეიძლება განვაზოგადოთ და გამოვიყენოთ დღეს ახალგაზრდების გაუცნობიერებელი ნაბიჯების გასამართლებლად, რადგან ის ცალკეული მაგალითები ისტორიიდან, ბერული სისტემის ერთ–ერთ საიდუმლოს წარმოადგენს.

საქართველოს გააბრწყინებს არა მონაზონთა რაოდენობა, არამედ ჭეშმარიტი მსახურების სულიერი სიმაღლე!

არა ტაძრების რაოდენობა, თუნდაც ისინი ოქროს გუმბათებით იყოს დამშვენებული, არამედ საქართველოს გააბრწყინებს ტაძარში მწირველი და მლოცველი ადამიანების სიწმიდე და საღმრთო მოშურნეობა!

და კიდევ, საქართველოს გააბრწყინებს არა უბრალოდ პირჯვრის გამომსახველთა რაოდენობა, არამედ ისინი, ვის გულებშიაც ქრისტე დაიდებს ბინას!

კითხვა: მამა გიორგი, გასაგებია, რომ ჩვენს ერს ცოდვების გამო დაატყდა თავს ამდენი უბედურება, ტკივილი, მწუხარება და განსაცდელი, მაგრამ დღეს ხომ ერის დიდი ნაწილი ეკლესიაში დადის, აბარებს აღსარებას, ეზიარება... ჩვენ კი მაინც გვიჭირს, როგორც სულიერად, ისე ეკონომიურად და პოლიტიკურადაც. როგორ ახსნით ამას?

პასუხი: ერის ღმერთთან შერიგების აუცილებელი და ჭეშმარიტი პირობა არა ტაძრებში ზერელედ მისულ ადამიანთა სიმრავლეა, არამედ მორწმუნე ადამიანების – რწმენის, სინანულის, ლოცვის, მოშიშების, მორჩილების ხარისხი, აღსარების სიწრფელე და ცოდვებიდან გამოსვლის მტკიცე გადაწყვეტილება! წმ. იოანე ოქროპირი წერს: „იმიტომაა ყველაფერი დაქცეული, იმიტომაა ყველგან გამეფებული უკიდურესი უწესრიგობა, რომ ჩვენ, როგორც სანახაობაზე, ვეძებთ ხალხის სიმრავლეს!.. ხალხის კრებული, საყვარელო, როდესაც იგი ღმერთის ნებას არ ასრულებს, არაფრით განსხვავდება მათგან, ვინც საერთოდ არ არსებობს!..“

გეტყვით აგერ: აღსარება ერთია, ხოლო სინანული – მეორე... გულის შემუსვრილობის, სინანულის გარეშე ნათქვამი აღსარება რა შედეგის მომცემი უნდა იქნეს?!! სინანულია მთავარი... სინანულს ითხოვს ღმერთი ცოდვის სანაცვლოდ, რადგან სინანულია ის საშუალება, რომლითაც შემცოდე ადამიანს უბრუნდება ღმერთთან ურთიერთობის მორალური უფლება და, როცა ერს არ აქვს საკმარისი სინანული, მაშინ კაცთმოყვარე ღმერთი, ისევ ჩვენდა სასიკეთოდ, გვიგზავნის ტკივილს, მწუხარებას, შიმშილს და სხვადასხვა სახის განსაცდელს და ამით გვიბათილებს ცოდვებს. ცოდვა მატერიაა, ის არ ქრება. ის უარყოფითი, ბოროტი ენერგიაა და მისი განეიტრალება მხოლოდ ცოდვის გამოტირებით ან ტანჯვითა და ტკივილებით არის შესაძლებელი.

ჩვენ ვაბარებთ აღსარებას, მღვდლებიც გვპატიობენ ცოდვებს, მაგრამ აქ მთავარია გვპატიობს თუ არა ღმერთი!!! თქვენ იცით, რომ აღსარების საიდუმლოს თვითონ ქრისტე ღმერთი ესწრება... უგულოდ და ზერელედ მისულს ის არ შეუნდობს, მიუხედავად იმისა, რომ მღვდელმა შეიძლება აპატიოს. აი, ამაშია აუცილებლობა!!! ჩვენ რომ მღვდელმა შეგვინდო ცოდვები, ღმერთმა თუ შეგვინდო?! თქვენ ბიბლიიდანაც იცით: როცა ღმერთი შეუნდობდა ერს, ან ცალკეულ ადამიანს, მათი ცხოვრება საგრძნობლად იცვლებოდა კეთილდღეობისაკენ. მათზე ღვთის კურთხევა მოდიოდა.

მე მომეწონა თქვენი შეკითხვა – ე. ი. აზროვნებთ.

თუ ღმერთმა შეგვინდო, მაშინ რატომ ვართ დასჯილი? რატომ ვართ ისევ ცუდ ყოფაში? ე. ი. გამოდის, რომ ღმერთმა არ შეგვინდო!... მაშინ როგორ გავიგოთ, რომელი ცოდვა გვეპატია და რომლის გამოსასყიდად კიდევ უნდა ვიტანჯოთ?! ამიტომ ვიძახი, ბაბუა, ცოცხალი წმიდანები ეძიეთ–მეთქი!... წმინდა მღვდელი ხედავს ყოველივეს და ის არ შეგინდობს, თუ ღმერთს არ სურს ჯერ შენი შენდობა და დაგინიშნავს ეპიტემიას. ის მკაცრიც არის, მაგრამ, ამავდროულად, ძალიან მოწყალე და მოსიყვარულეც. მას შეუძლია, შენი ცოდვები დაიდოს და ღმერთის წინაშე თვითონ გამოიტიროს ისინი. ძალიან მცირე დროში გამოიტირებს ისეთ ცოდვებსაც, რომლებსაც თქვენ წლებს მოანდომებდით. როდესაც წმიდა მღვდლისაგან გესმით შენდობა, იცოდეთ, ეს ქრისტესგან შენდობაა!

ყოველი კაცის მსაჯული – საკუთარი სინდისია. სინდისი გეტყვის, რას იმსახურებ, ან კიდევ, ესა თუ ის განსაცდელი რომელი კონკრეტული ცოდვის გამო გეწვია. აღსარებაზე მიმავალს სინდისი გეტყვის, ხარ თუ არა მზად, ან რა გულით მიდიხარ. ღმერთს ჩვენი დასჯა კი არ უხარია. ეს ჩვენ გვჭირდება. ცოდვების გამო რომ გვსჯის, ე. ი. მისიანები ვართ, თორემ ღმერთი არ დაგვსჯიდა, გვაცლიდა და ბოლოს საუკუნო სატანჯველს მიგვცემდა... „ის, ვინც ცოდვის გამო არ ისჯება, ამბობს წმ. იოანე ოქროპირი, ყველაზე უბედური ადამიანია!“

ჩვენ, ვიმეორებ, ქრისტეს ქვეყანა ვართ!... (ეს სიტყვები იმ ჟურნალში გადამიკეთეს!... თითქოს მე არ ვიცოდე, რას ნიშნავს ქრისტიანული ქვეყანა და რას – ქრისტეს ქვეყანა!!!). ამიტომ ერს რამე ცოდვის ლაქა არ უნდა ჰქონდეს. ეს ტანჯვა და სისხლი, მწუხარება, სიდუხჭირე ჩვენი განსაბანელი არის. ჩვენ მძიმე ჟამი უკვე გამოვიარეთ... წმ. ბერებმა ერის ცოდვათა დიდი უმეტესობა უკვე გამოიტირეს, ჩვენც საკმაოდ ვიტანჯეთ... ისეთი დრო დადგება საქართველოში, არა თუ სამღვდელო დასი, არამედ ხელისუფლებაშიც ნამდვილები მოვლენ... მეფე უდიდესი წმიდანი იქნება...

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ქრისტეს გაბრწყინებულ საქართველოს დაახვედრებს!!!

მამა გიორგი

(წიგნიდან „თავნი და ბოლონი იტყვიან: გიორგი“)

რედაქტორი ლეილა ცომაია

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55
ვებგვერდი: ***http://ganmatavisuflebeli.webs.com***
ელ.ფოსტა: ***ganmatavisuflebeli@yahoo.com***